# სარბიელი

საორტული გაზეთი    ხუთშაბათი 4 მაისი 2000 №82 (1104)    ფასი 50 თეთრი

## რკინიგზამ მესამე მსაჯი იმსხვერპლა

„ლოკომოტივს“ თსუ ალექსანდრე კრიჭაშვილმა დაამარცხებინა, რისთვისაც იგი ერთი თვით მოიკვეთა

## გუცაევს თბილისში ელიან

ვალერი გაზაევის „დინამოსთან“ დამარცხების მერე ვლადიმერ გუცაევმა თბილისს მოაშურა

## თურქებმა სკალას უხმეს

ორ წელიწადში „ბეშიქთაში“ იტალიელ მწვრთნელს სამ მილიონ დოლარს გადაუხდის



## ფეხბურთმა შინ შეიარა

ევროპის გატაცება 1996

ქართველთა დებიუტი ევროპის ჩემპიონატზე



UEFA CHAMPIONS LEAGUE

**ნახევარფინალი I წრე**

**რეალი 2:0 ბაიერნი**

1:0 ანელკა (4), 2:0 იერემისი (33ს.კ.)
რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, რობერტო კარლოსი, კარანკა, ივან კამპო, ელგერა, რედონდო, მაკმანამანი, რაული, ანელკა (ბალიჩი 80), მორიენტესი (სავიო 61)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ლინკე, ლიზარაზუ, იერემისი, სალიჰამიჯიჩი (სანტა კრუზი 78), ფინკი, ტარნატი (ვაისინგერი 46), შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი (იანკერი 78)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: კარანკა, შოლი, სალგადო, რობერტო კარლოსი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
80 000 მაყურებელი

# რეალის შანსი რეალურია

*არა, უმათეუსო და უეფენბერგო „ბაიერნი“ ის გუნდი აღარაა, „რეალს“ ორ თამაშში 8 გოლი რომ გაუტანა. გუშინ მადრიდულ თავსხმაში მიუნხენელები მშრალზე დარჩნენ, საკუთარ კარში კი ორი ბურთი მიიღეს. პარიზში ესპანური ფინალია მოსალოდნელი.*



REUTERS ფოტო

ანელკამ იერემისს დაასწრო და ანგარიში გახსნა. მალე გერმანელს უარესიც შეემთხვა



# დევიდ კულჰარდი ზეცამ არ მიიღო

*ფორმულა 1-ის პილოტებისთვის სიკვდილთან თამაში, ფაქტობრივად, ხელობაა, მაგრამ შოტლანდიელი დევიდ კულჰარდი ტრასაზე თავაწყვეტილმა ქროლვამ კი არა, ლამის სხვა ფათერაკმა იმსხვერპლა — ის ავიაკატასტროფაში მოჰყვა.*

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



REUTERS ფოტო

ასეთ ავიაკატასტროფაში გადარჩენას დევიდ კულჰარდი მართლაც ღმერთს უნდა უმადლოდეს

საქართველოს ჩემპიონატი 11 მეორე ეტაპი

9 ტური

# ჩვენში ჯერაც მარტია

ასეა, ძმაოჯან, ჭრელია ცხოვრება ირაკლი ზოიძის მაისურასავით. ფეხბურთიცაა და ფეხბურთიც — „ვალენსია" „ბარსას" აჩოქებს, დელ პიეროს ყოველწლიური შემოსავალი 11 მილიონი დოლარია, ნისტელროოი ბასტენს ჰგავს (ფეხბურთითაც და მუხლის ტკივილითაც), ვერონელები კამარატას ეხუტებიან, „სინათლეზე" კი ქართველი ფეხბურთელები... ერთმანეთს აფურთხებენ.

კი, იციან ქართველმა მსაჯებმა, რომ ფურთხება უზრდელობაა, წითელი ბარათებით სჯიან ზედმეტი ნერწყვის გამომყოფთ, მაგრამ... შველის ეს საქმეს?

ახლა კიდევ, „ტორპედო" ჩემპიონიაო, არადა სულ ერთი ტურის წინ — „ტორპედო" არ არის ჩემპიონიო, „დინამო" ათამაშდაო, ერთი ქულაღაო და ამისთანები...

მოკლედ, მარტის ამინდივით ჭირვეული რამაა „ტორპედოს" ჩემპიონობა. აკი თქვა ქუთაისელთა მწვრთნელმა ყიფიანმა, ჩემპიონის ვინაობა 30 მაისს გაირკვევაო. ალბათ, ასეცაა, უბრალოდ, „ტორპედო" სხვებზე ახლოსაა მიზანთან.

ჩვენ კი დაველოდებით. ერთი თვე რა ბედენაა, ათი წელია, ელოდება ხალხი.

ქუთაისელთა საჩემპიონო ამბიციებზე კი მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპის მეცხრე ტურმა დაასხა წყალი. იმერლებმა მოიგეს, დინამოელებმა — ვერა, „ბათუმი" დამარცხდა და სამქულიანი ჰანდიკაპიც აღდგა.

ისევე, როგორც „ტორპედოს" საჩემპიონო ამბიციები.

ჯანი კარნევალის გუნდს ჯანი და სიქა გააცალა ყიფიანმა და კამპანიამ, ტოგონიძის კარის ლაშქრობა მეთხუთმეტე წუთზე დაიწყო ჯანაშიამ და სამოცდამეექვსეზე მანვე დაასრულა, შუალედში მეგრელაძემ და იონანიძემ გააწბილეს „ბათუმი". ბევრია 4:0. ბათუმელებს ასეთი ანგარიშით მეხუთე წელიწადია, არ წაეგოთ, მაგრამ „გამასტყვრა მუცალის თოფივით" „ტორპედო" და წააგებინეს. — „ტორპედო" საუკეთესო ქართული გუნდია, იგი ყველაზე მეტად იმსახურებს ჩემპიონობას — იტყვის მატჩის შემდეგ ჯანი კარნევალი და მწარე მარცხს ფეხბურთელებს და მათ ფსიქოლოგიას დააბრალებს. ეტყობა, მთლად რიგზე არ მისდით საქმე ბათუმელებს (ეს „ლოკომოტივთან" სათასო შეხვედრამაც დაამტკიცა).

წიწილების დათვლამდე, როგორც ვთქვით, ერთი თვეა, მაგრამ ახლა თუ არ მოაგროვე, მაისის ბოლოს რას დაითვლი და ამიტომაცაა, ტური-ტურ დაიკაპიწა ხელები „ვიტ ჯორჯიამ". ამჯერად ქვემო ქართლში უნდა ებრძოლათ მორიგი სამი ქულისთვის ვეტერინარებს და „სიონთან" მათი მატჩიც საბრძოლოსთან ერთად ლამაზიც რომ გამოდგა, ესეც „თეთრ-მწვანე ორდენის" ჯიგრიანობაზე მეტყველებს.

ბურთის გატანა უჭირთ კოტრიკაძის შეგირდებს — ეს არახალია. აქამდე (მეორე ეტაპის განმავლობაში) შვიდად შვიდი გოლი იყო მათ ანგარიშზე. ბევრი არც ახლა გაუტანიათ — გოჩაშვილისა და ქორიძის ორმა გოლმაც იკმარა სამი ბოლნისური ქულის წამოსაღებად. „სიონმა" „ვიტ ჯორჯიას" ორს გოგოლაძის ერთით უპასუხა და ღირსეულად, ღია თამაშში დამარცხდა.

თბილისის „დინამო" ფრეებს მიეჩვია. მართალია, დინამოელებს წაგებით ჯერაც არ წაუგიათ, მაგრამ სამქულიანი სისტემის დანერგვის შემდეგ ფრე არცთუ მსუყე საგანია და ექვსჯერ დაზავება დაკარგული ქულებით რომ ოთხი მარცხის ტოლფასია, ესეც ადვილი საანგარიშოა. ფოთის „კოლხეთს" კი თამამად შეიძლება, „დინამოლოგის" თიკუნი მივაკუთვნოთ — პირველი ჩემპიონატიდან მოყოლებული ყველაზე ხშირად ზღვისპირელები აწბილებენ მარად ჩემპიონს.

იმ აღდგომისწინა დღესაც ისე დაიწყო —დინამომ", გეგონებოდა, დიდი ანგარიშით მოგება განაღდებული ჰქონდა — დაახლოებით ნახევარ საათში ბურთიც გაიტანა, სამი-ოთხი საგოლეც ზედ მიაყოლა და საერთოდ, ისე ჩამთავრდა პირველი ნახევარი, მის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია.

მოსახდენი შესვენების შემდეგ მოხდა. ექსგორელმა რომან ახალკაცმა ბურთს თავი დაჰკრა და „დინამოს" კარში მიუჩინა ადგილი. არადა, სულ ათი წუთი ითამაშა მანამდე ბიჭმა — ოთხი პირველ და ექვსი მეორე ტაიმში.

„ა" ზონის ყველაზე მშვიდი შეხვედრა გორში გაიმართა. არვის ეგონოს, ფეხბურთელებს „ნოვოპასიტი" დაელიოთ — არა, მოტივაცია დაჰკარგვიათ სამტრედიელებსაც და გორელებსაც იოჰან ბოსკამპის „გენკივით" და ძლიერთა მარაქაში ძლივძლივობით მოხვედრილი ეს ორი გუნდი თავს რაღად მოიკლავდა. გორელთა სამი გოლი კი მასპინძლების უპირატესობას კანონზომიერი დასტური გახლდათ, სხვა არაფერი.

„ბ" ჯგუფში პირველი შეხვედრა ქრისტეს ჯვარცმის დღეს, პარასკევს გაიმართა და „გორდამაც", იცოცხლეთ, გააკრა ჯვარზე „თბილისი". ჩვენში მოარულ ფრაზად იქცა, „თბილისს" „ღარწყალის" ცოდვები არ ახარებსო, მაგრამ ეს უფრო ტენდენციური სარკაზმი მგონია. სიმართლე კი კილასონიათაგან და ბეჟანიძით გაძლიერებული „გორდის" ჩაუქობაში და უხელფასობითა და უფულობით დაკნინებული „თბილისის" თავსზემოთვერახტომაშია (აი, სიტყვაა...). კილასონიასთაგან უბომბარდირესმა ვარლამმა კიდევ ორი გოლი შეჰმატა თავის თოთხმეტბურთიან აქტივს და ახლა იონანიძეს ოთხი გატანილითღა ჩამორჩება.

„არსენალი" — „ხობი". წაქცეულს არ სცემენო, იტყვიან ჩვენში და ცემა რა საკადრისია, ქუდი უნდა მოვიხაროთ ამ გუნდების ფეხბურთელთა თავგამოდების წინაშე. ენთუზიაზმით თამაშს ეხუმრები ამ გაგანია დოლარომანიაში? ის კი არა, ზედ მატჩის წინ მოგროვდნენ მასპინძელი ფეხბურთელები და მათი საფეხბურთო სინდის-ნამუსი რომ არა, შეხვედრა ჩაიშლებოდა.

ხობელებს რაც შეეხებათ, სამოცდაათი წუთი ეყოთ დენთი, მერე კი „არსენალიც" აალდა და ერთბაშად ოთხი გაიტანა ჩვიდმეტ წუთში. ბოლო გოლი ისევ ხობელისა იყო, კუპატაძესთან პირისპირ გასულმა ლაშა ბუკიამ გაიტანა და 4:2-იც შედგა.

მიმოხილვის დასაწყისი გემახსოვრებათ. „სინათლეზე" ფურთხება და ერთი ამბავი. იქ „სამგურალი" ჩაუხტა „მერანს". ეცადნენ ბზიკაძის ბიჭები, ოფლი ღვარეს, ირბინეს, როგორც შეეძლოთ, მაგრამ ავჭალელთა მეკარე რეზო ნაჭყეპია ჩინეთის კედელივით იდგა. ჩინეთის კედელში კი, მოგეხსენებათ, მარტო კოპერფილდი გადის და „სინათლეზე" იმ დღეს მგორავი სამი ბურთიდან არც ერთი იყო დევიდი.

ფეხბურთელთა წაკინკლავება კი „სამგურალის" შეტევას მოჰყვა — სუხიაშვილს კარიაული ჩაუწვა. მინდორზე მცირეხნიანი წიხლაობა რომ მობეზრდათ, ბიჭებმა ხელითაც გაიწიეს ერთმანეთზე და ის წითელი ბარათი, რომელიც ამ მატჩში გამწესებულ კახაბერ მესხს უნდა ეჩვენებინა მათთვის, ოთარ გუნთაძემ ამოიღო.

მესხი კი „ჩელა" — „დარჩელის" შეხვედრისას დაუზარალებია მაყურებელს (ასეთია ოფიციალური ვერსია).

დაბოლოს ივანე ჯულელის ახალგაზრდობის გახსენება. მატჩი „ლოკომოტივი" — თსუ და მისი ჰეთ თრიქი. საკვირველია, საიდან გადაესხა ამ გვარიანად მოწიფულ ფეხბურთელს ვალენსიელების წყალი. ვეტერანი უძახე შენ და სამი გოლი კი გაიტანა, თანაც ფანტომასივით ყველგან იყო.

ჯულელის დამსახურების ორი თერთმეტმეტრიანით გატანილიც ვერ აკნინებს. აი, პენალტის დამნიშვნელს კი, არბიტრ კრიჭაშვილს, შეხვედრის ინსპექტორმა "სამიანზე" შეუფასა გარჯა, მისი საკითხი სპეციალურმა კომისიამაც განიხილა და სეზონის ბოლომდეც ჩამოაშორა პირველ ჯგუფს „რემბო" (კრიჭაშვილის მეტსახელია).

ასეთი ამბები იყო. ტურში დატრიალებულ ცოდვა-მადლს „ვიტ ჯორჯიას" მესამე ადგილზე გადანაცვლება მოჰყვა, „ბათუმის" ჩამოქვეითება და „დილამ", „იბერიას" გაუცვალა ადგილი. ქვედა, „ბ" ზონაში ისევ „მერანი" პირველობს, „ლოკომოტივი" და „გორდა" ყეინობენ, თსუ-კი, მართალია, ხუთი ქულით უსწრებს „სამგურალს", მაგრამ ჯერაც ვერა აქვს თავი ქუდში

წითელი ბარათები წითელი კვერცხებივით მოუმრავლდა ჩვენს ფეხბურთელებს — ოთხი ვიხილეთ სულ ყვითლებიც საკმაოდ იყო (ცამეტი), ამს ოცდაექვსი გატანილი ბურთიც დავუმატოთ და მეთერთმეტე ეროვნულის მეორე ეტაპის მეცხრე ტურის მცირე სტატისტიკური ექსკურსიც მივამთავროთ.

წინ კი უამრავი პერიპეტიაა, ურთულესი აღმართ-დაღმართი. ვნახოთ, ვინ როგორ გაირჯება. ქუთაისში კი ჩემპიონობაზე სერიოზულად ფიქრობენ უკვე აღდგომა და ხვალეო.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ტორპედოელი გიორგი გოგიაშვილი სამ ბათუმელსაც იოლად დაუსხლტა



სტუმარი მალხაზ მახარაძე კი ეცადა, მაგრამ მასპინძელ გიორგი მეგრელაძეს (№10) ხელი ვერ შეუშალა

ბადრი კოპალიანის ფოტო

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 20 - იონანიძე | ტორპედო |
| 16 - ვ. კილასონია | გორდა |
| 12 - აშვეთია | დინამო |
| ალექსიძე | დინამო |
| გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 11 - მეგრელაძე | ტორპედო |
| 10 - დ. ჯანაშია | ტორპედო |
| 9 - ქებაძე | ლოკომოტივი |
| ხორგუაშვილი | დილა |
| ფიტაიშვილი | დინამო |

საქართველოს 11 ჩემპიონატი
მეორე ეტაპი

# 9 ტური

## „ა“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 9 |
| მატჩი | 36 |
| გოლი | 88 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,44 |
| მასპინძელთა მოგება | 20 (55%) |
| ფრეები | 9 (25%) |
| სტუმართა მოგება | 7 (20%) |
| საერთო დასწრება | 106 400 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 2 955 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | IV,V: 15 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | II: 100 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 60 | 15,00 |
| სტუმარი | 60 | 15,00 |
| სულ | 120 | 30,00 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 23 | 5,75 |
| სტუმარი | 16 | 4,00 |
| სულ | 39 | 9,75 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 24 | 6,00 |
| სულ | 43 | 10,75 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 27 | 6,75 |
| სტუმარი | 20 | 5,00 |
| სულ | 47 | 11,75 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 14 | 3,50 |
| სტუმარი | 19 | 4,75 |
| სულ | 33 | 8,25 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 56 | 14,00 |
| სტუმარი | 49 | 12,25 |
| სულ | 105 | 26,25 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 8 | 2,00 |
| სულ | 27 | 6,75 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 22 | 5,50 |
| სტუმარი | 17 | 4,25 |
| სულ | 39 | 9,75 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 25 | 6,25 |
| სულ | 44 | 11,00 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 19 | 4,75 |
| სტუმარი | 18 | 4,50 |
| სულ | 37 | 9,25 |

*სემ - საშუალოდ ერთ მატჩში*

## „ბ“ ზონის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 9 |
| მატჩი | 36 |
| გოლი | 88 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,44 |
| მასპინძელთა მოგება | 21 (58%) |
| ფრეები | 5 (14%) |
| სტუმართა მოგება | 10 (28%) |
| საერთო დასწრება | 22 500 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 625 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III,VII: 2 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | I,VII,IX: 100 |

### ტორპედო 4:0 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 12 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 12 | კარში დარტყმა | 1 |
| 1 | თამაშგარე | 2 |

### დინამო 1:1 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 19 |
| 10 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 6 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 1 |

### სიონი 1:2 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 17 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 12 |
| 3 | კარში დარტყმა | 8 |
| 0 | თამაშგარე | 8 |

### დილა 3:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 12 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 6 | კარში დარტყმა | 7 |
| 9 | თამაშგარე | 8 |

### თბილისი 1:4 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 9 |
| 4 | კუთხური | 0 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 2 | თამაშგარე | 4 |

### ლოკომოტივი 3:0 თსუ

| | | |
|---|---|---|
| 14 | დაჯარიმდა | 17 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 4 | თამაშგარე | 6 |

### მერანი 0:0 სამგურალი

| | | |
|---|---|---|
| 22 | დაჯარიმდა | 9 |
| 4 | კუთხური | 5 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 7 |
| 4 | თამაშგარე | 3 |

### არსენალი 4:2 ხობი

| | | |
|---|---|---|
| 5 | დაჯარიმდა | 14 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 7 | კარში დარტყმა | 6 |
| 9 | თამაშგარე | 5 |

## სიმბოლური ნაკრები

ივანე ჟუღელი — *ლოკომოტივი*
ზურაბ იონანიძე — *ტორპედო*
გოჩა ტრაპაიძე — *კოლხეთი*
გიორგი გოგიაშვილი — *ტორპედო*
გიორგი ყიფიანი — *ვიტ ჯორჯია*
დავით ჯანაშია — *ტორპედო*
სოსო დევიძე — *მერანი*
გივი დიდავა — *დინამო*
ვახტანგ ხვადაგიანი — *ტორპედო*
ვალერი ტორჩინავა — *კოლხეთი*
რევაზ ნაჭყეპია — *მერანი*

გუნდი: ტორპედო
მწვრთნელი: დავით ყიფიანი *ტორპედო*

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 23:9 | 14 | 35 | 5 | 4 | 1 | 0 | 16:2 | 14 | 13 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:7 | 0 | 4 |
| 2 | დინამო | 9 | 3 | 6 | 0 | 10:2 | 8 | 32 | 5 | 2 | 3 | 0 | 6:1 | 5 | 9 | 4 | 1 | 3 | 0 | 4:1 | 3 | 6 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 31 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 4 | ბათუმი | 9 | 5 | 1 | 3 | 14:7 | 7 | 29 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 |
| 5 | კოლხეთი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 25 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 6 | სიონი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:17 | -7 | 18 | 5 | 2 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 7 | 4 | 0 | 0 | 4 | 0:8 | -8 | 0 |
| 7 | დილა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:19 | -10 | 16 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 0 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 5:15 | -10 | 0 |
| 8 | იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 5:22 | -17 | 16 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:18 | -16 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 9 | მერანი | 9 | 6 | 3 | 0 | 10:1 | 9 | 29 | 5 | 3 | 2 | 0 | 6:0 | 4 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 10 |
| 10 | ლოკომოტივი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:2 | 15 | 29 | 5 | 3 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:1 | 8 | 9 |
| 11 | გორდა | 9 | 6 | 1 | 2 | 16:4 | 12 | 27 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 7 |
| 12 | თსუ | 9 | 5 | 0 | 4 | 11:10 | 1 | 23 | 4 | 3 | 0 | 1 | 4:1 | 3 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 6 |
| 13 | სამგურალი | 9 | 3 | 3 | 3 | 8:6 | 2 | 18 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:3 | 4 | 9 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 14 | არსენალი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:18 | -7 | 14 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:11 | -1 | 9 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |
| 15 | თბილისი | 9 | 1 | 1 | 7 | 6:18 | -12 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | -10 | 0 |
| 16 | ხობი | 9 | 1 | 0 | 8 | 9:29 | -20 | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:14 | -9 | 3 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:15 | -11 | 0 |

# «ა» ზონა

ქუთაისი
29 აპრილი
16 საათი
ტორპედო
10 000 (ტევადობა 20 000)

## ტორპედო 4:0 ბათუმი

1:0 ჯანაშია (15), 2:0 მეგრელაძე (32), 3:0 იონანიძე (44), 4:0 ჯანაშია (66)
**ტორპედო:** ზოიძე, მახვილაძე, თურმანიძე, ხვადაგიანი, ჩხეტიანი, ახვლედიანი (შეყრილაძე 72), კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი, იონანიძე (ასათიანი 75) დ. ჯანაშია, მეგრელაძე (მ. ბობოხიძე 70)
*სათადარიგონი:* ჭანტურია; მაღლაკელიძე, თავბერიძე, ამისულაშვილი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, სიდამონიძე, შ. ხუჯაძე, კობიძე, გელა ქორიძე (ლონტი 46), ა. მუჟირი (ხომერიკი 43), რომანაძე (კ. ქაცარავა 68), მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; მინდაძე, აფხაზავა, ტულუში
**გაფრთხილება:** რომანაძე (20), მახვილაძე (24)
**გაძევება:** კობიძე (50)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, მ. ელიკაშვილი; ს. კახიანი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო
**სფფ-ის დელეგატი:** მ. ანჯაფარიძე

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 75 000)

## დინამო 1:1 კოლხეთი

1:0 წიტაიშვილი (29), 1:1 ახალკაცი (51)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, დაოუაძე (გ. შენგელია 59), წიტაიშვილი, სიჭინავა (მონასელიძე 77), მინაშვილი, გუჩუა, ანჩაბაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩიხრაძე; ქემოკლიძე, რუხაძე, პ. ჯინჭარაძე, შაშიაშვილი
**კოლხეთი:** ქვაჩახია, გ. ჩიტაია (კედელაშვილი 46), გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ტრაპაიძე, ხუჭუა, ე. გვასალია, მ. ქობულაძე (შავგულიძე 85), შალამბერიძე (ახალკაცი 41)
*სათადრიგონი:* მ. გვასალია; პაპავა
**გაფრთხილება:** შალამბერიძე (10), ტრაპაიძე (56), ხუჭუა (87)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ჯ. ბუიშვილი, ბ. ბრეგვაძე (ორივე ჭიათურა); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

ბოლნისი
29 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
600 (ტევადობა 3 000)

## სიონი 1:2 ვიტ ჯორჯია

0:1 გოჩაშვილი (17), 0:2 ქორიძე (53), 1:2 გოგოლაძე (80)
**სიონი:** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, მ. სამხარაძე (ელბაქიძე 70), მოსეშვილი, ისიანი, მ. გოგოლაძე, ბ. შენგელია (დ. ჯაფარიძე 65), ნ. მინდიაშვილი, კ. გოგოლაძე
*სათადარიგონი:* ვოლკოვი; კენჭოშვილი, თ. სამხარაძე
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჟირი, ჭანკოტაძე, თოდუა, საჯაია (დილმელაშვილი 65), ლ. ნოზაძე, ყიფიანი, კოტორაშვილი (ზ. გვაზავა 79), გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (რ. გოცირიძე 70), კობიაშვილი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; მორჩილაძე, ი. ხაჭაპურიძე, დ. დოლიძე
**გაფრთხილება:** თოდუა (45), გოდერძიშვილი (71), ჯაფარიძე (90)
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ზ. ჯვარიძე, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი

გორი
29 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
800 (ტევადობა 8 230)

## დილა 3:0 იბერია

1:0 სულთანიშვილი (44პ), 2:0 გოჩაშვილი (45), 3:0 არუთინიანი (72)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, ფეზუაშვილი (კოჭლაშვილი 72), ციცქიშვილი, საყვარელიძე (ოლგესაშვილი 68), ებანოიძე (არუთინიანი 46), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; კარელიძე, მარეხაშვილი, ელყანიშვილი
**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე (ხმალაძე 71), დ. ნოზაძე, გეგეშიძე (ბანძელაძე 46), მიქელთაძე, კ. ჯანაშია, ოდიკაძე (ზ. მეტრეველი 71), მ. ჯინჭარაძე, ს. გიგიაძე, ივერიანი, მუმლაძე
*სათადარიგონი:* სანიკიძე, ნ. გიორგაძე, გედენიძე
**გაფრთხილება:** ვარდანიძე (43)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი), ზ. დოლიძე; მ. მაისურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

# «ბ» ზონა

თბილისი
28 აპრილი
16 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 1:4 გორდა

0:1 ბურნაძე (12), 0:2 ვ. კილასონია (21), 0:3 მელაძე (77), 1:3 გადელია (85 პ), 1:4 ვ. კილასონია (89)
**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე (ძაგნიძე 82), კ. მელქაძე, ბარნოვი, ზვ. ლაბაძე, ამაშუკელი, პაპიძე, ჩივაძე (გ. ღუდუშაური 46), დ. ტყებუჩავა (ყუფარაძე 58), გადელია, ი. შენგელია
*სათადარიგონი:* მამალაძე; გაფრინდაშვილი, მანჭარაული
**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე (კიტეიშვილი 79), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია, მიშველიძე (ა. ბუკია 76), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე
*სათადარიგონი:* გონგაძე; პატარიძე, ბერიძე, სილაგაძე, ბაჩილავა
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

თბილისი
29 აპრილი
18.45 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 75 000)

## ლოკომოტივი 3:0 თსუ

1:0, 2:0, 3:0 ჟუღელი (20პ, 23პ, 62)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლ. მიქაძე, აბრამიძე, გ. ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია (გილაური 61), ჭიჭვეიშვილი, ჟუღელი (რუსია 72), ხუროძე (ხიზანიშვილი 46), გ. ჩხაიძე
*სათადარიგონი:* ასლანაძე; კაციაშვილი, სალუქვაძე, დ. გოდერძიშვილი
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია (ახალაძე 65), ხართიშვილი, წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი (ლობჟანიძე 88), ერაძე
*სათადარიგონი:* გუგუნავა; გ. გოცირიძე, ქადაგიძე, თ. ბოკერია, დ. არჩვაძე
**გაფრთხილება:** გოგიჩაიშვილი (56), ერაძე (72)
**გაძევება:** ერაძე (73)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილსი); გ. ჩიგოგიძე (სამტერდია), ზ. მენთეშაშვილი; მ. მალალურაძე (ორივე თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 3 000)

## მერანი 0:0 სამგურალი

**მერანი:** ნაჭყეპია, ივანიშვილი, პ. ლურსმანაშვილი (კობესაშვილი 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, ჭინჭარაული, კარიაული, დავითაშვილი (ლ. თოლორდავა 83), როსტიაშვილი, ხორხელი (ბოლქვაძე 73), კაკაბაძე
*სათადარიგონი:* კორომინაძე; ამბიძე, ჯიშკარიანი, [illegible]ბიძე
**სამგურალი:** სტურუა, ჭელიძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ქუთათელაძე 60), გიორგობიანი, სუხიაშვილი, ბერაძე (ჭყონია 71), დარსაძე, ჩხაბერიძე, ხუნდაძე, კვერნაძე (ფუტკარაძე 71)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ნებიერიძე, გ. გოგოლაძე, გ. ჯანელიძე
**გაფრთხილება:** კაკაბაძე (41), ნაჭყეპია (89)
**გაძევება:** კარიაული (73), სუხიაშვილი (73)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

თბილისი
29 აპრილი
16 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 4:2 ხობი

0:1 ვ. ჩიტაია (45), 1:1 ქოიავა (70), 2:1, 3:1 ხმალაძე (72, 80), 4:1 ტულუში (87), 4:2 ლ. ბუკია (89)
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, სულაძე, შუკაკიძე, ი. კაპანაძე, კაკაშვილი, ხმალაძე, ქოიავა, გ. ტულუში
*სათადარიგონი:* ქაცარავა; ჩალაძე, წონკოლაური, კვირკველია
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, დ. ჩიტაია (აბაკელია 74), ჯიქია, ზურაბ აიანადი, მ. ტყებუჩავა (მ. ბუკია 83), ოდიშარია, ქაშიბაძე, ლ. ბუკია, ვ. ჩიტაია, ვართაგავა
*სათადარიგონი:* ხურცილავა, ჭიჭინაძე, ლატარია, თოლორდავა
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. ასკაროღლი (ქარელი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

# რკინიგზამ მესამე მსაჯი იმსხვერპლა

## ალექსანდრე კრიჭაშვილის მონდომებით ლოკომოტივს თსუ დაუმარცხებია

29 აპრილს ეროვნული ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მეცხრე ტური გასრულდა. თამაშებიც ზოგი როგორ დამთავრდა, ზოგიც...

მანამდე კი... თითქოს უჩვეულო იყო, რომ ბევრი წინასწარ ამტკიცებდა, ესა და ეს მატჩი ასეთი და ასეთი შედეგით დასრულდებაო, მაგრამ უფრო უჩვეულო და გულსაკლავი ის არის, რომ ჩვენში ეს ახლა აღარავის აკვირვებს.

იმ დღეს ქვეყნის უპირველესმა სარბიელმა ორ თამაშს უმასპინძლა. „ეროვნულზე“ ჯერ „დინამო“ — „კოლხეთი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. წვიმდა და სტადიონზე მისვლა მხოლოდ ათასამდე გულშემატკივარმა ინება. ისე, წვიმა რა შუაშია, ფეხბურთი იყოს და ქართველ ქომაგს შინ რა გააჩერებს.

მორჩა თუ არა პირველი თამაში, სტადიონზე მაყურებელთა რაოდენობა განახევრდა. „ლოკომოტივ“ — თსუ-ს დაპირისპირება თითქოს უფრო სანახაობრივ და დაძაბულ ორთაბრძოლას გვპირდებოდა, ქომაგთა ნახევარმა კი მატჩის ხილვას შინ წასვლა არჩია.

თამაშის დაწყებამდე პირველ-მეორე იარუსებს შორის ერთ ნაცნობს შევეჩეხე, შინ მიიჩქაროდა...

— სად მიდიხარ, თამაშს არ უნდა უყურო?

— აზრი არა აქვს, დღეს თსუ-ს „დაწვავენ“. ეს სიმართლეა და წყალი არ გაუვა. მე კი არ მინდა, ნერვები ვიშალო. შინ წასვლა სჯობია და შენც ამას გირჩევ.

...ის კაცი ბოლომდე თუ არა, ნაწილობრივ მაინც არის ჩახედული ქართული ფეხბურთის სამზარეულოში.

დაიწყო თამაში. მეოცე წუთამდე საკვირველი არაფერი მომხდარა. მერე კი არბიტრმა კრიჭაშვილმა სამწუთიან მონაკვეთში მასპინძელთა ანუ ლოკომოტიველთა სასარგებლოდ ორი თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ივანე ჯუღელმა ორივე პენალტი გოლად აქცია. თსუ-სთვის კი თამაში 23-ე წუთზე დამთავრდა. არა, სტუდენტებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, მაგრამ კარგად მოთამაშე ლომაიას, რკინიგზელთა დამცავ ზღუდეებს და ყველაზე მეტად მსაჯს ვერაფერი მოუხერხეს.



ალექსანდრე კრიჭაშვილი

მაშინაც საეჭვოდ ჩანდა კრიჭაშვილის მიერ დანიშნული პენალტები, მაგრამ ფიქრი და განსჯა საქმეს არ აწყენდა, თანაც სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის ვერდიქტსაც ველოდით და სხვადასხვა ვერსიებიც გადასამოწმებელი იყო.

გუშინ სამკაციანმა კომისიამ (ანატოლი მილჩენკო, ნიკა ამირეჯიბი და ადიკ დურსუნიში) ალექსანდრე კრიჭაშვილს განაჩენი გამოუტანა:

„საკითხის განხილვის შემდეგ გაირკვა, რომ არბიტრმა კრიჭაშვილმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა — ორი თერთმეტმეტრიანი არასწორად დანიშნა, რამაც გავლენა იქონია შეხვედრის შედეგზე. მსაჯს სხვა შეცდომებზეც მიუთითეს.“

საბოლოოდ კრიჭაშვილი პირველი ჯგუფს ერთი კალენდარული თვით ჩამოაშორეს და გააფრთხილეს, თუ მსგავსი რამ განმეორდება, მის მიმართ უფრო მკაცრ ზომებს მიიღებენ.

კი ბატონო, მსაჯი დაისაჯა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტია, რომ ამით თსუ-მ ვერაფერი იხეირა და საერთოდ, რატომ ებრძვიან ამ მართლაც პერსპექტიულ გუნდს, პირადად ჩემთვის გაუგებარია.

ჩემი აზრით, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ თსუ საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვედრილიყო, ახლა, ჩანს, ჯგუფიდან გაძევებას უპირებენ. არადა, თსუ „ბ“ ზონაში ყველას თუ არ სჯობს, არც არავის ჩამოუვარდება.

ერთიც საკითხავია, ჩემპიონატის თითქმის ყველა სადავო მომენტი რატომ უკავშირდება „ლოკომოტივს“? რკინიგზელებმა ჯერ გურამ ასკაროღლი შეიწირეს, მერე ზურაბ დოლიძე დარჩა უსაქმოდ, ახლა ალექსანდრე კრიჭაშვილის ჯერი დადგა. ვინ იქნება მომდევნო მსაჯი?

ნურავის ჰგონია, რომ ჩემპიონატში მიმდინარე ბინძური თამაში „სარბიელისთვის“ შეუმჩნეველია. ჩვენ კი არა, ყველამ ყველაფერი იცის და დუმილის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ყველა ნაავკაცარს დამამტკიცებელი საბუთი სჭირდება.

არც ის დღეა შორს, როცა აზრმრუდეებს კოკა სწორედ წყაროზე გაუტყდებათ და... მერე მთელი საფეხბურთო საქართველო (და არა მარტო საქართველო) სიმართლეს შეიტყობს და ავისმზრახველებიც „დაიწვებიან“ ისე, როგორც კრიჭაშვილმა თსუ „დაწვა“.

კონკრეტული გვარ-სახელების დასახელებისგანაც ჯერჯერობით ამიტომ ვიკავებთ თავს, მაგრამ ვიღაც უნიათოსა და უთავოს კეთილდღეობისთვის მომავლის იმედს რომ არავის მოვაკვლევინებთ, ესეც ფაქტია.

მანამდე კი იბოგინებს ბოროტი, „დაწვავენ“ და დაღუპავენ მართალ გუნდებს, მაგრამ, გვერწმუნეთ, ეს დიდხანს არ გაგრძელდება.

ქომაგი გონიერია, გულშემატკივარმა ყველაფერი იცის, ყველაფერს ხედავს. ამიტომაც არ დადის სტადიონზე. მატჩის ოქმში დასწრების უზომოდ გაზვიადება კი საქმეს ვერ უშველის.

**მამუკა ქვანტალიანი**

# განთიადს დაუღამდა

საქართველოს ჩემპიონატის რეგიონალური ლიგა ნაადრევად შეთხელდა. სფფ-ს დადგენილებით, კასპის „განთიადი“ ჩემპიონატიდან მოიკვეთა. ფეხბურთის ფედერაციამ არსებული დებულებით იხელმძღვანელთა და ქართლელებს სამართლიანი სასჯელი გამოუტანა.

„განთიადმა“ ეროვნული ჩემპიონატი რიხით დაიწყო და რეგიონალური ლიგის აღმოსავლეთ ჯგუფის „ა“ ზონის ლიდერიც გახდა. პირველი ეტაპის გასრულების შემდეგ კასპელებს სამომავლოდ თორმეტგუნდა მეორე ჯგუფის კანდიდატადაც თვლიდნენ, თუმც შემდეგ გუნდის მდგომარეობა ერთობ გაუარესდა, რაც, ბუნებრივია, ფინანსური სიდუხჭირით იყო განპირობებული. „განთიადმაც“ წაგებას უხშირა, რეგიონალური ლიგის ჩემპიონატის XV ტურში კი სულაც არ გამოცხადდა „ვარძიასთან“ სათამაშოდ, რისთვისაც 0:3 წაგება ჩაეთვალა. სწორედ ეს გახდა გუნდის გათამაშებიდან მოხსნის მიზეზი, თუმც სფფ-ს ცხელ გულზე არ მიუღია გადაწყვეტილება. ამგვარი ფაქტები ადრეც ყოფილა, მაგრამ გუნდები ამისთვის ასე მკაცრად არ დასჯილან. მაგალითისთვის, იმავე, XV ტურში ჩოხატაურის „ბახმაროც“ არ გამოცხადდა „კოლხეთი 2“-თან სათამაშოდ, მაგრამ ჩოხატაურელებს საპატიო მიზეზი გამოუჩნდათ, გუნდი ავტობუსმა დაალალატა. „განთიადს“ კი ვარძიაში ჩაუსვლელობის მიზეზი არ აღმოაჩნდა. გადაწყვეტილების მიღებამდე სფფ-ს საშეჯიბრო კომიტეტმა სიტუაციაში გარკვევა სცადა. კასპის გამგეობის და სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ განაცხადეს, რომ გუნდი ფაქტობრივად დაშლილია და მის ჩემპიონატში მონაწილეობას აზრი აღარ აქვს. კასპელთა ამ განცხადებას სფფ-მ მკაცრი ვერდიქტი მოაყოლა — „განთიადი“ ეროვნულ ჩემპიონატში აღარ ითამაშებს.

**პაატა ქვანტალიანი**

# გუცაევი ვლადიკავკაზიდან წავიდა

მოსკოვის „დინამოსთან“ დამარცხების შემდეგ (0:1) ვლადიკავკაზის „ალანიას“ ბაზა მოულოდნელად დატოვა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა. მისი ადგილსამყოფელის დადგენა კი თვით კლუბის ხელმძღვანელებმაც ვერ მოახერხეს დაახლოებით ერთი დღის განმავლობაში.

ორ მაისს, საღამოს, ორდღიანი დასვენების შემდეგ, „ალანიას“ ფეხბურთელები თავიანთ ბაზაზე შეიკრიბნენ და გამართეს თათბირი, რომელსაც კლუბის პრეზიდენტი სერგეი ტაკოევი და გენერალური დირექტორი ბათრაზ ბითაროვიც ესწრებოდნენ. საუბარი შეეხო გუნდში არსებულ ვითარებას და იმას, თუ როგორ გამოესწორებინათ არასასურველი სატურნირო მდგომარეობა. გენერალურმა დირექტორმა ფეხბურთელებს შეატყობინა, რომ გუცაევი შეუძლოდ შეიქნა და ამის გამო თბილისში, საკუთარ სახლში იმყოფებოდა. გუნდს კი მომდევნო ტურისთვის ალექსანდრე იანოვსკი მოამზადებდა. იანოვსკის ვლადიმერ პანოვი და „ალანიას“ კაპიტანი ბახვა თედეევი დაეხმარებიან.

— მე ველაპარაკე გუცაევს ტელეფონით — თქვა ბითაროვმა — მისი თქმით, ვერ მოახერხა ვლადიკავკაზთან დროულად დაკავშირება და ამიტომ ვერ შეატყობინა „ალანიას“ მესვეურებს ავადმყოფობის შესახებ. სავარაუდოდ, გუცაევი ვერც კლუბის მეპატრონეთა საბჭოს შეკრებას დაესწრება, რომელზეც საკადრო საკითხები უნდა განიხილონ.

**ლუკა თალაკვაძე**

# რეგიონალური ლიგა

## დასავლეთი

### „ა“ ზონა

XVII ტური

28 აპრილი

**რაჭა 0:2 მეტალურგი**

0:1 აბაზაძე (22), 0:2 გობრონიძე (42)
მსაჯი: კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

**გაგრა 3:2 სულორი**

0:1 მიქელთაძე (3), 1:1, 2:1 ი. ჩხეტიანი (36, 40), 3:1 მანაგაძე (79), 3:2 მიქელთაძე (87)
გაფრთხილება: ლილვაშვილი (სულორი)
მსაჯი: თ. გიორგაძე (სამტრედია)

**მაღაროელი 2:0 რწმენა**

1:0, 2:0 ლოლაძე (50, 88)
გაფრთხილება: ჯოხაძე, გოცაძე (ორივე მაღაროელი), აბუთიძე (რწმენა)
მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

**მეშახტე 1:7 გურია**

0:1 პატარაია (14), 0:2 მაჩიტიძე (37), 0:3 ქიქავა (47), 0:4, 0:5 პატარაია (60, 62), 0:6, 0:7 ქიქავა (66, 81), 1:7 ტისიაშნი (88)
გაფრთხილება: პატარაია (გურია)
მსაჯი: ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)

**ოკეანე 2:2 მარგვეთი**

1:0, 2:0 კრავეიშვილი (41, 49), 2:1 გეწაძე (55), 2:2 მუმლაძე (60)
გაფრთხილება: ხელაძე, ჯიქიძე, ჯიქია, ფოფხაძე (ყველა ოკეანე), გაბრიჭიძე, ჯღარკავა, ლონლაძე (ყველა მარგვეთი)
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**ინტერი 2:3 იბერია 2**

0:1 ბობოხიძე (31), 1:1 გამეზარდაშვილი (43), 1:2 ნაროუშვილი (47), 1:3 ოდიკაძე (63), 2:3 ლომთაძე (85)
გაფრთხილება: მეგრელიშვილი, გაბუნია (ორივე ინტერი)
მსაჯი: ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარგვეთი | 17 | 13 | 4 | 0 | 54:13 | 43 |
| ოკეანე | 17 | 10 | 4 | 3 | 39:21 | 34 |
| იბერია 2 | 17 | 8 | 6 | 3 | 31:20 | 30 |
| მეტალურგი | 17 | 8 | 5 | 4 | 29:21 | 29 |
| გაგრა | 17 | 6 | 6 | 5 | 24:26 | 24 |
| ინტერი | 16 | 6 | 6 | 4 | 22:15 | 24 |
| რწმენა | 17 | 4 | 6 | 7 | 12:20 | 18 |
| რაჭა | 17 | 4 | 6 | 7 | 20:23 | 18 |
| სულორი | 17 | 4 | 5 | 8 | 20:38 | 17 |
| მაღაროელი | 17 | 3 | 5 | 9 | 22:30 | 14 |
| გურია | 17 | 4 | 1 | 12 | 23:34 | 13 |
| მეშახტე | 16 | 2 | 4 | 10 | 16:51 | 10 |

## დასავლეთი

### „ბ“ ზონა

XVII ტური

28 აპრილი

**ფაზისი 2:3 ზუგდიდი**

0:1 ჯოლოხავა (18), 0:2 ჯიქია (32), 0:3 გოგიტაძე (62), 1:3 ვახანია (80ს.კ.), 2:3 მაკალათია (89)
გაფრთხილება: მასხულია, ადამია (ორივე ფაზისი), ჯოლოხავა, თორია, კვარაცხელია (ყველა ზუგდიდი)
გაძევება: ვახანია (83, ზუგდიდი)
მსაჯი: ი. კახიანი (თბილისი)

**ჩელა 1:3 მეგრი**

0:1 კ. კვეკვესკირი (10), 0:2 ქარჩავა (20), 0:3 კუტალია (55), 1:3 ხუბუა (83)
გაფრთხილება: აბსანძე (ჩელა), შელია (მეგრი)
მსაჯი: კ. მესხი (ზუგდიდი)

**შუქურა 3:1 ბათუმი 2**

1:0 ბერიძე (46), 2:0 კალანდაძე (60), 3:0 ყულეჯიშვილი (69), 3:1 ნემსაძე (87)
მსაჯი: მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**სამეგრელო 0:5 კოლხეთი 2**

0:1 კვირკველია (55), 0:2 ყურაშვილი (57), 0:3 კრასოვსკი (60), 0:4 კვირკველია (67), 0:5 ბაჩილავა (80)
გაფრთხილება: ფარულავა (სამეგრელო)
მსაჯი: გ. ცირდავა (გულრიფში)

**ლაზიკა 6:2 მერცხალი**

1:0 ქირია (3), 2:0 ლიპარტია (10), 3:0 ჯოჯუა (18), 4:0 სანაია (24), 4:1 მგელაძე (34), 5:1 ჭითანავა (47), 6:1 ჭეჟია (80), 6:2 მანჯავიძე (89)
მსაჯი: ლ. მიქელაძე (ზუგდიდი)

29 აპრილი

**ბახმარო 3:2 სქური**

1:0, 2:0 ბერაძე (20, 59), 2:1 ჯოლია (60), 3:1 თავბერიძე (80), 3:2 ლუკავა (83)
გაფრთხილება: სიხარულიძე, ჯიბუტი (ორივე ბახმარო), როგავა, ზ. თოლორდავა (ორივე სქური)
მსაჯი: ჟ. მაჭარაშვილი (ქუთაისი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შუქურა | 17 | 14 | 2 | 1 | 56:16 | 44 |
| ზუგდიდი | 17 | 12 | 2 | 3 | 46:17 | 38 |
| მეგრი | 17 | 12 | 2 | 3 | 27:13 | 38 |
| ლაზიკა | 17 | 10 | 4 | 3 | 40:15 | 34 |
| კოლხეთი 2 | 17 | 10 | 4 | 3 | 26:14 | 34 |
| ფაზისი | 17 | 9 | 3 | 5 | 31:27 | 30 |
| სამეგრელო | 17 | 4 | 4 | 9 | 19:31 | 16 |
| სქური | 17 | 4 | 2 | 11 | 23:44 | 14 |
| ბათუმი 2 | 17 | 1 | 8 | 8 | 16:27 | 11 |
| ჩელა | 17 | 2 | 4 | 11 | 16:42 | 10 |
| მერცხალი | 17 | 1 | 5 | 11 | 11:35 | 8 |
| ბახმარო | 17 | 2 | 2 | 13 | 13:43 | 8 |

## აღმოსავლეთი

### „ა“ ზონა

XVI ტური

27 აპრილი

**ცხუმი 3:1 ივერია**

1:0 საჯაია (13), 2:0 მებალიშვილი (35), 3:0 ბოჯგუა (77), 3:1 გოგოლაძე (82)
გაფრთხილება: ასიტაშვილი, არეშიძე (ორივე ცხუმი), წიკლაური, ნეკერაშვილი (ორივე ივერია)
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

28 აპრილი

**თორი 1:0 ცხინვალი**

1:0 ვარდიაშვილი (6)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

**საუ 1:0 მრეტები**

1:0 ბეროშვილი (62)
გაფრთხილება: ძაგნიძე (მრეტები)
გაძევება: ოსაძე (57, საუ), ჩახვაძე (69, მრეტები)
მსაჯი: ი. აფციაური (თბილისი)

29 აპრილი

**მესხეთი 5:1 ვარძია**

1:0 სუდაძე (18), 2:0 ინასარიძე (37), 3:0, 4:0 გვირჯიშვილი (70, 74), 4:1 გელაშვილი (83), 5:1 ბერძენიშვილი (85)
მსაჯი: ლ. რაზმაძე (გორი)

**განთიადი 0:3 არაგვი**

*„განთიადი“ წინა ტურში „ვარძიასთან“ არგამოცხადების გამო მოიხსნა გათამაშებიდან.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხინვალი | 15 | 11 | 2 | 2 | 285 | 35 |
| თორი | 16 | 11 | 2 | 3 | 32:12 | 35 |
| ივერია | 15 | 10 | 0 | 5 | 36:18 | 30 |
| იბერია | 15 | 8 | 1 | 6 | 22:16 | 25 |
| ცხუმი | 16 | 7 | 2 | 7 | 27:21 | 23 |
| განთიადი | 15 | 7 | 1 | 7 | 23:29 | 22 |
| მესხეთი | 15 | 6 | 4 | 5 | 33:29 | 22 |
| საუ | 16 | 6 | 1 | 9 | 21:26 | 19 |
| ვარძია | 16 | 4 | 1 | 11 | 14:41 | 13 |
| მრეტები | 15 | 2 | 5 | 8 | 12:28 | 11 |
| არაგვი | 16 | 3 | 1 | 12 | 17:40 | 10 |

## აღმოსავლეთი

### „ბ“ ზონა

XVI ტური

27 აპრილი

**ხალიბი 1:2 ლოკომოტივი 2**

1:0 სივსივაძე (41), 1:1 არუდაშვილი (57), 1:2 შავშიშვილი (62)
გაძევება: ზაზაშვილი (42, ხალიბი)
მსაჯი: ა. მეშკოვი (თბილისი)

28 აპრილი

**ზოოვეტი 1:3 არსენალი 2**

0:1, 0:2, 0:3 საბიაშვილი (25, 58, 82), 1:3 გუგუშვილი (88)
გაფრთხილება: ბოსტოლანაშვილი (ზოოვეტი), კალმახელია (არსენალი 2)
მსაჯი: ზ. ანიაშვილი (გორი)

**აკადემია 2:0 ამირანი**

1:0 ბახტაძე (56), 2:0 ჩადუნელი (90)
გაფრთხილება: ხეცურიანი, ჩადუნელი (ორივე აკადემია), ჩანადირი (ამირანი)
გაძევება: მელიქია (57, ამირანი)
მსაჯი: ო. ხეცაძე (თბილისი)

**ყვარელი 0:4 ჭაბუკიანი**

0:1, 0:2, 0:3 მერებაშვილი (25, 58, 70), 0:4 გუნია (87)
მსაჯი: გ. მაისურაძე (თბილისი)

29 აპრილი

**სამგორი 1:8 ალაზანი**

0:1 მიკუჩაძე (1), 1:1 არქანია (41), 1:2 ვარამიშვილი (52), 1:3 ილურიძე (54ს.კ.), 1:4 ვარამიშვილი (56), 1:5, 1:6 მიკუჩაძე (71, 82), 1:7 ვარამიშვილი (85), 1:8 ყალაბეგაშვილი (88)
გაფრთხილება: ილურიძე (სამგორი)
მსაჯი: დ. რეხვიაშვილი (რუსთავი)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი 2 | 15 | 12 | 1 | 2 | 32:12 | 37 |
| არსენალი 2 | 16 | 10 | 4 | 2 | 33:17 | 34 |
| ზოოვეტი | 15 | 9 | 3 | 3 | 34:21 | 30 |
| ჭაბუკიანი | 15 | 9 | 2 | 4 | 26:9 | 29 |
| ალაზანი | 15 | 9 | 2 | 4 | 36:17 | 29 |
| ამირანი | 16 | 7 | 2 | 7 | 25:30 | 23 |
| ხალიბი | 16 | 5 | 2 | 9 | 1828 | 17 |
| აკადემია | 15 | 4 | 4 | 7 | 11:12 | 16 |
| თბილისი 2 | 15 | 3 | 4 | 8 | 1824 | 13 |
| სამგორი | 16 | 2 | 1 | 13 | 17:51 | 7 |
| ყვარელი | 16 | 2 | 1 | 13 | 12:41 | 7 |

# არჩილი დონდტთან და შოთასთან

ეს სააღდგომო უქმეები ქართველთათვის ტრავმათა მოშუშების და საქმეში დაბრუნებისა გამოდგა.

*პრემიერლიგის* „ნიუკასლში" ისევ გამოჩნდა თემურ ქეცბაია, რომლის პასითაც შაბათს ჯორდებმა მეორე გოლი გაუტანეს „ქოვენთრის" და 2:0 მოუგეს. თემური 39-ე წუთზე დაშავებული დიდიე დომის ნაცვლად ათამაშა ბობი რობსონმა და სამშაბათს „მიდლსბროს" სულაც ძირითად შემადგენლობაში აწვია.

ქეცბაიამ 9 დეკემბრის მერე პირველად დაიწყო ძირითადში თამაში და თავი არ შეურცხვენია — დაღლილობა მხოლოდ ბოლოსკენ დაეტყო. პირველ ტაიმში გატანაც შეეძლო, მაგრამ მაშინ, როცა ანგარიში 1:1 იყო, სოლანოს ჩაწოდებულ ბურთს ვერ მიწვდა. თემურმა ერთ-ორჯერ დარტყმა და „ბოროს" მეკარის მზადყოფნის შემოწმებაც სცადა.

გიორგი ქინქლაძე „დერბის" „ტოტენჰემთან" სანტუმრო ქულის მოპოვებაში დაეხმარა. ის კი არა, ბოლო 50 წუთს კაცნაკლული სტუმრები ბოლო წუთამდე 1:0 იგებდნენ. „დერბი" კარბონარის გოლით 63-ე წუთზე დაწინაურდა, მაგრამ გატანა ჯერ კიდევ პირველი 25 წუთის თავზე შეეძლო. მალკოლმ კრისტმა ქინქლაძესთან გათამაშებული იერიშით თავბრუ დაახვია კერს და კემპბელს, მაგრამ „სფურზის" მეკარე იან უოქერს ვერ აჯობა.

კვლავ არ გამოჩენილა „ჩელსის" თადარიგშიც კი რატი ალექსიძე, რომელიც სომხეთთან სათამაშოდ საქართველოს ნაკრებში იყო მიწვეული.

*ბუნდესლიგის* მორიგი ტური კვლავ ხელხვავიანი გამოდგა „ფრაიბურგისთვის", ოღონდ არა მისი ქართველებისთვის. ბერლინში „ჰერტამ" ვერაფრით დაძლია სტუმართა მეკარე ფრიდრიხ გოლცის წინააღმდეგობა, რისთვისაც „ფრაიბურგის" კარის დარაჯს „კიკერმა" უმაღლესი შეფასება — 1 გამოუწერა — განსხვავებით კობიაშვილისგან და იაშვილისგან, რომლებიც 4-იანებს დააჯერა.

იაშვილს ოთხმეტე წუთზე ჰქონდა გატანის და „კიკერის" გულის მოგების შანსი, როცა „ჰერტას" უნგრელი მეკარე, გაბორ კირალი არ ჩამოჩა სტუმარ კოლეგას.

*ჰოლანდიაში* მოთამაშე ტყუპი არველაძეების სააღდგომო ბედი ტყუპისცალივით სრულებით არ ჰგავს ერთმანეთს.

შოთას „აიაქსი" რონალდ კუმანის „ვიტესთან" 0:3 რომ დამარცხდა, პირველ დივიზიონში მესამეა, „ექსელსიორთან" 3:2 მომგები არჩილის „ბრედა" კი მეორე დივიზიონს პირველობს.

არჩილმა ორჯერ თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში, გამარჯვებისა კი მისმა შემცვლელმა სალმონმა გაიტანა. ბოლო 65 წუთს „ბრედას" კარს „დინამოს" ყოფილი მეკარე დენი დონდტი იცავდა.

მხოლოდ ქულა სჭირდება „ბრედას" დარჩენილ 2 ტურში პირველდივიზიონელი რომ გახდეს. თუ სასწაული მოხდა და ქულა ვერ აიღო, მაშინ, როგორც მეორე პერიოდის (IX-XVI ტურები) ჩემპიონს გადათამაშებაში მოუწევს მონაწილეობა.

*ბელგიის* თასის გათამაშებას ნახევარფინალში გამოეთიშა გელა შეყილაძის „ლიერსი". შინ 0:2 რომ ვერ გაუბათილა „სტანდარდს". მეორე ფინალისტი კი იოჰან ბოსკამპის გაწვრთნილი „გენკი" გამოდგა, რომელმაც „სენტ ტრუიდენს" ორი მატჩის ჯამში 1:0 სძლია.

ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე ფინალში „სტანდარდის" გამარჯვება აჯობებს. არა ბოსკამპისთვის მორიგი ნიშნის მოგების მიზნით (სულაც არ გახლავართ ბოსკამპის მოძულე) არამედ ლიეჟელთა ულაპარაკო „გასაევროპელებლად". როგორც პირდებიან, გაისად „სტანდარდში" დააბრუნებენ ფარმ-კლუბ „ვეზეტში" განათხოვრებულ ლაშა ჯაკობიას, რომელმაც სომხეთის მოვლის შემდეგ მოასწრო „მაასლანდთან" თამაში.

*შვეიცარიულ* ქვედა ჯგუფში ყაველაშვილის დუბლით მიზანს მიუახლოვდა „ციურიხი". ჯამარაულის და ყაველაშვილის გუნდი ახლა მეცამეტეა, „ბელინზონას" შემდეგ, რომლის ახალგაზრდულ გუნდში კიდევ ერთი ქართველი ირაკლი სამხარაძე თამაშობს.

„ციურიხს" თორმეტ გუნდში მოხვედრა საგაისო პირველ დივიზიონში დატოვებს. ყაველაშვილმა ორჯერ გატანის გარდა, ერთხელ, შესვენებამდე „ლუგანოს" ძელიც შეურყია და ახალი მწვრთნელის, ჟილბერ გრესის საშინაო დებიუტში ყველასგან გამოირჩა.

*საბერძნეთში* ტურის ძირითადი ნაწილი გუშინ გაიმართა და გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკმა" მოგების და დაწინაურების გარდა ლიდერთა დავის კორექტირებაც შეძლო. პადრელებმა 1:0 მოუგეს მეორე ადგილოსან „პანათინაიკოსს", რითაც ლიდერი „ოლიმპიაკოსის" ფანობა აღაფრთოვანეს.

ლევან ქებაძის „ირაკლისი" შინ 0:3 დამარცხდა მესამე ადგილზე მყოფ ოფი-სთან და ერთხანს მეოთხეც რომ იყო, ახლა სალონიკური სამეულის და ზოგადბერძნული რვეულის ბოლოში მოექცა.

*რუსეთში*, ჩანს, „ალანიამ" ვლადიმერ გუცაევი მოიწყინა. ვლადიკავკაზელებმა შინ 0:1 წააგეს ყოფილი თავკაცის, ვალერი გაზაევის მოსკოვურ „დინამოსთან".

ტრავმის გამო ისევ ვერ ითამაშა ზაზა ჯანაშიამ, რომლის „ლოკომოტივი" გოგობერიშვილის „ანჟისთან" 1:0 მოგებით ცხრილის სათავეში დარჩა.

როგორც იქნა ათამაშა ქართველები ალექსანდრ ტარხანოვმა, მაგრამ გვარამაძის და ფოფხაძის „კრილიამ" 0:1 წააგო „როტორთან". ფოფხაძეს 2 მეტრიდან დარტყმული გაუცუდდა, გვარამაძე კი ბოლო წუთზე მისინის დარტყმულის გაშვებაში არავის გაუწბილებია.

*უკრაინის* ქართულ ლეგიონსაც ვერ ჰქონდა სახარბიელო ტური. კალაძეს ასე ცუდი თამაში კიევში აღარც ახსოვდათ. დემეტრაძე კი პრიკარპატულ „რუხის" სტადიონზე ბოლო ათ წუთს ერთავად კოტრიალობდა და მზეს ეფიცხებოდაო, აღნიშნეს უკრაინულ პრესში. ივანო ფრანკოვსკში 23 გრადუსი იყო, ასე იტყობინებიან იმიერკარპატელი სინოპტიკოსები.

*ლატვიაში* წლეულს პირველად გაიტანა დავით ჩალაძემ, რომლის „სკონტომაც" „დინაბურგს" მოუგო.

*ისრაელში* კი ხეირი, ისიც სანახევრო, მხოლოდ დარასელიას ქვარ სავის „ჰაპოელმა" ნახა, გიორგიმ ანგარიში თავად გაათანაბრა მას შემდეგ, რაც დაწინაურებულმა სტუმრებმა პენალტი ვერ გამოიყენეს. ქვარ საველებს ერთი საფეხური აშორებთ გულარხეინთა ზონას, მაგრამ იქამდე აჩოჩება ძალიან გაუჭირდებათ, რადგან მომდევნო ტურში ევროსაგზურისთვის მებრძოლ თელ ავივის „ჰაპოელს", „მუკუს" პირველ ებრაულ გუნდს სტუმრობენ. სხვათა შორის, დარასელიამ პარასკევს ნეკნგაბზარულმა ითამაშა — იგი კლუბის მესვეურთა თხოვნას დაჰყვა და ექიმთა რჩევა, დაესვენა, უგულვებელჰყო.

*მოლდოვაში* ქულამდე დაიახლოვა ლიდერმა „შერიფმა" „ზიმბრუ". ტირასპოლელებმა, რომელთა მონაცემების შეტყობა საპირველმაისო უქმეთა გამო ვერ შევძელით, შინ ორი ქულა დაკარგეს „ნისტრუ უნისპორტთან", რომელიც ოტაჩის „ნისტრუს" და კიშინიოვის „უნისპორტის" ჰიბრიდია.

ევროპული ქვეყნების ჩემპიონატთა უმრავლესობა ფინიშის სწორზე გავიდა. თავის გამოჩენა სწორედ ასეთ დროსაა კარგი და ვნახოთ, რას იზამენ მაისში ქართველები.

**ვახტანგ ბზიკაძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | ქოვენთრი 2:0 | 51 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 1 | 12 |
| | ნიუკასლი | ს | მიდლსბრო 2:2 | 87 | შეცვალეს | 18 | 1 | 12 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | ს | ტოტენჰემი 1:1 | 90 | | 16 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ლიდსი 1:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 0:0 | 90 | გააფრხილეს | 20 | 1 | 13 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 0:0 | 90 | გააფრხილეს | 31 | 5 | 13 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ჰერტა 0:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 13 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | ვიტესი 0:3 | 76 | შეცვალეს | 13 | 5 | 3 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | ექსელსიორი 3:2 | 64 | 2 გოლი | 25 | 20 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| თასის ნახევარფინალი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | სტანდარდი 0:0 | 90 | გააფრხილეს | 17 | 0 | 6 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | შ | მაასლანდი 2:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 12 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ლუგანო 2:1 | 90 | | 27 | 6 | 13 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ლუგანო 2:1 | 79 | 2 გოლი, გააფრხილეს, შეცვალეს | 16 | 3 | 13 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | პანათიანაკოსი 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 16 | 1 | 11 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | ოფი 0:3 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 1 | 8 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:1 | 90 | 1 გოლი | 4 | 1 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 2:1 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დინაბურგი 2:1 | 45 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 4 | 2 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დინაბურგი 2:1 | 33 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | ვენტსპილსი 0:1 | 80 | შეცვალეს | 4 | 0 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ანჟი 1:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 1 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | ს | დინამო 0:1 | 90 | | 6 | 2 | 15 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | ს | დინამო 0:1 | 90 | გააფრხილეს | 6 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | ს | დინამო 0:1 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 15 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | ს | დინამო 0:1 | 45 | შეცვალეს | 5 | 0 | 15 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | როტორი 0:1 | 90 | | 1 | -1 | 10 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | როტორი 0:1 | 90 | | 1 | 0 | 10 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | სატურნი 2:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ზენიტი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 3 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | ს | ლოკომოტივი 0:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 7 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | შ | ბალტიკა 1:0 | 13 | შეცვალეს | 3 | 0 | 7 |
| | სოკოლი | შ | ლ.პეტერბურგი 2:1 | 0 | | 3 | 0 | 5 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ვოლგარი 0:1 | 86 | შეცვალეს | 4 | 0 | 19 |
| | ლ.პეტერბურგი | ს | სოკოლი 1:2 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 20 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | ვოლგარი 0:1 | 90 | | 4 | 0 | 19 |
| | ლ.პეტერბურგი | ს | სოკოლი 1:2 | 90 | | 5 | 0 | 20 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | შ | ლ.პეტერბურგი 1:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა, შეცვალეს | 2 | 0 | 18 |
| | ვოლგარი | შ | ბალტიკა 0:0 | 0 | სათადარიგო | 2 | 0 | 18 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | ს | კრისტალი 1:1 | 90 | საგოლე პასი | 3 | 2 | 11 |
| | ჟემჩუჟინა | ს | შინიკი 1:2 | 90 | | 4 | 2 | 15 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | ს | პრიკარპატიე 1:2 | 62 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 19 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | ს | პრიკარპატიე 1:2 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 7 | 4 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | ს | მეტალისტი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 5 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | ვორსკლა 0:2 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 10 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 90 | | ? | 8 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 62 | შეცვალეს | ? | 2 | 14 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 90 | | ? | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 90 | | ? | 0 | 14 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | ? | 3 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 90 | | 4 | 0 | 14 |
| კოტე მეტრეველი | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 14 |
| დიმიტრი არსოშვილი | ნივა | ს | ზაპოროჟიე 0:4 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 14 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | ლკს 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 6 | 0 | 3 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | შ | მ.ნეთანია 1:1 | 90 | გოლი | 32 | 7 | 12 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | ს | ჰ.თელ ავივი 0:3 | 56 | შეცვალეს | 27 | 2 | 3 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | ოლიმპია 3:0 | 0 | ნაკრებში იყო გამოძახებული | 6 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | ნისტირუ 1:1 | ? | | ? | 7 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | ნისტირუ 1:1 | ? | | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ნისტირუ 1:1 | ? | | ? | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | ნისტირუ 1:1 | ? | | ? | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქებმა სკალას უხმეს

„პარმას“ ყოფილმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ თურქეთს მიაშურა და კარიერის გაგრძელება „ბეშიქთაშში“ ისურვა. ოფიციალური ინფორმაციით, გამოცდილმა სპეციალისტმა სტამბოლურ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა. „ბეშიქთაშის“ პრესატაშემ თანხა არ დაასახელა, თუმც იქაური გაზეთები იუწყებიან, რომ სკალა კლუბში ორი წლის მუშაობის საფასურად 3 მილიონ დოლარს მიიღებს.

ცალკეა გათვალისწინებული პრემიაც. თუ სკალა „ბეშიქთაშს“ თურქეთის ჩემპიონობას მოაპოვებინებს, კლუბი მას 500 ათასი დოლარით დააჯილდოვებს.

„ბეშიქთაშის“ ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა, გერმანელმა ჰანს პეტერ ბრიგელმა კლუბთან მიმდინარე კონტრაქტის გახანგრძლივება იუარა და გადაწყვეტილება გასამრჯელოზე შეუთანხმებლობით ახსნა, ისიც დასძინა, რომ უახლოეს მომავალში პოსტს დატოვებს.

ნევიო სკალა თავისი საქმის ჩინებული მცოდნეა, თუმც ბოლო ორი წელია, არსად უმუშავია. დორტმუნდის „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელის პოსტი მან ზუსტად ორი წლის წინ დატოვა.

სკალამ ყველაზე დიდ წარმატებას „პარმაში“ მიაღწია — გუნდს თასების მფლობელთა და უეფას თასები მოაგებინა.

განთქმული მწვრთნელი სტამბოლში ოთხშაბათს ჩავიდა და მისივე განცხადებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე „ბეშიქთაშის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას აპირებდა, მაგრამ კლუბის წინადადებაზე რამდენიმე საათში დათანხმდა.


REUTERS სტამბოლიდან
ნევიო სკალა „ბეშიქთაშის“ ოფისთან

თურქეთის პირველობის დასრულებამდე სამი ტური დარჩა. „ბეშიქთაშს“ ბოლო 14 მატჩი არ წაუგია, ბოლო ტურში შინ „ბურსა“ გაანადგურა 5:1. თუმც ერთობ წარმატებული სერიის მიუხედავად, გუნდი ლიდერ „გალათასარაის“ მაინც 6 ქულით ჩამორჩება და დარჩენილ სამ შეხვედრაში თანაქალაქელს ჩემპიონობაში, ალბათ, ველარ შეეცილება.

ნევიო სკალას საჩემპიონო გუნდის შექმნა მომავალი სეზონიდან მოუწევს.

# მშვიდობით, პრიმერა! გამარჯობა, მწვრთნელო

გუს ჰიდინკის გადაყენება მოულოდნელი არ ყოფილა, მისი გუნდი ძალიან ცუდად თამაშობს.

კვირას „ბეტისის“ პალმა დე მალიორკაში სტუმრობა კატასტროფით დასრულდა — 0:4. სევილიელები კიდევ უფრო მყარად გამაგრდნენ მე-18 ადგილზე, ხოლო მეორე დივიზიონში დაქვეითებამდე სამი ტურიღა დარჩა. შესაძლებელია „ბეტისის“ გადარჩენა? სასწაულებისა თუ გვჯერა, კი.

ორშაბათ დილას ბალეარის კუნძულებიდან დაბრუნებული გუს ჰიდინკი კლუბის პრეზიდენტმა მანუელ რუის დე ლოპერამ კაბინეტში დაიბარა და კარგა ხანს ესაუბრა. შედეგი? ოფისიდან გამოსული ჰოლანდიელი სპეციალისტი უკვე უმუშევარი იყო.

„როგორ გუნებაზე ვიქნები? — უთხრა ფეხბურთელებს გამოსამშვიდობებლად მისულმა ყოფილმა დამრიგებელმა — თუმცა მიღებული გადაწყვეტილება ალბათ, სწორი იყო. მე მესმის ლოპერასი. კლუბის საქმეები ცუდად მიდის და იგი ვალდებულია, ცვლილებები მოახდინოს. ახლა მთავარია, „ბეტისმა“ თავის თავს აჯობოს და პრიმერა დივიზიონში დარჩეს“ — ამ სიტყვებით გაიხურა გუს ჰიდინკმა კლუბის კარი.

როგორც ჩანს, ფეხბურთელებს მწვრთნელი ძლიერ ჰყვარებიათ. აბა, სხვაგვარად რით ავხსნათ მათი სინანული და გულისტკივილი? „გაოგნებულები ვართ. ბაზაზე სავარჯიშოდ მოვედით და ეს ამბავი შევიტყვეთ. ჰიდინკი კლუბიდან გაშვებას არ იმსახურებდა. თუმცა ფეხბურთში ასეთი რამეები ხშირად ხდება. კაცი ყველაფრისთვის მზად უნდა იყო“ — თანაგუნდელთა სახელით განაცხადა სებასტიან რომერომ.

ახალ მწვრთნელზეც ვთქვათ. ფარუკ ჰაჯიბეგიჩი ყოფილი ბეტისელია, თუმც მას ბოსნიის ნაკრების თავკაცობით უფრო ვიცნობთ. ბოსნიელები ევრო 2000-ზე ვერ მოხვდნენ (ნუთუ იმედი ჰქონდათ?) და ჰაჯიბეგიჩიც დაითხოვეს.

ახალ მწვრთნელს, ვისაც ფეხბურთელობის ჟამს ესპანელები პეპეს უწოდებდნენ, მძიმე მემკვიდრეობა ერგო წილად. დარჩენილ სამ ტურში პეპე, ცხადია, სასწაულს ვერ მოახდენს და მშვიდობით, პრიმერა დივიზიონო.

რა მოხდება მომავალ სეზონში? კლუბის პრეზიდენტი ამბობს: „დარჩენილი თამაშების შედეგების მიუხედავად, ჰაჯიბეგიჩი გაისად ჩვენთან იმუშავებს“. ასე რომ, კეთილი იყოს ბოსნიელის მიბრძანება სევილიურ გუნდში.

**გიორგი დარჯანია**

### გუს ჰიდინკი



*დაიბადა 1946 წლის 8 ნოემბერს დეტინხემში, ჰოლანდია*
*1960-70-იანი წლები: არაფრით გამორჩეული ნახევარმცველი თამაშობდა ჰოლანდიურ „გრააფსხაპსა“ და „ნაიმეგენში“. ეროვნულ ნაკრებში არასოდეს მიუწვევიათ. ჰოლანდიიდან გადაბარგდა აშშ-ში, სადაც „ვაშინგტონ დიპლომატსისა“ და „სან ხოსეს“ ღირსებას იცავდა. სამშობლოში დაბრუნებული „პსვ ეინდჰოვენის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა*
*1986: ინიშნება პსვ-ს მთავარ მწვრთნელად. მისი ხელმძღვანელობით კლუბმა ზედიზედ ოთხჯერ მოიპოვა ჰოლანდიის ჩემპიონობა, ხოლო სამჯერ — ქვეყნის თასი*
*1988: პსვ-მ ჩემპიონთა თასის ფინალში თერთმეტმეტრიანებით დაამარცხა „ბენფიკა“.*
*1990: დაინიშნა თურქული „ფენერბაჰჩეს“ მთავარ მწვრთნელად.*
*1991: სამუშაოდ გადავიდა ესპანეთში, სადაც სამი სეზონის განმავლობაში წვრთნიდა „ვალენსიას“*
*1994: ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე შეცვალა დიკ ადვოკაატი*
*1996: ევროპის ჩემპიონატზე ჰოლანდიამ წარუმატებლად ითამაშა. ედგარ დავიდსმა მწვრთნელი დაადანაშაულა, ნაკრებში ფავორიტები გყავსო, რისთვისაც ჰიდინკმა ის გუნდიდან დაითხოვა. სკანდალიც ამით დასრულდა*
*1998: მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიის ნაკრები გადის მეოთხე ადგილზე. ნახევარფინალში აგებს ბრაზილიასთან, ხოლო მატჩში მესამე ადგილისთვის — ხორვატებთან*
*1998: 16 ივლისს ხოსე ანტონიო კამაჩოს ნაცვლად დაინიშნა მადრიდის „რეალის“ მწვრთნელად. „რეალმა“ მოიგო საკონტინენტთაშორისო თასი*
*1999: 24 თებერვალს ესპანეთის ჩემპიონატში კლუბის არასტაბილური თამაშის გამო დაითხოვეს*
*2000: 1 თებერვალს დაინიშნა სევილიის „ბეტისის“ მწვრთნელად, შეცვალა არგენტინელი კარლოს გრიგუოლიო*
*2000: აპრილში გავრცელდა ხმები „სელტიკში“ მისი შესაძლო გადასვლის შესახებ*
*2000: 2 მაისს გაათავისუფლეს „ბეტისიდან“. კლუბი ჩემპიონატის ერთ-ერთი აუტსაიდერია*

### ფეხბურთის რუკასთან



**უკრაინელი** ფორვარდის, სერგეი რებროვის გადაბირებას „ტოტენჰემი“ ცდილობს. „კიევის „დინამოსთან“ და რებროვის აგენტთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ, ჯერჯერობით მეტს ვერაფერს ვიტყვით“ — განაცხადა ლონდონური კლუბის პრეს-ატაშემ. სატრანსფერო თანხა ოფიციალურად არ გაცხადებულა, თუმცა ინგლისური სააგენტოები იუწყებიან, რომ „ტოტენჰემი“ „დინამოს“ 10 მილიონ, 25 წლის ფეხბურთელს კი კვირაში 20 ათას გირვანქას სთავაზობს. ანდრეი შევჩენკოს ყოფილმა პარტნიორმა გუშინ ჟურნალისტებს გაანდო, რომ „ტოტენჰემთან“ კონტრაქტის საქმე თითქმის გადაწყვეტილია და მას უახლოეს ორ კვირაში მოეწერება ხელი.

**იტალიური „ფიორენტინას“ პრეზიდენტი ვიტორიო ჩეკი გორი მომავალ სეზონში გუნდს აძლიერებს და რამდენიმე ახალ ფეხბურთელს ყიდულობს. ფლორენციული პრესის ცნობით, ჩეკი გორის არჩევანი ტურინის „იუვენტუსის“ ფრანგ ნახევარმცველ ზინედინ ზიდანზე შეჩერდა და, არ არის გამორიცხული, მიზანსაც მიაღწიოს. „ზიდანი „ფიორენტინას“ მოერგება, მოედნის ცენტრში რუი კოშტასთან ერთად ბრწყინვალე დუეტს შექმნის — განაცხადა ფლორენციული კლუბის პრეზიდენტმა და დასძინა — ძირითადი მოთამაშეების გაშვება არ მსურს, ყველა ძლიერი ფეხბურთელი უნდა შევინარჩუნო, თუმცა ზოგს იქნებ წასვლაც მოუხდეს. თუ ვინმემ სხვაგან გადასვლა მოისურვა, ალბათ გავუშვებ, მათგან შემოსული თანხით კი ახალ მოთამაშეებს ვიყიდი“.**

**ინგლისის** ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ბრაზილიელი მცველის, ძაგოს შეძენა სურს და „რომას“ 7 მილიონ გირვანქას სთავაზობს. სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ბევრ ევროპულ გრანდს სურს, მათ შორის მადრიდის „რეალსაც“ და დაზუსტებით არავინ იცის, საბოლოოდ რომელი კლუბი იყოჩალებს. რომაულ კლუბს ძაგოს ტრანსფერზე ჯერჯერობით არაფერი განუცხადებია.

**იტალიური სააგენტოების ცნობით, იტალიის ნაკრებისა და „ინტერის“ მცველ კრისტიან პანუჩის მარჩელო ლიპისთან კონფლიქტი მოუვიდა და სეზონის ბოლოს ალბათ მილანს დატოვებს. არ გამორიცხავენ, რომ პანუჩი ესპანეთში დაბრუნდეს, თუმცა თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ სურს გადასვლა: „დაცვის მარჯვენა ფლანგზე ვთამაშობ და სადაც არ უნდა გადავიდე, ამ პოზიციაზე დავრჩები, ჩემთვის სასურველი გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედია“.**

**ბრაზილიელ** დენილსონს რამდენიმე ინგლისური და იტალიური კლუბი იწვევს. თავად ფეხბურთელმა გუნდების დაკონკრეტება არ ისურვა, თუმც ესპანური პრესა ეჭვობს, რომ დენილსონით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მილანი“ დაინტერესდა. „კლუბის ხელმძღვანელობას დავპირდი, რომ ახალ წინადადებებზე ჯერჯერობით არაფერს ვიტყვი — განაცხადა 22 წლის დენილსონმა — მხოლოდ იმას გაგიმხელთ, რომ იტალიიდან და ესპანეთიდან დიდი გუნდები მეპატიჟებიან“.

**ესპანელ ნახევარმცველ ბიტორ ალკისას მარცხენა მუხლზე რთული ოპერაცია გაუკეთეს, რაც ფეხბურთელს დაახლოებით ხუთ თვეს გააცდენინებს. ექიმების ცნობით, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, თუმცა ალკისა მინიმუმ ორ თვეს ვერ ივარჯიშებს, სარეაბილიტაციოდ კი სამი თვე დასჭირდება. ბილბაოს „ატლეტიკის“ მოთამაშე მომავალ სეზონს სასტარტო შემადგენლობაში, ალბათ, ვერ დაიწყებს. ამ ტრავმის გამო იგი ვერც ესპანეთის ნაკრებს დაეხმარება და მომავალ ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს.**

**ფრანგული** „ოსერის“ მთავარმა მწვრთნელმა გი რუმ, რომელიც გუნდს 39 წლის განმავლობაში ავარჯიშებდა, განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს პოსტს დატოვებს, თუმც დასძინა, რომ სხვაგან არ წავა და სულ ცოტა სამი სეზონი „ოსერის“ გენერალურ მენეჯერად იმუშავებს. „ბევრი ვიფიქრე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი — განუცხადა 61 წლის სპეციალისტმა საფრანგეთის ტელევიზიას — ცოტათი გადავიღალე და ვგრძნობ, რომ დროა, საყვარელ საქმიანობას თავი დავანებო“. მან სამწვრთნელო კარიერა 1961 წელს „ოსერში“ დაიწყო, რომელიც მაშინ რეგიონალურ ლიგაში ასპარეზობდა და 1996 წელს წარმატების მწვერვალზე აიყვანა ეს კლუბი — საფრანგეთის ჩემპიონობა და თასი ერთდროულად მოაგებინა. „საფრანგეთში ბევრი კარგი მწვრთნელია, არჩევანის საშუალება გვაქვს, ყველაფერს მალე გადავწყვიტავთ“ — დასძინა გი რუმ.

**შვედეთის ნაკრებისა და სტოკჰოლმის აიკ-ის თავდამსხმელმა ანდრეას ანდერსონმა ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში მუხლი დაიზიანა და ევრო 2000-ს გამოტოვებს. ექიმების თქმით, 26 წლის ფეხბურთელი დაახლოებით ექვს თვეს ვერ ითამაშებს. ერთი კვირის წინ აიკ-ის მცველი პონტუს კამარკიც დაშავდა და დაახლოებით ოთხი თვით გამოაკლდა გუნდს. მთავარი მწვრთნელი სტიუარტ ბაქსტერი აცხადებს: „კლუბი რთულ ვითარებაში აღმოჩნდა. კამარკიც და ანდერსონიც ნაკრების ფეხბურთელები არიან და მათი შემცვლელის მოძებნა ერთობ რთულია“. ანდერსონი აიკ-ში შარშან გადავიდა, მანამდე კი, „მილანსა“ და „ნიუკასლში“ თამაშისას, თავი ვერაფრით გამოიჩინა.**

**საფრანგეთის** მეორე დივიზიონელ „სოშოში“ მოასპარეზე 18 წლის მცველ ანტარ იაჰიას მილანის „ინტერმა“ მიაპყრო ყურადღება. იაჰია საფრანგეთში ერთ-ერთ პერსპექტიულ ფეხბურთელად ითვლება, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. „ინტერის“ ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშეს ზაფხულში გადაიბირებს. მილანურ კლუბს სატრანსფერო თანხაზე არაფერი განუცხადებია.

**ხორვატი ნახევარმცველი ალენ ბოკშიჩი სეზონის ბოლოს, შესაძლოა მარსელის „ოლიმპიკში“ გადავიდეს. ფრანგული კლუბი რომის „ლაციოს“ 4 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ბოკშიჩის ხელში ჩაგდებას “მონაკოც“ ცდილობს, თუმც იგი საბოლოოდ ალბათ მაინც „ოლიმპიკს“ ირჩევს, სადაც მას უკვე უთამაშია, იტალიური პრესის ცნობით, ხორვატის შეძენის სურვილი „ვალენსიამაც“ გამოთქვა, მაგრამ ესპანურ კლუბს ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არ დაუდასტურებია.**

**თურქული** „ფენერბაჰჩე“ და შოტლანდიური „სელტიკი“ „ჩელსის“ იტალიელ ლეგიონერ ჯანფრანკო ძოლას გადაბირებას ცდილობენ. ინგლისური სააგენტოების ცნობით, თურქებმა ლონდონურ კლუბს 5 მილიონი დოლარი შესთავაზეს, თუმც ძოლასა და „ჩელსის“ ხელმძღვანელობის პასუხი ჯერჯერობით უცნობია. 34 წლის იტალიელმა პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ სამი გოლი გაიტანა. ადრინდელ ინტერვიუში ფეხბურთელმა თავადვე აღიარა, რომ საუკეთესო ფორმაში ნამდვილად არ არის.

სწრაფად და შეღავათიან ფასებში ვასრულებთ
დიზაინერულ, საპროექტო, სამშენებლო,
სარემონტო და შენობის გამაგრებით სამუშაოებს
Tel. 96 56 67

# ევროპის გათამაშება

კონტინენტის პირველობების ისტორია 1996

გიგა კობახიძე

# ქართული ლოგიკა: ჯერ უკეთესი, მერე უარესი

### დღე პირველი. ბურთულა სახელად „საქართველო“

მანჩესტერის „გრანადა სტუდიო“. 1994 წლის 22 იანვარი. ბურთულა, რომელში მოთავსებულ პატარა ფურცელს „საქართველო“ აწერია. მას შემდეგ, რაც ნოდარ ახალკაცმა და მისმა თანამოაზრეებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ზუსტად ოთხი წელია გასული.

მაშინ, 1990 წელს, ჭადრაკის სასახლეში მიღებული გადაწყვეტილება ლამის ხელჩართული ბრძოლის საგანი გახდა, თუმცა ოთხი წლის მერე, მანჩესტერის ერთ-ერთი ტელეკომპანიის სტუდიაში მჯდარ ახალკაცს ალბათ აღარც ახსენდება ის დავიდარაბა — საქართველოს ეროვნული გუნდი პირველად მონაწილეობს ევროპის ჩემპიონატში!

უელსი, ბულგარეთი, ალბანეთი, მოლდოვა — აი, ჩვენი მეტოქეების ნუსხა, წილისყრის დასრულებამდე რომ გაირკვა. საქმე ისე წავიდა, ჩვენი ჯგუფის ბოლო, სინამდვილეში კი პირველი მონაწილე ან რუსეთი უნდა გამხდარიყო, ანაც მსოფლიოს იმჟამინდელი ჩემპიონი გერმანია. ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა ტომ ფინეი ორიდან ერთ ბურთულას ჩასწვდა და მეტოქედ ბერტი ფოგტსის გუნდი გვარგუნა. „საქართველოს ნაკრებზე არავითარი ინფორმაცია არ გამაჩნია“ — ეტყვის გერმანელთა მწვრთნელი „სარბიელს“. არც უელსის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ალან ევანსია ქართველოლოგი: „გერმანია, რა თქმა უნდა, ფავორიტია. მეორე ადგილისთვის ჩვენი მთავარი კონკურენტი ბულგარეთი იქნება. დანარჩენ სამ გუნდთან ურთიერთობაში პრობლემა ის იქნება, როგორ ჩავაღწიოთ ამ ქვეყნებამდე“. ასეთივე დღეში არიან ყოფილ საბჭოელთა სხვა მეტოქეებიც. თუნდაც ჰოლანდიელთა მწვრთნელი დიკ ადვოკაატი, რომელიც პოსტსაბჭოური წარმოშობის პირველივე ჟურნალისტს, ასეთი კი სარბიელელი დავით მჭედლიშვილი გამოდგა, ეკითხება — გეთაყვა, გამაგებინე, ეს რანაირი რუსეთი შემხვდაო. საუბარი ბელარუსს ეხებოდა...

ორიოდ კვირაში VII შესარჩევი ჯგუფის ფრანკფურტის შეხვედრაზე უარყვეს უეფას მიერ შეთავაზებული სავარაუდო კალენდარი, რომლის მიხედვითაც საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქე გერმანია უნდა ყოფილიყო. ახალი კალენდრით ჩვენი ეროვნული გუნდი თავის ისტორიაში პირველ ოფიციალურ მატჩს თბილისში, მოლდოვასთან გამართავს.

### დღე პირველი. მოსალოდნელი სირცხვილის ქრონიკა

თბილისის ეროვნული სტადიონი. 1994 წლის 7 სექტემბერი. მატჩის მე-40 წუთი. მარჯვენა ფრთაზე გარღვევაზე გადის კურტიანუ, რომელიც ქართველთა საჯარიმოს მისადგომებთან მდგარ სპირიდონს გამოზომილ პასს აძლევს. სპირიდონი ფეხს აცილებს ბურთს, რომელიც მის უკან მყოფ ოპრიას მისდის. ნემსაძე ხელის შეშლას ცდილობს, მაგრამ ოპრია ცაციათი შეუჩერებლივ, მოჭრილად ურტყამს და ბურთი მარცხენა ძელთან ახლოს ბადეში ეხვევა. ასე გადის საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური მატჩის ერთადერთი გოლი. სამწუხაროდ, ქართველთა კარში. ისტორია მარცხით დაიწყო. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, ცხადია, არ გამოცხადდა ჩვენი გუნდის მწვრთნელი ალექსანდრე ჩივაძე. ვფიქრობთ, ნაკრების ხელმძღვანელობა მხოლოდ ამ თავსლაფის შემდეგ მიხვდა, რას ნიშნავს იდგე საქართველოს უპირველესი გუნდის სათავეში.

რიგით მეორე შეხვედრას, სოფიაში, ბულგარეთთან, ეს აშკარად დაეტყო, თუმცა შედეგი იგივე იყო, რაც მოლდოვასთან — დამარცხება. „ის, რომ საქართველოს ნაკრებს სატურნირო ცხრილში ქულა არ აქვს, იცოცხლეთ, დასანანია, მაგრამ თუ მუშაობა ასე გაგრძელდა, ვინძლო საბოლოოდ ღირსეულად გამოვიდეთ“ — წერდა ჩვენი გაზეთი სოფიური მატჩის შემდეგ. „ფრანს ფუტბოლი“ კი უფრო შორს წავიდა: „დიმიტარ პენევის მოთამაშეებმა ჯოჯოხეთური პირველი ტაიმი იწვნიეს... ქართველებმა მეტოქე ღია და ტექნიკური თამაშით გააოცეს... მართალია, ბულგარეთმა კოსტადინოვის წყალობით შედეგი გაინაღდა, ჩვენ კიდევ დიდხანს გვემახსოვრება აღმოსავლეთევროპელი „ბრაზილიელების“ ბრწყინვალე თამაში პირველ ნახევარში... გმადლობთ, ქართველებო.“

### დღე პირველი. 5:0!

ისევ ჩვენი ეროვნული სტადიონი. 1994 წლის 16 ნოემბერი. თბილისის დროით დღის ორი, სტუმართათვის კი დილის ცხრა საათი. მატჩი უგიგზო უელსთან. პირველი გამარჯვება შესარჩევ ტურნირში, მაგრამ გამარჯვებასაც გააჩნია!

საქართველოს ნაკრების პირველი ოფიციალური გოლი დიდი ხნის ნანატრი, მაგრამ ლამაზი კი გამოვიდა: 31-ე წუთზე თემურ ქეცბაია უელსელებს მარცხნიდან წამოეპარა, ბურთი ცაციით გაისწორა, ჰაერშივე მარჯვენა შეაგება და საუთჰოლის ხელსა და მცველ კოულმენის თავს შუა, შორეულ ცხრიანში გააძვრინა. თამაშის ბოლომდე ბრიტანელთა კარში კიდევ ოთხი გოლი გავიდა — უელსს ასე 1953 წლის მერე არ წაეგო.

„16 ნოემბრის მოგებამ უამრავი დივიდენდი მოგვიტანა. უელსთან თამაში სწორედ მომავალი გამარჯვებების საწინდრად გვჭირდება და არა უბრალოდ, გულის მოსაფხანად, არც იმისთვის, რამდენიმე წლის შემდეგ წარსულს კიდევ ერთხელ რომ შევტიროთ: გახსოვთ, უელსს 5:0 რომ მოვუგეთ?“ — სამწუხაროდ, „სარბიელის“ იმჟამინდელი სურვილი დღემდე სურვილად რჩება. გახსოვთ, 1994 წლის 16 ნოემბერი?

### დღე პირველი. დევი ქემალ სტაფაჩე

ტირანა, ალბანეთის დედაქალაქი. 1994 წლის 14 დეკემბერი. საქართველოს ნაკრებმა ოფიციალურ მატჩებში პირველად იმარჯვა სტუმრად. შოთა არველაძე გახდა პირველი, ვინც უცხო მიწაზე ჩვენი ეროვნული გუნდის შეტევა გოლით დაასრულა. ალბანელებმა სტუმართა კარის ძელი სამჯერ შეაზანზარეს, მაგრამ მაინც წააგეს. მატჩის გმირი, ძელებთან ერთად, აკაკი დევაძე იყო, თუმცა, რაც მთავარია, სამი ქულა მოვიპოვეთ და ახლა ჯგუფის ლიდერებს — გერმანიასა და ბულგარეთს — სამი ქულითა ჩამოვრჩებით. „ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ფიქრი ახლა უკვე რეალურად შეიძლება“ — ხშირად გაიგებდით ამ ფრაზას. თვით ნაკრების ხელმძღვანელობისგანაც კი.

### დღე გარდამტეხი. მიუღწეველის მიღწევა გვსურდა

პირთამდე სავსე ჩვენი ეროვნული 1995 წლის 29 მარტს პინოჩეტისდროინდელ სანტიაგოს სტადიონს ჩამოჰგავდა. გაიხსენეთ ის დრო — ათასნაირ მაზარაში, ქურთუკსა თუ ჩოხაში გამოწყობილი, ეპოლეტებითა და ჯინჯილებით დამშვენებული თუ დაუმშვენებელი თითქმის ყველა სახეობის ჯართა წარმომადგენლები მწვანე მინდვრის გარშემო. და მაინც, ვერ დავაშინეთ გერმანია, განსაკუთრებით იურგენ კლინსმანი, ვინც ორი გოლი გაგვიტანა და ბუნდესნაკრებს ფინალური ეტაპისკენ, როგორც მომავალი გვიჩვენებს კი, მთლად ევროპის თასისკენ, უზარმაზარი ნაბიჯი გადაადგმევინა. იმ დღეს ფაქტობრივად დამთავრდა VII შესარჩევი ჯგუფის შეჯიბრება — ცხადი იყო, ფავორიტები აღარ დაკარგავდნენ 6-6 ქულიან უპირატესობას და ინგლისში სწორედ ისინი გაემგზავრებოდნენ.

...20 აპრილს საქართველოს ნაკრები თბილისში ულიმღამოდ კი თამაშობს, მაგრამ ალბანელთათვის ესაც საკმარისი გამოდგა — 2:0. 7 ივნისს ასევე მეორედ ვამარცხებთ უელსს, ამჯერად გიო ქინქლაძის ერთადერთი, თუმც ფანტასტიკური გოლის წყალობით. „წაართვით მაგათ ეს ოხერი ბურთი“ — გაჰკიოდა მთელი თამაში უელსელთა მეკარე ნევილ საუთჰოლი.

იმ დღეს, როცა ქართველებმა კარდიფშიც იმარჯვეს, ბულგარეთმა შინ გერმანიას მოუგო. გერმანიას და საქართველოს შორის სხვაობა ერთი ქულალაა. ეს გუნდები ერთმანეთს ნიურნბერგში ხვდებიან. ვითომ გვაქვს შანსი? „ნიურნბერგის პროცესი: განაჩენი გამოტანილია“ — ამცნობს „სარბიელი“ მოსახლეობას. გერმანიამ 4:1 მოგვიგო. „ევროპა უჩვენოდ“ — ეს აქამდეც ვიცოდით, მაგრამ...

თუმცა ნიურნბერგის მატჩში იყო ქეცბაიას პირველი გოლი — ქვეყანა ჩვენი გვეგონა — მაგრამ ეს მხოლოდ ბედნიერების ათი წუთი გამოდგა.

### დღე-სასწაული

1995 წლის 11 ოქტომბრამდე ჩვენი უდიდესი მიღწევა უელსელთა განადგურება იყო, რასაც ზურგს უმაგრებდა ალბანეთის ორჯერ დაჩოქება, მაგრამ, ცხადია, მეტი გვეწადა — ჩვენი ყოფილი საბჭოელი მეზობლებიდან, უელსი რაა, უკრაინამ ხორვატიას სძლია, ბელარუსმა კი სულაც ჰოლანდია გააგორა. ჰოდა, 11 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსდაკარგულმა ქართველებმა თვით მსოფლიოს ჩემპიონატის მოქმედი პრიზიორი ბულგარეთი გაანადგურეს. ისე, როცა შეგიძლია 3:0 მოიგო, დასანანია, 2:1 დასჯერდე. ბულგარეთთან ისტორიული მოგება ვიგემეთო — ბრძანა ალექსანდრე ჩივაძემ. მართლაც, დღემდე ამაზე დიდი მოგება თვალით არ გვინახავს.

### დღე უკანასკნელი

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის უკანასკნელ დღეს, 15 ნოემბერს, საქართველოს ნაკრებმა ისევე დაამთავრა თავისი პირველი ოფიციალური შეჯიბრება, როგორც დაიწყო — მოლდოვასთან წაგებით. საბოლოოდ, ქართველებმა ჯგუფში მესამე ადგილი დაისაკუთრეს 5-5 მოგებითა და წაგებით. ფედერაციამ ეს შედეგი დადებითად შეაფასა და მართალიც გამოდგა: მას მერე ორი შესარჩევი ტურნირი ვითამაშეთ, რომელთაგან ერთში მეოთხე ადგილზე გავედით, შარშან კი მთლად სასირცხვო, ბოლო ადგილი მივვიჩინეს.



1994 წლის 16 ნოემბერი. საქართველო — უელსი 5:0. შოთა არველაძეს მეხუთე გოლი გააქვს უელსელი ნევილ საუთჰოლის კარში



რამდენიმე წამის წინ საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ტურნირში თავისი პირველი გოლი გაიტანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთმა შინ შეიარა



1996 წლის 26 ივნისი. ინგლისისა და გერმანიის საბედისწერო ნახევარფინალ ერთადერთი კაცი, პენალტი რომ ვერ გაიტანა, გარეთ საუთგეიტი იყო

## ბახრამოვის აჩრდილი

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატის 262-ე მატჩის 97-ე წუთი. ჩეხთა საჯარიმოს ხაზთან ბურთს ოლივერ ბირჰოფი იღებს, მარჯვნივ ტრიალდება და ცაციით არტყამს. ბურთი ჯერ მცველ ჰორნიაკს ხვდება, მერე მეკარე კოუბას და ნელ-ნელა კარში შეგორდება. სხვა დროს ჩეხთა ნაკრებს დარჩენილი 23 წუთი მიეცემოდა მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ არა 1996 წლის 30 ივნისს. ამ დღეს, პირველად ფეხბურთის ისტორიაში, უეცარი სიკვდილი ვიხილეთ.

ბირჰოფი მეცხრე ცაზეა. ტანთ გაიხადა და ბლავის. მაგრამ სად არიან დანარჩენები? დააკვირდით ამ კადრებს — დანარჩენი გერმანელები მხოლოდ ნახევარი წუთის შემდეგლა შემოესევიან ფინალის გმირს. მანამდე კი ფოგტსი, მისი თანაშემწენი და ფეხბურთელთა უმრავლესობა გახევებულნი შესცქერიან მსაჯებს. რა ხდება? თანამსაჯს ალამი აღუმართავს — გოლის მომენტში კუნცი თამაშგარეში იყოო. „არ ვიცი, ალბათ პასიური თამაშგარე იყო. მე არ შემიმჩნევია და ამას ჩემთვის ხელი არც შეუშლია“ — ჩეხთა მეკარე პეტერ კოუბა რომ ამას იტყვის, მატჩის არბიტრს, იტალიელ პიერლუიჯი პაირეტოს რაღა უნდა ეთქვა — მან წყნარად მოუსმინა თანაშემწეს, თავი და ხელი გააქნია და გერმანელები საბოლოოდ გაახარა. ჩემპიონები შორეულ კუთხეში მყოფი ბიჭებისკენ გაიქცნენ. იქ ბირჰოფსა და სხვებს საერთოდ არ გაუგიათ, რომ „ოქროს გოლი“ გატანიდან მხოლოდ 40 წამის მერე დაფიქსირდა. ჩეხები? ისინი მიხვდნენ, პაირეტო კი არა, მამალმერთი რომ ჩასულიყო „უემბლიზე“, ისიც ვეღარ ეტყოდა გერმანელებს — ხომ გაიხარეთ, აბა, ახლა ზედმეტებმა მოედანი დატოვეთ: კუნცი პასიურ თამაშგარეში ყოფილა და ეგ თქვენი გოლი აღარ ითვლებაო. რამდენიმე წუთში ფოგტსი და მისი ბიჭები გაერთიანებული სამეფოს დედოფალ ელისაბედ მეორის ლოჟაში იყვნენ და ევროპის თასით ტკბებოდნენ.

„ბახრამოვის ისტორია“ არ განმეორდა. მაშინ, 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ მატჩში, ამავე „უემბლიზე“, ბევრი რამ აზერბაიჯანელი თანამსაჯის სიტყვამ გადაწყვიტა.

ისე, ცოტა დააკლდა და ლამის ამ ფინალის შედეგიც რამდენიმე სანტიმეტრმა გადაწყვიტა. ისევ ფოგტსმა იხსნა ყველაფერი: ძირითადი დროის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე მეჰმეთ შოლი ოლივერ ბირჰოფით შეცვალა, ამან კი ჯერ გამოსვლიდან სამ წუთში, მერე კი დამატებით დროში ორი გოლი შეაგდო. ბირჰოფის გამოსვლამდე ჩეხები იგებდნენ.

იგებდნენ უსამართლო პენალტის წყალობით. 59-ე წუთზე საკუთარი საჯარიმოს ხაზის წინ მათიას ზამერმა კარელ პობორსკი წააქცია. პაირეტომ უმალ თერთმეტმეტრიანზე მიუთითა. მთავარს არც თანამსაჯმა შეუსწორა. არადა, ზამერმა სწორედ საჯარიმოს ხაზთან იუხეშა და არა საჯარიმოში. პატრიკ ბერგერმა ანგარიში გახსნა.

საცოდავი ზამერი შემდგომში მომენტს არ უშვებდა ხელიდან, იტალიელ მსაჯთან არ მიერბინა და მტკიცება არ დაეწყო, პობორსკი საჯარიმოში შესული არ იყო, როცა წავაქციეო. მარტო მსაჯი? ზამერს ამის დამტკიცება ყველასთან სურდა. ამიტომაც იყო, როცა ბირჰოფმა ანგარიში გაათანაბრა და მთელი გუნდი აღმოსავლეთ ტრიბუნასთან ზეიმობდა, ზამერმა სათადარიგოებთან მიირბინა, თან ხელს იქნევდა, მოდითო. ცუდად გაუგეს და წყალი გადაუგდეს. არა, ფოგტსი მოვიდესო — დაიღრიალა. მწვრთნელმაც მიირბინა და... მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ფოგტსი იტყვის: რომ მოვიგებდით, მაშინ მივხვდი, როცა ზამერმა ჩემთან მოირბინა და მითხრა — გარეთ წავაქციე, მაგრამ არაფერი, მაინც გავიმარჯვებთო. ევროპის ჩემპიონთა თავკაცმა იქვე ახალი ანეგდოტიც გამოაცხო: ბირჰოფის „ოქროს გოლის“ მერე ლაინსმენმა პაირეტოს იმიტომ დაუძახა, რომ ეთქვა — ზამერმა გარეთ წააქცია ჩეხი და პენალტი ტყუილად დავნიშნეთო.

## ცოტანი, თუმცა გერმანელები

ჩეხებისა და გერმანელების მატჩი „უემბლის“ გარდა მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ შეკრებილმა საზოგადოებამაც იხილა. ეს ფინალური ეტაპის დაწყებისთანავე მოხდა. პირველ შეხვედრაშიც ფოგტსის გუნდმა იმარჯვა 2:0, თუმცა გერმანელთა უილბლობის სერიაც სწორედ ამ თამაშიდან დაიწყო — მე-14 წუთზევე ტრავმა მიიღო ბუნდესკაპიტანმა იურგენ კოლერმა და საერთოდ დასტოვა ჩემპიონატი. მერე მას სხვებიც მიჰყვნენ და ისე მოხდა, საფინალოდ გერმანელთა ბანაკში სულ 13 საღ-სალამათი კაცი დარჩა. აქედან სამი მეკარე. ლამის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფებმა, ფინალის წინ, თანამემამულე „ადიდასს“ მეკარეთათვის წინახაზელთა ფორმებიც კი შეუკვეთეს... მოკლედ, გერმანელებმა ჩემპიონატი ცალი ფეხით მოიგეს.

## და გაზა?

არადა, იყო მომენტი, მომავალ ჩემპიონებს ის ცალი ფეხიც სამარის პირას ჰქონდათ — ნახევარფინალის დამატებით დროში. ინგლისის-გერმანიის დაპირისპირება, აბა, უინტერესოდ როგორ ჩაივლიდა. არც 26 ივნისის მატჩი იყო გამონაკლისი. განსაკუთრებით, ამ მატჩის დამატებითი 30 წუთი. არადა, საკუთრივ ძირითადი დროც ცუდი სულაც არ იყო, მაგრამ ის ფეიერვერკი, მერე რომ მოეწყო, დიდებული სანახავი გახლდათ. მესამე წუთზევე შეეძლოთ ინგლისელებს ყველაფერი დაესრულებინათ და ფეხბურთის ისტორიაში პირველი „უეცარი მკვლელები“ გამხდარიყვნენ, თუმცა ანდერტონის დარტყმული ძელს მოხვდა. გერმანელებმა ამას ხელად საკუთარი მომენტი მიაყოლეს და ასეც გაგრძელდა. უამრავთაგან ორი მომენტია გამოსაყოფი: როცა უნგრელმა მსაჯმა შანდორ პულმა კუნცს კუთხურიდან თავურით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა (მანამდე მცველს ეჭიდავებოდიო) და როცა პოლ გესქოინი ასცდა ცარიელი კარის წინ მობოდიალე ბურთს. გაზა, ვინაც ფინალური ეტაპის ყველაზე ლამაზი გოლის ავტორად შერაცხეს — სქოტებთან მისი გოლი მართლაც შედევრი გახლდათ — სანტიმეტრებში ასცდა ბურთსაც და, შესაძლოა, ევროპის თასსაც. მერე იყო თორმეტი თერთმეტმეტრიანი, რომელთაგან მხოლოდ საუთგეიტისა აღმოჩნდა ფუჭი. ასეც უნდა მომხდარიყო — ზედიზედ ორი ეტაპის გავლა მასპინძლებისთვისაც კი (ისევე, როგორც ფრანგებისთვის) არამი იქნებოდა.

ამ თამაშის დამთავრების მერე „უემბლიზე“ აღარ შესრულებულა ჩემპიონატის არაოფიციალურ ჰიმნად მიჩნეული „ფეხბურთი შინ ბრუნდება“...

## შმიცერის ამბავი

ნახევარფინალში არც იტალიაა და არც ჰოლანდია. არიგო საკის გუნდი მეოთხედფინალშიც არავის უნახავს. რა მოხდა?

19 ივნისი C ჯგუფის ბოლო ტურის დღეა. მხოლოდ რუსთა (პლუს თეთრაძე) ნაკრებია უშანსოდ. გერმანიას ფრეც ჰყოფნის, იტალიამ კი წინა ტურში ჩეხეთთან წაგებით ისე გაირთულა საქმე, ოდენ სამი ქულა თუ უშველის. მატჩები მანჩესტერში და ლივერპულში, ცხადია, ერთ დროს იწყება.

„ენფილდ როუდზე“ ანგარიში მე-6 წუთზევე იხსნება ჩეხი სუხოპარეკის გოლით. სამ წუთში „ოლდ ტრეფორდზე“ კეპკე აქცევს საჯარიმოში შევარდნილ კაზირაგის, თუმცა მოლას პენალტი ვერ გააქვს. მალე რუსთა კარში მეორე გოლიც გადის. მეტი, პირველი ტაიმების ბოლომდე, აღარაფერი ხდება.

ლივერპულში გოლი გოლზე გადის — მოსტოვოი და თეთრაძე ანგარიშს ათანაბრებენ — მანჩესტერში კი იტალია ისევ ერთ ადგილს ტკეპნის. მალე „სკუადრა აძურას“ მორიგი შანსი ეძლევა, მსაჯი გერმანელ შტრუნცს აძევებს, მაგრამ საფინალო სასტვენამდე არაფერი იცვლება. ამ ხნის განმავლობაში იტალიამ ერთხელ მოასწრო მეოთხედფინალში გასვლა, როცა მეზობელ ქალაქში ბესჩასტნიხმა ჩინებული დარტყმით წინ გაიყვანა რუსეთი (ანუ იტალია), მაგრამ ოთხ წუთში, ანუ ბოლოსწინა წუთზე შმიცერი კუბიკის პასს შედეგიანად იყენებს და მეოთხედფინალში მშობლიური ჩეხეთი გაჰყავს...

ჰოლანდია? ჰიდინკის გუნდიც მსგავს, რებუსის დარ სიტუაციაში იყო, თუმცა კლუივერტის კინკილა გოლმა, 0:4-ზე რომ შეუგდო დევიდ სიმენს, შოტლანდია შინ გაუშვა და ჰოლანდია შემდეგ ეტაპზე გაიყვანა. როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ „ნარინჯისფრებს“ იქ დაემთავრებინათ ევრო 96-ის კამპანია.

## კარგი და ცუდი

მთლიანობაში ევრო 96-ის ფინალურ ეტაპს, საფეხბურთო თუ ორგანიზაციის მხრივ, ჩინებული ეთქმის. იყო დაუვიწყარი მატჩები (უპირველესად, ინგლისი — ჰოლანდია, ინგლისი — შოტლანდია, ხორვატია — დანია და ინგლისი — გერმანია), ახალი სახელები (განსაკუთრებით ჩეხეთისა და ხორვატიის ნაკრებებში), საზეიმო ატმოსფერო უბადლო სტადიონების ტრიბუნებზე (მხოლოდ ერთი ჩხუბი, ისიც ლონდონში, ტრაფალგარის მოედანზე) და ბევრი სხვა რამ. ცუდი კი ის იყო, რომ ინგლისში საქართველოს ნაკრები ვერ მოხვდა, თუმცა კარგია, რომ ევროპის 1996 წლის ჩემპიონმა ელისაბედ მეორის ლოჟისკენ სავალ გზაზე ჩაბნელებულ თბილისში შემოიარა...



1996 წლის 30 ივნისი. ჩეხეთი — გერმანია 1:2. ეს-ესაა ჩეხთა კარში საბედისწერო გოლი გავიდა. კუნცი ხარობს, თუმცა კინაღამ ამ გოლის არჩათვლის მიზეზი გახდა



1996 წლის 15 ივნისი. ინგლისი — შოტლანდია 2:0. პოლ გესქოინმა ტურნირის საუკეთესო გოლი შეაგდო და ლოთურ ყაიდაზე იზეიმა

## შესარჩევი ეტაპი

მონაწილე: 48 გუნდი; სულ გატანილია 736 ბურთი

ბომბარდირი: დავორ შუკერი (ხორვატია) — 15 გოლი

### I ჯგუფი

ისრაელი — პოლონეთი 2:1; რუმინეთი — აზერბაიჯანი 3:0; სლოვაკეთი — საფრანგეთი 0:0; საფრანგეთი — რუმინეთი 0:0; ისრაელი — სლოვაკეთი 2:2; პოლონეთი — აზერბაიჯანი 1:0; რუმინეთი — სლოვაკეთი 3:2; პოლონეთი — საფრანგეთი 0:0; აზერბაიჯანი — ისრაელი 0:2; აზერბაიჯანი — საფრანგეთი 0:2; ისრაელი — რუმინეთი 1:1; ისრაელი — საფრანგეთი 0:0; რუმინეთი — პოლონეთი 2:1; სლოვაკეთი — აზერბაიჯანი 4:1; პოლონეთი — ისრაელი 4:3; აზერბაიჯანი — რუმინეთი 1:4; საფრანგეთი — სლოვაკეთი 4:0; პოლონეთი — სლოვაკეთი 5:0; რუმინეთი — ისრაელი 2:1; საფრანგეთი — პოლონეთი 1:1; აზერბაიჯანი — სლოვაკეთი 0:1; საფრანგეთი — აზერბაიჯანი 10:0; სლოვაკეთი — ისრაელი 1:0; პოლონეთი — რუმინეთი 0:0; ისრაელი — აზერბაიჯანი 2:0; რუმინეთი — საფრანგეთი 1:3; სლოვაკეთი — პოლონეთი 4:1; საფრანგეთი — ისრაელი 2:0; სლოვაკეთი — რუმინეთი 0:2; აზერბაიჯანი — პოლონეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 18:9 | 21 |
| საფრანგეთი | 10 | 5 | 5 | 0 | 22:2 | 20 |
| სლოვაკეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:18 | 14 |
| პოლონეთი | 10 | 3 | 4 | 3 | 14:12 | 13 |
| ისრაელი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:13 | 12 |
| აზერბაიჯანი | 10 | 0 | 1 | 9 | 2:29 | 1 |

### II ჯგუფი

კვიპროსი — ესპანეთი 1:2; მაკედონია — დანია 1:1; ბელგია — სომხეთი 2:0; სომხეთი — კვიპროსი 0:0; დანია — ბელგია 3:1; მაკედონია — ესპანეთი 0:2; ესპანეთი — დანია 3:0; ბელგია — მაკედონია 1:1; კვიპროსი — სომხეთი 2:0; ბელგია — ესპანეთი 1:4; მაკედონია — კვიპროსი 3:0; ესპანეთი — ბელგია 1:1; კვიპროსი — დანია 1:1; ბელგია — კვიპროსი 2:0; სომხეთი — ესპანეთი 0:2; დანია — მაკედონია 1:0; სომხეთი — მაკედონია 2:2; ესპანეთი — სომხეთი 1:0; დანია — კვიპროსი 4:0; მაკედონია — ბელგია 0:5; სომხეთი — დანია 0:2; ბელგია — დანია 1:3; ესპანეთი — კვიპროსი 6:0; მაკედონია — სომხეთი 1:2; სომხეთი — ბელგია 0:2; დანია — ესპანეთი 1:1; კვიპროსი — მაკედონია 1:1; ესპანეთი — მაკედონია 3:0; დანია — სომხეთი 3:1; კვიპროსი — ბელგია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 25:4 | 26 |
| დანია | 10 | 6 | 3 | 1 | 19:9 | 21 |
| ბელგია | 10 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 |
| მაკედონია | 10 | 1 | 4 | 5 | 9:18 | 7 |
| კვიპროსი | 10 | 1 | 4 | 5 | 6:20 | 7 |
| სომხეთი | 10 | 1 | 2 | 7 | 5:17 | 5 |

### III ჯგუფი

ისლანდია — შვედეთი 0:1; უნგრეთი — თურქეთი 2:2; შვეიცარია — შვედეთი 4:2; თურქეთი — ისლანდია 5:0; შვედეთი — უნგრეთი 2:0; შვეიცარია — ისლანდია 1:0; თურქეთი — შვეიცარია 1:2; თურქეთი — შვედეთი 2:1; უნგრეთი — შვეიცარია 2:2; უნგრეთი — შვედეთი 1:0; შვეიცარია — თურქეთი 1:2; შვედეთი — ისლანდია 1:1; ისლანდია — უნგრეთი 2:1; ისლანდია — შვეიცარია 0:2; შვედეთი — შვეიცარია 0:0; თურქეთი — უნგრეთი 2:0; ისლანდია — თურქეთი 0:0; შვეიცარია — უნგრეთი 3:0; უნგრეთი — ისლანდია 1:0; შვედეთი — თურქეთი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 8 | 5 | 2 | 1 | 15:7 | 17 |
| თურქეთი | 8 | 4 | 3 | 1 | 16:8 | 15 |
| შვედეთი | 8 | 2 | 3 | 3 | 9:10 | 9 |
| უნგრეთი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:13 | 8 |
| ისლანდია | 8 | 1 | 2 | 5 | 3:12 | 5 |

### IV ჯგუფი

ესტონეთი — ხორვატია 0:2; უკრაინა — ლიტვა 0:2; სლოვენია — იტალია 1:1; ესტონეთი — იტალია 0:2; ხორვატია — ლიტვა 2:0; უკრაინა — სლოვენია 0:0; უკრაინა — ესტონეთი 3:0; იტალია — ხორვატია 1:2; სლოვენია — ლიტვა 1:2; იტალია — ესტონეთი 4:1; ხორვატია — უკრაინა 4:0; უკრაინა — იტალია 0:2; ლიტვა — ხორვატია 0:0; სლოვენია — ესტონეთი 3:0; ლიტვა — იტალია 0:1; ესტონეთი — უკრაინა 0:1; ხორვატია — სლოვენია 2:0; ლიტვა — სლოვენია 2:1; უკრაინა — ხორვატია 1:0; ესტონეთი — სლოვენია 1:3; ესტონეთი — ლიტვა 0:1; ხორვატია — ესტონეთი 7:1; იტალია — სლოვენია 1:0; ლიტვა — უკრაინა 1:3; ხორვატია — იტალია 1:1; სლოვენია — უკრაინა 3:2; ლიტვა — ესტონეთი 5:0; იტალია — უკრაინა 3:1; იტალია — ლიტვა 4:0; სლოვენია — ხორვატია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 10 | 7 | 2 | 1 | 22:5 | 23 |
| იტალია | 10 | 7 | 2 | 1 | 20:6 | 23 |
| ლიტვა | 10 | 5 | 1 | 4 | 13:12 | 16 |
| უკრაინა | 10 | 4 | 1 | 5 | 11:15 | 13 |
| სლოვენია | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 11 |
| ესტონეთი | 10 | 0 | 0 | 10 | 3:31 | 0 |

### V ჯგუფი

ჩეხეთი — მალტა 6:1; ლუქსემბურგი — ჰოლანდია 0:4; ნორვეგია — ბელარუსი 1:0; მალტა — ჩეხეთი 0:0; ნორვეგია — ჰოლანდია 1:1; ბელარუსი — ლუქსემბურგი 2:0; ჰოლანდია — ჩეხეთი 0:0; ბელარუსი — ნორვეგია 0:4; ჰოლანდია — ლუქსემბურგი 5:0; მალტა — ნორვეგია 0:1; მალტა — ლუქსემბურგი 0:1; ლუქსემბურგი — ნორვეგია 0:2; ჰოლანდია — მალტა 4:0; ჩეხეთი — ბელარუსი 4:2; ჩეხეთი — ჰოლანდია 3:1; ბელარუსი — მალტა 1:1; ნორვეგია — ლუქსემბურგი 5:0; ბელარუსი — ჰოლანდია 1:0; ლუქსემბურგი — ჩეხეთი 1:0; ნორვეგია — მალტა 2:0; ნორვეგია — ჩეხეთი 1:1; ჩეხეთი — ნორვეგია 2:0; ჰოლანდია — ბელარუსი 1:0; ლუქსემბურგი — მალტა 1:0; ბელარუსი — ჩეხეთი 0:2; ლუქსემბურგი — ბელარუსი 0:0; მალტა — ჰოლანდია 0:4; მალტა — ბელარუსი 0:2; ჰოლანდია — ნორვეგია 3:0; ჩეხეთი — ლუქსემბურგი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 10 | 6 | 3 | 1 | 21:6 | 21 |
| *ჰოლანდია* | *10* | *6* | *2* | *2* | *23:5* | *20* |
| ნორვეგია | 10 | 6 | 2 | 2 | 17:7 | 20 |
| ბელარუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:13 | 11 |
| ლუქსემბურგი | 10 | 3 | 1 | 6 | 3:21 | 10 |
| მალტა | 10 | 0 | 2 | 8 | 2:22 | 2 |

### VI ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია — ლიხტენშტაინი 4:1; ლიხტენშტაინი — ავსტრია 0:4; ჩრდ. ირლანდია — პორტუგალია 1:2; ლატვია — ირლანდია 0:3; ლატვია — პორტუგალია 1:3; ავსტრია — ჩრდ. ირლანდია 1:2; ირლანდია — ლიხტენშტაინი 4:0; პორტუგალია — ავსტრია 1:0; ლიხტენშტაინი — ლატვია 0:1; ჩრდ. ირლანდია — ირლანდია 0:4; პორტუგალია — ლიხტენშტაინი 8:0; ირლანდია — ჩრდ. ირლანდია 1:1; ავსტრია — ლატვია 5:0; ირლანდია — პორტუგალია 1:0; ლატვია — ჩრდ. ირლანდია 0:1; ავსტრია — ლიხტენშტაინი 7:0; პორტუგალია — ლატვია 3:2; ლიხტენშტაინი — ირლანდია 0:0; ჩრდ. ირლანდია — ლატვია 1:2; ირლანდია — ავსტრია 1:3; ლიხტენშტაინი — პორტუგალია 0:7; ლატვია — ავსტრია 3:2; პორტუგალია — ჩრდ. ირლანდია 1:1; ავსტრია — ირლანდია 3:1; ლატვია — ლიხტენშტაინი 1:0; ირლანდია — ლატვია 2:1; ლიხტენშტაინი — ჩრდ. ირლანდია 0:4; ავსტრია — პორტუგალია 1:1; პორტუგალია — ირლანდია 3:0; ჩრდ. ირლანდია — ავსტრია 5:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 10 | 7 | 2 | 1 | 29:7 | 23 |
| *ირლანდია* | *10* | *5* | *2* | *3* | *17:11* | *17* |
| ჩრდ. ირლანდია | 10 | 5 | 2 | 3 | 20:15 | 17 |
| ავსტრია | 10 | 5 | 1 | 4 | 29:14 | 16 |
| ლატვია | 10 | 4 | 0 | 6 | 11:20 | 12 |
| ლიხტენშტაინი | 10 | 0 | 1 | 9 | 1:40 | 1 |

### VII ჯგუფი

#### საქართველო 0:1 მოლდოვა

0:1 ოპრია (40)
საქართველო: ზოიძე, ნემსაძე, ცხადაძე, შელია, ყაველაშვილი, რ. არველაძე (რევიშვილი 70), ა. არველაძე, ჯამარაული, გურული (ინალიშვილი 46), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
მოლდოვა: კოშელევი, სეკუ, ბელოუსი, პოგორელოვი, ა. სტროენკო (რებეჯა 55), ს. სტროენკო, ოპრია, კურტიანუ, ნანი, სპირიდონი (კოსე 80), კლეშჩენკო
მწვრთნელი: იონ კარასი
გაფრთხილება: სეკუ, გურული, კოშელევი, ა. სტროენკო, ნემსაძე
მსაჯი: ზაქარი (თურქეთი)
07.09.94. თბილისი. 40 000 მაყურებელი

#### უელსი 2:0 ალბანეთი

1:0 კოულმენი (10), 2:0 გიგზი (67)
მსაჯი: ბესკინი (იტალია)
07.09.94. კარდიფი. 6 500 მაყურებელი

#### მოლდოვა 3:2 უელსი

0:1 სპიდი (6), 1:1 ბელოუსი (9), 2:1 სეკუ (29), 2:2 ბლეიქი (70), 3:2 პოგორელოვი (79)
მსაჯი: ვადი (უნგრეთი)
12.10.94. კიშინიოვი. 12 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 2:0 საქართველო

1:0, 2:0 კოსტადინოვი (58, 63)
ბულგარეთი: პოპოვი, კირიაკოვი, ივანოვი, ცვეტანოვი, ხუბჩევი, იანკოვი, ბორიმიროვი (კოსტადინოვი 57), სტოიჩკოვი, ლეჩკოვი, სირაკოვი (პენევი 70), ბალაკოვი
მწვრთნელი: დიმიტარ პენევი
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, კუდინოვი, ნემსაძე (ინალიშვილი 72), გოგიჩაიშვილი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გურული 78)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: კუდინოვი, ცხადაძე, იანკოვი
მსაჯი: გადოში (სლოვაკეთი)
12.10.94. სოფია. 45 000 მაყურებელი



სარბიელის არქივიდან

1995 წლის 29 მარტი. საქართველო — გერმანია 0:2. ორი გოლის გამტან იურგენ კლინსმანს მურთაზ შელია მეურვეობს

#### საქართველო 5:0 უელსი

1:0 ქეცბაია (31), 2:0 ქინქლაძე (41), 3:0 ქეცბაია (49), 4:0 გოგრიჭიანი (59), 5:0 არველაძე (67)
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (ინალიშვილი 42), გოგრიჭიანი, ქეცბაია (ყაველაშვილი 75), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
უელსი: საუთჰოლი, ნელსონი (საიმონსი 46), ბოუენი, მელვილი, კოულმენი, ფილიპსი, ჰორნი, სონდერსი, რაში, ჰიუზი, სპიდი
მწვრთნელი: მაიკ სმიტი
გაფრთხილება: ცხადაძე, სპიდი, ჰიუზი
მსაჯი: სარსი (საფრანგეთი)
16.11.94. თბილისი. 55 000 მაყურებელი

#### ალბანეთი 1:2 გერმანია

0:1 კლინსმანი (18), 1:1 ზმიანი (32), 1:2 კირსტენი (46)
მსაჯი: მელნიჩუკი (უკრაინა)
16.11.94. ტირანა. 23 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 4:1 მოლდოვა

1:0 სტოიჩკოვი (45), 1:1 კლეშჩენკო (59), 2:1 ბალაკოვი (64), 3:1 სტოიჩკოვი (85), 4:1 კოსტადინოვი (87)
მსაჯი: მაკარდლი (ჩრდ. ირლანდია)
16.11.94. სოფია. 50 000 მაყურებელი

#### უელსი 0:3 ბულგარეთი

0:1 ივანოვი (5), 0:2 კოსტადინოვი (15), 0:3 სტოიჩკოვი (51)
მსაჯი: სუნდელი (შვედეთი)
14.12.94. კარდიფი. 20 000 მაყურებელი

#### მოლდოვა 0:3 გერმანია

0:1 კირსტენი (7), 0:2 კლინსმანი (38), 0:3 მათეუსი (72)
მსაჯი: ვან ვლიე (ჰოლანდია)
14.12.94. კიშინიოვი. 20 000 მაყურებელი

#### ალბანეთი 0:1 საქართველო

0:1 არველაძე (19)
ალბანეთი: სტრაკოშა, დემა, კაჩაი, ჯუმბა, ვატა (შულკუ 30), ლეკბელო (მალკო 46), ფორტუზი, ბელაი, კოლა, რაკლი, დემოლარი
მწვრთნელი: ნეპტუნ ბაიკო
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი (მ. ჯიშკარიანი 65), ინალიშვილი, გოგრიჭიანი, ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (ჯამარაული 75)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: ქინქლაძე, ქეცბაია, მალკო
მსაჯი: მოლნარი (უნგრეთი)
14.12.94. ტირანა. 20 000 მაყურებელი

#### გერმანია 2:1 ალბანეთი

1:0 მათეუსი (8), 2:0 კლინსმანი (17), 2:1 რაკლი (58)
მსაჯი: კრისტენსენი (დანია)
18.12.94. კაიზერსლაუტერნი. 20 310 მაყურებელი

#### საქართველო 0:2 გერმანია

0:1, 0:2 კლინსმანი (24, 45)
საქართველო: დევაძე, რევიშვილი, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კუდინოვი, ჯამარაული (გოგრიჭიანი 64), რ. არველაძე (ყაველაშვილი 77), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გერმანია: კიოპკე, როიტერი, ვებერი (ფროინდი 46), კოლერი, ჰელმერი, ბაბელი, აილტსი, ბასლერი, კლინსმანი, მიოლერი, ჰერლიხი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
გაფრთხილება: ვებერი, ბაბელი, ფროინდი, კოლერი, როიტერი
მსაჯი: ბოდნემი (ინგლისი)
29.03.95. თბილისი. 110 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 3:1 უელსი

1:0 ბალაკოვი (37), 2:0, 3:0 პენევი (70, 82), 3:1 სონდერსი (83)
მსაჯი: პირო (ბელგია)
29.03.95. სოფია. 70 000 მაყურებელი

#### ალბანეთი 3:0 მოლდოვა

1:0 კუშტა (32), 2:0 კაჩაი (42), 3:0 კუშტა (79)
მსაჯი: მაიერი (შვეიცარია)
29.03.95. ტირანა. 15 000 მაყურებელი

#### გერმანია 1:1 უელსი

0:1 სონდერსი (8), 1:1 ჰერლიხი (42)
მსაჯი: პული (უნგრეთი)
26.04.95. დიუსელდორფი. 44 000 მაყურებელი

#### მოლდოვა 0:3 ბულგარეთი

0:1 ბალაკოვი (29), 0:2, 0:3 სტოიჩკოვი (54, 67)
მსაჯი: ულრიხი (ჩეხეთი)
26.04.95. კიშინიოვი. 22 000 მაყურებელი

#### საქართველო 2:0 ალბანეთი

1:0 შ. არველაძე (2), 2:0 ქეცბაია (42)
საქართველო: დევაძე, ღუდუშაური, კუდინოვი, შელია (ლობჟანიძე 70), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ინაიშვილი, ჯამარაული, ქეცბაია, ყიზილაშვილი (ა. არველაძე 59), შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
ალბანეთი: სტრაკოშა, მემა, მალკო, ჯუმბა, ვატა, კაჩაი, კუშტა (დოსტი 84), ფორტუზი (პრენგა 56), დალიპი, რაკლი, დემოლარი
მწვრთნელი: ნეპტუნ ბაიკო
გაფრთხილება: ჯუმბა
მსაჯი: ლუნგი (ჰოლანდია)
26.04.95. თბილისი. 25 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 3:2 გერმანია

0:1 კლინსმანი (18), 0:2 შტრუნცი (44), 1:2, 2:2 სტოიჩკოვი (45, 66), 3:2 კოსტადინოვი (69)
მსაჯი: პაირეტო (იტალია)
07.06.95. სოფია. 70 000 მაყურებელი

#### უელსი 0:1 საქართველო

0:1 ქინქლაძე (72)
უელსი: საუთჰოლი, ფილიპსი, ბოუენი, ჯოუნსი, უილიამსი, საიმონსი, ჰორნი, სონდერსი (პართსონი 85), რაში, ჰიუზი (პემბრიჯი 85), კორნფორსი
მწვრთნელი: მაიკ სმიტი
საქართველო: დევაძე, ბერაძე, ცხადაძე, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ინალიშვილი, ყაველაშვილი (ცქიტიშვილი 73), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე (გ. კილასონია 86)
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: ჩიხრაძე, დევაძე
გაძევება: ჯოუნსი (29)
მსაჯი: კოპო (ფინეთი)
07.06.95. კარდიფი. 12 000 მაყურებელი

#### მოლდოვა 2:3 ალბანეთი

0:1 კუშტა (8), 1:1 კურტიანუ (12), 2:1 კლეშჩენკო (17), 2:2 ბელაი (27), 2:3 ვატა (71)
მსაჯი: ფლიუკი (ბელგია)
07.06.95. კიშინიოვი. 5 000 მაყურებელი

#### გერმანია 4:1 საქართველო

0:1 ქეცბაია (28), 1:1 მიოლერი (39), 2:1 ციგე (57), 3:1 კირსტენი (62), 4:1 ბაბელი (72)
გერმანია: კანი, ბაბელი, კოლერი, ჰელმერი, ფროინდი, ჰესლერი, მიოლერი, შტრუნცი, ციგე, კლინსმანი, კირსტენი
მწვრთნელი: ბერტი ფოგტსი
საქართველო: დევაძე, გუჯაბიძე, ჩიხრაძე, შელია, კუდინოვი, გოგიჩაიშვილი (გ. კილასონია 67), ნემსაძე, ყაველაშვილი (ა. არველაძე 67), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: ციგე, შელია
მსაჯი: მაკკლუსკი (შოტლანდია)
06.09.95. ნიურნბერგი. 40 000 მაყურებელი

#### ალბანეთი 1:1 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (8), 1:1 რაკლი (35)
მსაჯი: აგიუსი (მალტა)
06.09.95. ტირანა. 15 000 მაყურებელი

#### უელსი 1:0 მოლდოვა

1:0 სპიდი (55)
მსაჯი: ორასონი (ისლანდია)
06.09.95. კარდიფი. 8 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 3:0 ალბანეთი

1:0 ლეჩკოვი (15), 2:0, 3:0 კოსტადინოვი (80, 81)
მსაჯი: ჰირვინიემი (ფინეთი)
07.10.95. სოფია. 35 000 მაყურებელი

#### გერმანია 6:1 მოლდოვა

1:0 ს. სტროენკო (16ს.კ.), 2:0 ჰელმერი (18), 3:0 ზამერი (24), 4:0, 5:0 მიოლერი (47, 61), 6:0 ზამერი (72), 6:1 რებეჯა (82)
მსაჯი: ზიობერი (პოლონეთი)
08.10.95. ლევერკუზენი. 18 000 მაყურებელი

#### უელსი 1:2 გერმანია

0:1 მელვილი (75ს.კ.), 1:1 ჰელმერი (78ს.კ.), 1:2 კლინსმანი (80)
მსაჯი: კრაჩუნესკუ (რუმინეთი)
11.10.95. კარდიფი. 30 000 მაყურებელი

#### საქართველო 2:1 ბულგარეთი

1:0 შ. არველაძე (1), 2:0 ქინქლაძე (47პ), 2:1 სტოიჩკოვი (87)
საქართველო: ზოიძე, ღუდუშაური (ბერაძე 82), კუდინოვი, შელია, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ნემსაძე, ჯამარაული (გ. კილასონია 74), ა. არველაძე (ყაველაშვილი 46), ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
ბულგარეთი: მიხაილოვი, კირიაკოვი, ივანოვი (ჩოლაკოვი 58), ცვეტანოვი, იანკოვი, სირაკოვი (ბორიმიროვი 51), კოსტადინოვი, სტოიჩკოვი, პენევი, ბალაკოვი, ლეჩკოვი
მწვრთნელი: დიმიტარ პენევი
გაფრთხილება: ნემსაძე, გოგიჩაიშვილი, მიხაილოვი, შელია
მსაჯი: მაიერი (შვეიცარია)
11.10.95. თბილისი. 40 000 მაყურებელი

#### გერმანია 3:1 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (47), 1:1 კლინსმანი (50), 2:1 ჰესლერი (56), 3:1 კლინსმანი (76)
მსაჯი: ნიკაკისი (საბერძნეთი)
15.11.95. ბერლინი. 75 800 მაყურებელი

#### მოლდოვა 3:2 საქართველო

1:0 ტესტიმიცანუ (5პ), 2:0 მიტერევი (17), 2:1 ჯანაშია (68), 3:1 მიტერევი (72), 3:2 კულიბაბა (82ს.კ.)
მოლდოვა: კოშელევი, სეკუ, ტესტიმიცანუ, კულიბაბა, ბელოუსი, ნანი, ოპრია (სუხარევი 54), კირილოვი (გავრილიუკი 80), მიტერევი, კურტიანუ (ჩებოტარუ 76), კლეშჩენკო
მწვრთნელი: იონ კარასი
საქართველო: ზოიძე, ღუდუშაური (დ. ჯანაშია 58), კუდინოვი, ბერაძე, ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, ჯამარაული (მაჭავარიანი 62), ქეცბაია, ქინქლაძე, შ. არველაძე
მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე
გაფრთხილება: ოპრია, ჩიხრაძე, კლეშჩენკო
გაძევება: ჩიხრაძე (40)
მსაჯი: ვან დერ ენდე (ჰოლანდია)
15.11.95. კიშინიოვი. 9 000 მაყურებელი

#### ალბანეთი 1:1 უელსი

1:0 კუშტა (5), 1:1 პემბრიჯი (41)
მსაჯი: დაუდი (ისრაელი)
15.11.95. ტირანა. 5 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 10 | 8 | 1 | 1 | 27:10 | 25 |
| ბულგარეთი | 10 | 7 | 1 | 2 | 24:10 | 22 |
| საქართველო | 10 | 5 | 0 | 5 | 14:13 | 15 |
| მოლდოვა | 10 | 3 | 0 | 7 | 11:27 | 9 |
| უელსი | 10 | 2 | 2 | 6 | 9:19 | 8 |
| ალბანეთი | 10 | 2 | 2 | 6 | 10:16 | 8 |

#### ჯგუფის ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) | 10 |
| იურგენ კლინსმანი (გერმანია) | 9 |
| ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი) | 7 |
| შოთა არველაძე (საქართველო) | 4 |
| თემურ ქეცბაია (საქართველო) | 4 |
| სოკოლ კუშტა (ალბანეთი) | 4 |

### VIII ჯგუფი

ფინეთი — შოტლანდია 0:2; ფარერები — საბერძნეთი 1:5; რუსეთი — სან მარინო 4:0; საბერძნეთი — ფინეთი 4:0; შოტლანდია — ფარერები 5:1; საბერძნეთი — სან მარინო 2:0; ფინეთი — ფარერები 5:0; შოტლანდია — რუსეთი 1:1; ფინეთი — სან მარინო 4:1; საბერძნეთი — შოტლანდია 1:0; რუსეთი — შოტლანდია 0:0; სან მარინო — ფინეთი 0:2; საბერძნეთი — რუსეთი 0:3; ფარერები — ფინეთი 0:4; სან მარინო — შოტლანდია 0:2; რუსეთი — ფარერები 3:0; ფარერები — სან მარინო 3:0; სან მარინო — რუსეთი 0:7; ფარერები — შოტლანდია 0:2; ფინეთი — საბერძნეთი 2:1; ფინეთი — რუსეთი 0:6; შოტლანდია — საბერძნეთი 1:0; შოტლანდია — ფინეთი 1:0; სან მარინო — საბერძნეთი 0:4; ფარერები — რუსეთი 2:5; სან მარინო — ფარერები 1:3; რუსეთი — საბერძნეთი 2:1; საბერძნეთი — ფარერები 5:0; რუსეთი — ფინეთი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 10 | 8 | 2 | 0 | 34:5 | 26 |
| შოტლანდია | 10 | 7 | 2 | 1 | 19:3 | 23 |
| საბერძნეთი | 10 | 6 | 0 | 4 | 23:9 | 18 |
| ფინეთი | 10 | 5 | 0 | 5 | 18:18 | 15 |
| ფარერები | 10 | 2 | 0 | 8 | 10:35 | 6 |
| სან მარინო | 10 | 0 | 0 | 10 | 2:36 | 0 |

*მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 3 ქულა.*

## პლეი ოფი

#### ჰოლანდია 2:0 ირლანდია

1:0, 2:0 კლუივერტი (28, 88)
მსაჯი: ჟუკი (ბელარუსი)
13.12.95. ლივერპული. 35 000 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფინალური ტურნირი

### A ჯგუფი

#### ინგლისი 1:1 შვეიცარია

1:0 შირერი (23), 1:1 თურქილმაზი (83პ)
ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ინსი, ადამსი, საუთგეიტი, გესქოინი (პლატი 77), შირერი, შერინგემი (ბარმბი 68), ანდერტონი, მაკმანამანი (სტოუნი 68)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
შვეიცარია: პასკოლო, კვენტინი, ენჩოსი, გაიგერი (კოლერი 70), გრასი, სფორცა, ჟენერე, თურქილმაზი, ვეგა, ფოგელი, ბონვენი (შაპუიზა 69)
მწვრთნელი: არტურ ჟორჟე
გაფრთხილება: ნევილი, გაიგერი, კვენტინი, ადამსი, გრასი, ვეგა
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)
08.06.96. ლონდონი. 76 567 მაყურებელი

#### ჰოლანდია 0:0 შოტლანდია

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ზეედორფი, რ. დე ბური (ვინტერი 68), ტაუმენტი (კლუივერტი 63), დავიდსი, ბერხკამპი, ვიჩგე (კოკუ 78), ბოგარდი, კრუიფი, დე კოკი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
შოტლანდია: გორამი, მაკკიმი (ბარლი 85), ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, მაკკოლი, მაკალისტერი, კოლინზი, დიური, გალაჰერი (ბ. მაკკინლი 56), ბუტი (სპენსერი 46)
მწვრთნელი: კრეიგ ბრაუნი
გაფრთხილება: ბოიდი, ვიჩგე, ტაუმენტი, გალაჰერი
მსაჯი: ლეიფ სუნდელი (შვედეთი)
10.06.96. ბირმინგემი. 40 000 მაყურებელი

#### შვეიცარია 0:2 ჰოლანდია

0:1 კრუიფი (66), 0:2 ბერხკამპი (79)
შვეიცარია: პასკოლო, ჰოტიგერი, კვენტინი, ენჩოსი, გრასი, სფორცა, შაპუიზა, ჟენერე (კომიზეტი 68), თურქილმაზი, ვეგა, ფოგელი
მწვრთნელი: არტურ ჟორჟე
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ბლინდი, ზეედორფი (დე კოკი 23), რ. დე ბური (დავიდსი 80), ბერხკამპი, ჰუქსტრა, ვინტერი, ვიჩგე, ბოგარდი, კრუიფი (კლუივერტი 84)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ზეედორფი, ჟენერე, შაპუიზა, თურქილმაზი, გრასი
მსაჯი: ათანას უზუნოვი (ბულგარეთი)
13.06.96. ბირმინგემი. 38 000 მაყურებელი

#### შოტლანდია 0:2 ინგლისი

0:1 შირერი (53), 0:2 გესქოინი (79)
მაკალისტერმა ვერ გაიტანა პენალტი (77, მეკარე)
შოტლანდია: გორამი, მაკკიმი, კალდერვუდი, ჰენდრი, ბოიდი, სპენსერი (მაკკოისტი 67), მაკკოლი, მაკალისტერი, კოლინზი, ტ. მაკკინლი (ბარლი 83), დიური (ჯექსი 87)
მწვრთნელი: კრეიგ ბრაუნი
ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, პირსი (რედნაპი 46, კემპბელი 85), ინსი (სტოუნი 80), ადამსი, საუთგეიტი, გესქოინი, შირერი, შერინგემი, ანდერტონი, მაკმანამანი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: კოლინზი, სპენსერი, ინსი, ჰენდრი
მსაჯი: პიერლუიჯი პაირეტო (იტალია)
15.06.96. ლონდონი. 76 864 მაყურებელი

#### შოტლანდია 1:0 შვეიცარია

1:0 მაკკოისტი (36)
შოტლანდია: გორამი, ბოიდი, კალდერვუდი, ჰენდრი, მაკკოლი, მაკკოისტი (სპენსერი 84), მაკალისტერი, კოლინზი, ტ. მაკკინლი (ბუტი 61), დიური, ბარლი
მწვრთნელი: კრეიგ ბრაუნი
შვეიცარია: პასკოლო, ჰოტიგერი, კვენტინი (კომიზეტი 82), ენჩოსი, სფორცა, შაპუიზა (ფურნიე 46), თურქილმაზი, ვეგა, კოლერი (ვიკი 46), ფოგელი, ბონვენი
მწვრთნელი: არტურ ჟორჟე
გაფრთხილება: ვეგა, მაკკოლი, კოლინზი, ფოგელი, ვიკი, ფურნიე
მსაჯი: ვაცლავ კრონდლი (ჩეხეთი)
18.06.96. ბირმიგემი. 40 300 მაყურებელი

#### ჰოლანდია 1:4 ინგლისი

0:1 შირერი (23პ), 0:2 შერინგემი (51), 0:3 შირერი (58), 0:4 შერინგემი (63), 1:4 კლუივერტი (78)
ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, ბლინდი, ზეედორფი, რ. დე ბური (კლუივერტი 73), ბერხკამპი, ჰუქსტრა (კოკუ 73), ვინტერი, ვიჩგე (დე კოკი 46), ბოგარდი, კრუიფი
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
ინგლისი: სიმენი, გ. ნევილი, პირსი, ინსი (პლატი 68), ადამსი, საუთგეიტი, გესქოინი, შირერი (ბარმბი 76), შერინგემი (ფაულერი 76), ანდერტონი, მაკმანამანი
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: ვინტერი, ბლინდი, შერინგემი, ინსი, ბერხკამპი, საუთგეიტი
მსაჯი: გერდ გრაბერი (ავსტრია)
18.06.96. ლონდონი. 76 798 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ჰოლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| შოტლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| შვეიცარია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

### B ჯგუფი

#### ესპანეთი 1:1 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (65პ), 1:1 ალფონსო (74)
ესპანეთი: სუბისარეტა, ბელსუე, ალკორტა, აბელარდო, იერო, გერერო (ამავისკა 52), პიცი, სერხი, კამინერო (დონატო 82), ამორი (ალფონსო 70), ლუის ენრიკე
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
ბულგარეთი: მიხაილოვი, კიშიშევი, ივანოვი, კირიაკოვი (ცვეტანოვი 74), ხუბჩევი, იანკოვი, კოსტადინოვი (იორდანოვი 74), სტოიჩკოვი, პენევი (ბორიმიროვი 77), ბალაკოვი, ლეჩკოვი
მწვრთნელი: დიმიტარ პენევი
გაფრთხილება: კამინერო, სტოიჩკოვი, სერხი, ამორი, კიშიშევი, იანკოვი, აბელარდო
გაძევება: ხუბჩევი (73), პიცი (75)
მსაჯი: პიერო ჩეკარინი (იტალია)



1996 წლის 30 ივნისს გერმანია მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი

სარბიელის არქივიდან

09.06.96. ლიდსი. 26 006 მაყურებელი

#### რუმინეთი 0:1 საფრანგეთი

0:1 დიუგარი (25)
რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ (ფილიპესკუ 78), ბელოდედიჩი, ლუპესკუ, პოპესკუ, ლეკეტუში (ილიე 57), რადუჩოიუ (მოლდოვანი 46), ჰაჯი, მუნტეანუ, სელიმეში, მიხალი
მწვრთნელი: ანგელ იორდანესკუ
საფრანგეთი: ლამა, დი მეკო (ლიზარაზუ 69), ბლანი, გერენი, დეშამპი, დესაი, ჯორკაეფი, ზიდანი (როში 80), დიუგარი (ლოკო 68), ტურამი, კარემბუ
მწვრთნელი: ემე ჟაკე
გაფრთხილება: დი მეკო, მიხალი, სელიმეში, ილიე
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
10.06.96. ნიუკასლი. 28 000 მაყურებელი

#### ბულგარეთი 1:0 რუმინეთი

1:0 სტოიჩკოვი (3)
ბულგარეთი: მიხაილოვი, კიშიშევი, ივანოვი, იანკოვი, კოსტადინოვი (ბორიმიროვი 32), სტოიჩკოვი, პენევი (სირაკოვი 72), ბალაკოვი, ლეჩკოვი (გენჩევი 90), იორდანოვი, ცვეტანოვი
მწვრთნელი: დიმიტარ პენევი
რუმინეთი: სტელია, პეტრესკუ, პროდანი, ბელოდედიჩი, ლუპესკუ (გილჩა 46), პოპესკუ (ილიე 78), ლეკეტუში (მოლდოვანი 29), რადუჩოიუ, ჰაჯი, მუნტეანუ, შეიმეში
გაფრთხილება: კიშიშევი, ცვეტანოვი
მსაჯი: პეტერ მიკელსენი (დანია)
13.06.96. ნიუკასლი. 19 107 მაყურებელი

#### საფრანგეთი 1:1 ესპანეთი

1:0 ჯორკაეფი (48), 1:1 კამინერო (85)
საფრანგეთი: ლამა, ანგლომა (როში 66), ბლანი, გერენი (ტურამი 79), დეშამპი, დესაი, ჯორკაეფი, ზიდანი, ლოკო (დიუგარი 72), ლიზარაზუ, კარემბუ
მწვრთნელი: ემე ჟაკე
ესპანეთი: სუბისარეტა, ლოპესი, ალკორტა, აბელარდო, იერო, ამავისკა, ალფონსო (სალინასი 83), სერხი, კამინერო, ოტერო (კიკო ნარვაესი 59), ლუის ენრიკე (მანხარინი 55)
მწვრთნელი: ხავიერ კლემენტე
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, ბლანი, ამავისკა, ოტერო, კარემბუ, ჯორკაეფი
მსაჯი: ვადიმ ჟუკი (ბელარუსი)

#### საფრანგეთი 3:1 ბულგარეთი

1:0 ბლანი (21), 2:0 პენევი (64ს.კ.), 2:1 სტოიჩკოვი (69), 3:1 ლოკო (90)
| ნანსი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:43 | 38 | 7 | 4 | 5 | 23:18 | 3 | 4 | 9 | 16:25 |
| ნანტი | 32 | 10 | 7 | 15 | 37:40 | 37 | 8 | 2 | 6 | 26:17 | 2 | 5 | 9 | 11:23 |
| ლე ავრი | 32 | 9 | 7 | 16 | 28:46 | 34 | 7 | 4 | 5 | 18:14 | 2 | 3 | 11 | 10:32 |
| მონპელიე | 32 | 7 | 9 | 16 | 37:45 | 30 | 4 | 7 | 5 | 20:17 | 3 | 2 | 11 | 17:28 |

### შოტლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 32 | 25 | 6 | 1 | 88:22 | 81 | 14 | 1 | 1 | 46:10 | 11 | 5 | 0 | 42:12 |
| სელტიკი | 33 | 19 | 5 | 9 | 83:37 | 62 | 10 | 3 | 3 | 51:16 | 9 | 2 | 6 | 32:21 |
| ჰართსი | 33 | 14 | 8 | 11 | 45:38 | 50 | 6 | 5 | 5 | 23:17 | 8 | 3 | 6 | 22:21 |
| მოზერუელი | 33 | 11 | 10 | 12 | 43:62 | 43 | 6 | 3 | 7 | 23:34 | 5 | 7 | 5 | 20:28 |
| ჰიბერნიანი | 32 | 10 | 11 | 11 | 46:51 | 41 | 7 | 6 | 5 | 30:27 | 3 | 5 | 6 | 16:24 |
| სტ. ჯონსტონი | 33 | 10 | 10 | 13 | 34:41 | 40 | 5 | 6 | 6 | 16:18 | 5 | 4 | 7 | 18:23 |
| დანდი იუნ. | 33 | 11 | 6 | 16 | 33:50 | 39 | 6 | 4 | 7 | 15:20 | 5 | 2 | 9 | 18:30 |
| დანდი | 33 | 10 | 5 | 18 | 41:62 | 35 | 2 | 3 | 10 | 16:31 | 8 | 2 | 8 | 25:31 |
| კილმარნოკი | 33 | 7 | 13 | 13 | 34:43 | 34 | 4 | 5 | 7 | 13:18 | 3 | 8 | 6 | 21:25 |
| აბერდინი | 33 | 7 | 6 | 20 | 36:77 | 27 | 5 | 4 | 8 | 23:36 | 2 | 2 | 12 | 13:41 |

### იტალია. სერია B

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვიჩენცა | 32 | 17 | 6 | 9 | 57:34 | 57 | 13 | 2 | 1 | 39:12 | 4 | 4 | 8 | 18:22 |
| ბრეშა | 32 | 14 | 12 | 6 | 46:29 | 54 | 9 | 4 | 3 | 27:10 | 5 | 8 | 3 | 19:19 |
| ატალანტა | 32 | 15 | 8 | 9 | 42:30 | 53 | 11 | 3 | 2 | 29:14 | 4 | 5 | 7 | 13:16 |
| ნაპოლი | 32 | 14 | 11 | 7 | 44:34 | 53 | 9 | 6 | 1 | 26:13 | 5 | 5 | 6 | 18:21 |
| სამპდორია | 32 | 12 | 11 | 9 | 33:30 | 47 | 6 | 6 | 3 | 17:14 | 6 | 5 | 6 | 16:16 |
| ჯენოა | 32 | 13 | 7 | 12 | 39:34 | 46 | 11 | 4 | 2 | 30:14 | 2 | 3 | 10 | 9:20 |
| სალერნიტანა | 32 | 12 | 10 | 10 | 46:44 | 46 | 9 | 5 | 2 | 28:14 | 3 | 5 | 8 | 18:30 |
| ტრევიზო | 32 | 12 | 9 | 11 | 41:37 | 45 | 11 | 4 | 1 | 31:13 | 1 | 5 | 10 | 10:24 |
| კიევო | 32 | 10 | 11 | 11 | 39:41 | 41 | 7 | 7 | 2 | 23:16 | 3 | 4 | 9 | 16:25 |
| პესკარა | 32 | 8 | 16 | 8 | 48:42 | 40 | 6 | 6 | 4 | 30:19 | 2 | 10 | 4 | 18:23 |
| ჩეზენა | 32 | 8 | 16 | 8 | 37:34 | 40 | 7 | 10 | 0 | 25:11 | 1 | 6 | 8 | 12:23 |
| რავენა | 32 | 9 | 13 | 10 | 30:29 | 40 | 7 | 6 | 2 | 16:6 | 2 | 7 | 8 | 14:23 |
| კოზენცა | 32 | 9 | 13 | 10 | 27:31 | 40 | 8 | 5 | 3 | 16:10 | 1 | 8 | 7 | 11:21 |
| ტერნანა | 32 | 8 | 15 | 9 | 33:38 | 39 | 5 | 9 | 2 | 20:16 | 3 | 6 | 7 | 13:22 |
| მონცა | 32 | 7 | 17 | 8 | 34:36 | 38 | 6 | 11 | 0 | 20:12 | 1 | 6 | 8 | 14:24 |
| ემპოლი | 32 | 9 | 11 | 12 | 29:45 | 38 | 9 | 4 | 2 | 19:15 | 0 | 7 | 10 | 10:30 |
| ალძანო | 32 | 9 | 10 | 13 | 29:39 | 37 | 8 | 3 | 5 | 21:21 | 1 | 7 | 8 | 8:18 |
| პისტოიეზე | 32 | 10 | 9 | 13 | 30:35 | 35 | 8 | 5 | 3 | 17:10 | 2 | 4 | 10 | 13:25 |
| სავოია | 32 | 6 | 11 | 15 | 30:48 | 29 | 5 | 8 | 3 | 18:15 | 1 | 3 | 12 | 12:33 |
| ფერმანა | 32 | 5 | 10 | 17 | 30:54 | 25 | 5 | 5 | 6 | 17:20 | 0 | 5 | 11 | 13:34 |

### იტალია. სერია C1/a

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 32 | 15 | 10 | 7 | 37:21 | 55 | 11 | 3 | 2 | 26:9 | 4 | 7 | 5 | 11:12 |
| პიზა | 32 | 14 | 11 | 7 | 32:22 | 53 | 8 | 4 | 4 | 20:15 | 6 | 7 | 3 | 12:7 |
| ვარეზე | 32 | 12 | 14 | 6 | 41:26 | 50 | 8 | 6 | 2 | 22:11 | 4 | 8 | 4 | 19:15 |
| ჩიტადელა | 32 | 12 | 13 | 7 | 33:26 | 49 | 8 | 5 | 3 | 19:10 | 4 | 8 | 4 | 14:16 |
| ბრეშელო | 32 | 12 | 12 | 8 | 33:30 | 48 | 6 | 7 | 3 | 17:13 | 6 | 5 | 5 | 16:17 |
| ლუკეზე | 32 | 11 | 14 | 7 | 33:28 | 47 | 9 | 5 | 2 | 19:10 | 2 | 9 | 5 | 14:18 |
| სპალ | 32 | 11 | 12 | 9 | 33:29 | 45 | 7 | 6 | 3 | 17:10 | 4 | 6 | 6 | 16:19 |
| ლივორნო | 32 | 9 | 15 | 8 | 35:32 | 42 | 6 | 6 | 4 | 20:15 | 3 | 9 | 4 | 15:17 |
| ალბინოლეფე | 32 | 10 | 12 | 10 | 32:33 | 42 | 7 | 5 | 4 | 21:14 | 3 | 7 | 6 | 10:13 |
| კომო | 32 | 8 | 17 | 7 | 28:24 | 41 | 4 | 10 | 2 | 13:10 | 4 | 7 | 5 | 15:14 |
| მოდენა | 32 | 9 | 14 | 9 | 24:30 | 41 | 4 | 9 | 3 | 11:12 | 5 | 5 | 6 | 13:18 |
| რეჯანა | 32 | 9 | 10 | 13 | 31:33 | 37 | 7 | 4 | 5 | 19:15 | 2 | 6 | 8 | 12:18 |
| კარარეზე | 32 | 8 | 13 | 11 | 29:35 | 37 | 4 | 10 | 2 | 18:14 | 4 | 3 | 9 | 11:21 |
| ლუმეცანე | 32 | 7 | 14 | 11 | 28:34 | 35 | 4 | 7 | 5 | 16:15 | 3 | 7 | 6 | 12:19 |
| კრემონეზე | 32 | 6 | 16 | 10 | 26:31 | 34 | 4 | 9 | 3 | 16:15 | 2 | 7 | 7 | 10:16 |
| ლეკო | 32 | 6 | 14 | 12 | 23:36 | 32 | 3 | 9 | 4 | 10:14 | 3 | 5 | 8 | 13:22 |
| მონტევარკი | 32 | 5 | 14 | 13 | 24:37 | 29 | 4 | 7 | 5 | 14:16 | 1 | 7 | 8 | 10:21 |
| სანდონა | 32 | 3 | 17 | 12 | 23:38 | 26 | 2 | 9 | 5 | 13:16 | 1 | 8 | 7 | 10:22 |

### იტალია. სერია C1/b

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კროტონე | 32 | 18 | 12 | 2 | 58:22 | 66 | 12 | 4 | 0 | 36:8 | 6 | 8 | 2 | 22:14 |
| ანკონა | 32 | 16 | 11 | 5 | 46:23 | 59 | 10 | 6 | 0 | 31:12 | 6 | 5 | 5 | 15:11 |
| ასკოლი | 32 | 12 | 16 | 4 | 49:28 | 52 | 6 | 8 | 2 | 29:15 | 6 | 8 | 2 | 20:13 |
| არეცო | 32 | 13 | 12 | 7 | 46:33 | 51 | 7 | 8 | 1 | 31:16 | 6 | 4 | 6 | 15:17 |
| ვიტერბეზე | 32 | 13 | 11 | 8 | 44:36 | 50 | 8 | 7 | 1 | 27:13 | 5 | 4 | 7 | 17:23 |
| კატანია | 32 | 12 | 13 | 7 | 38:28 | 49 | 8 | 6 | 2 | 23:12 | 4 | 7 | 5 | 15:16 |
| პალერმო | 32 | 12 | 13 | 7 | 27:22 | 49 | 8 | 6 | 2 | 17:7 | 4 | 7 | 5 | 10:15 |
| ნოჩერინა | 32 | 9 | 15 | 8 | 26:25 | 42 | 8 | 7 | 1 | 17:6 | 1 | 8 | 7 | 8:18 |
| სტაბია | 32 | 9 | 14 | 9 | 38:36 | 41 | 7 | 5 | 4 | 24:15 | 2 | 9 | 5 | 14:21 |
| ჯულიანოვა | 32 | 10 | 9 | 13 | 33:41 | 39 | 7 | 5 | 4 | 16:11 | 3 | 4 | 9 | 17:30 |
| აველინო | 32 | 9 | 11 | 12 | 29:32 | 38 | 8 | 5 | 3 | 22:12 | 1 | 6 | 9 | 7:20 |
| ბენევენტო | 32 | 8 | 14 | 10 | 27:31 | 38 | 6 | 7 | 3 | 18:11 | 2 | 7 | 7 | 9:20 |
| დი სანგრო | 32 | 8 | 13 | 11 | 27:35 | 37 | 6 | 4 | 6 | 18:19 | 2 | 9 | 5 | 9:16 |
| ლოდიჯანი | 32 | 8 | 11 | 13 | 36:46 | 35 | 7 | 4 | 5 | 21:18 | 1 | 7 | 8 | 15:28 |
| ფ. ანდრია | 32 | 6 | 13 | 13 | 26:37 | 31 | 4 | 8 | 4 | 13:13 | 2 | 5 | 9 | 13:24 |
| გუალდო | 32 | 6 | 13 | 13 | 31:43 | 31 | 5 | 9 | 2 | 16:12 | 1 | 4 | 11 | 15:31 |
| ატლეტიკო | 32 | 5 | 10 | 17 | 23:46 | 25 | 4 | 5 | 7 | 14:22 | 1 | 5 | 10 | 9:24 |
| მარსალა | 32 | 5 | 7 | 20 | 21:61 | 22 | 2 | 5 | 9 | 10:20 | 3 | 2 | 11 | 11:41 |

### გერმანია. მეორე ბუნდესლიგა

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 29 | 16 | 8 | 5 | 54:28 | 56 | 11 | 4 | 0 | 39:10 | 5 | 4 | 5 | 15:18 |
| ბოხუმი | 29 | 15 | 6 | 8 | 55:41 | 51 | 10 | 1 | 4 | 36:22 | 5 | 5 | 4 | 19:19 |
| კოტბუსი | 29 | 14 | 4 | 11 | 52:36 | 46 | 10 | 2 | 2 | 32:13 | 4 | 2 | 9 | 20:23 |
| გლადბახი | 29 | 11 | 12 | 6 | 49:37 | 45 | 9 | 3 | 3 | 32:16 | 2 | 9 | 3 | 17:21 |
| ნიურნბერგი | 29 | 12 | 9 | 8 | 44:41 | 45 | 10 | 4 | 0 | 32:14 | 2 | 5 | 8 | 12:27 |
| ჰანოვერი | 29 | 12 | 7 | 10 | 47:42 | 43 | 7 | 4 | 3 | 27:19 | 5 | 3 | 7 | 20:23 |
| ალემანია | 29 | 11 | 9 | 9 | 41:45 | 42 | 7 | 4 | 3 | 24:14 | 4 | 5 | 6 | 17:31 |
| ბერლინი | 29 | 10 | 10 | 9 | 38:40 | 40 | 8 | 4 | 3 | 23:17 | 2 | 6 | 6 | 15:23 |
| ვალდჰოფი | 29 | 9 | 12 | 8 | 43:44 | 39 | 8 | 5 | 1 | 30:19 | 1 | 7 | 7 | 13:25 |
| ობერჰაუზენი | 29 | 9 | 11 | 9 | 33:31 | 38 | 7 | 6 | 2 | 23:14 | 2 | 5 | 7 | 10:17 |
| ფიურტი | 29 | 8 | 14 | 7 | 32:33 | 38 | 3 | 11 | 1 | 11:7 | 5 | 3 | 6 | 21:26 |
| ქემნიცი | 29 | 9 | 8 | 12 | 37:42 | 35 | 6 | 5 | 3 | 27:18 | 3 | 3 | 9 | 10:24 |
| კიკერსი | 29 | 9 | 7 | 13 | 45:50 | 34 | 8 | 3 | 4 | 27:22 | 1 | 4 | 9 | 18:28 |
| ზტ. პაული | 29 | 7 | 13 | 9 | 29:34 | 34 | 3 | 9 | 3 | 12:13 | 4 | 4 | 6 | 17:21 |
| მაინცი | 29 | 7 | 12 | 10 | 33:35 | 33 | 5 | 8 | 1 | 18:9 | 2 | 4 | 9 | 15:26 |
| ოფენბახი | 29 | 6 | 11 | 12 | 28:48 | 29 | 6 | 3 | 6 | 18:22 | 0 | 8 | 6 | 10:26 |
| ფორტუნა | 29 | 5 | 11 | 13 | 26:42 | 26 | 5 | 6 | 3 | 17:14 | 0 | 5 | 10 | 9:28 |
| კარლსრუე | 29 | 4 | 10 | 15 | 32:49 | 22 | 3 | 5 | 6 | 12:15 | 1 | 5 | 9 | 20:34 |

### ავსტრია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 31 | 20 | 5 | 6 | 44:24 | 65 | 12 | 2 | 1 | 25:5 | 8 | 3 | 5 | 19:19 |
| რაპიდი | 31 | 19 | 5 | 7 | 53:21 | 62 | 12 | 2 | 1 | 32:6 | 7 | 3 | 6 | 21:15 |
| შტურმი | 31 | 18 | 7 | 6 | 58:26 | 61 | 12 | 2 | 2 | 42:15 | 6 | 5 | 4 | 16:11 |
| რიდი | 31 | 14 | 6 | 11 | 49:31 | 48 | 10 | 2 | 4 | 31:11 | 4 | 4 | 7 | 18:20 |
| აუსტრია | 31 | 13 | 6 | 12 | 42:40 | 45 | 9 | 1 | 6 | 27:23 | 4 | 5 | 6 | 15:17 |
| გრაცერი | 31 | 12 | 4 | 15 | 35:46 | 40 | 8 | 3 | 4 | 20:13 | 4 | 1 | 11 | 15:33 |
| ზალცბურგი | 31 | 10 | 8 | 13 | 30:38 | 38 | 8 | 4 | 4 | 20:13 | 2 | 4 | 9 | 10:25 |
| ბრეგენცი | 31 | 8 | 5 | 18 | 29:63 | 29 | 4 | 5 | 6 | 14:23 | 4 | 0 | 12 | 15:40 |
| ლინცერი | 31 | 7 | 7 | 17 | 34:46 | 28 | 5 | 4 | 6 | 22:16 | 2 | 3 | 11 | 12:30 |
| ლუსტენაუ | 31 | 4 | 7 | 20 | 19:58 | 19 | 3 | 5 | 8 | 13:22 | 1 | 2 | 12 | 6:36 |

### დანია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 27 | 13 | 7 | 7 | 51:30 | 46 | 10 | 3 | 1 | 35:10 | 3 | 4 | 6 | 16:20 |
| ოლბორგი | 27 | 11 | 11 | 5 | 47:28 | 44 | 8 | 3 | 3 | 28:13 | 3 | 8 | 2 | 19:15 |
| ჰერფიოლგე | 27 | 13 | 5 | 9 | 39:42 | 44 | 9 | 2 | 3 | 27:18 | 4 | 3 | 6 | 12:24 |
| ვიბორგი | 27 | 12 | 6 | 9 | 41:40 | 42 | 5 | 4 | 4 | 19:19 | 7 | 2 | 5 | 22:21 |
| სილკებორგი | 27 | 11 | 7 | 9 | 42:29 | 40 | 8 | 4 | 1 | 23:7 | 3 | 3 | 8 | 19:22 |
| ლიუნგბიუ | 27 | 12 | 4 | 11 | 41:41 | 40 | 9 | 0 | 5 | 29:18 | 3 | 4 | 6 | 12:23 |
| აკადემისკი | 27 | 10 | 8 | 9 | 37:32 | 38 | 5 | 4 | 5 | 21:17 | 5 | 4 | 4 | 16:15 |
| კოპენჰაგენი | 27 | 11 | 4 | 12 | 38:31 | 37 | 7 | 2 | 4 | 20:14 | 4 | 2 | 8 | 18:17 |
| ოდენსე | 27 | 8 | 9 | 10 | 28:35 | 33 | 2 | 6 | 5 | 11:20 | 6 | 3 | 5 | 17:15 |
| ორჰუსი | 27 | 8 | 7 | 12 | 31:42 | 31 | 6 | 3 | 4 | 21:17 | 2 | 4 | 8 | 10:25 |
| ვაილე | 27 | 6 | 10 | 11 | 34:53 | 28 | 3 | 6 | 5 | 19:28 | 3 | 4 | 6 | 15:25 |
| ესბიერგი | 27 | 6 | 4 | 17 | 30:56 | 22 | 3 | 4 | 6 | 12:13 | 3 | 0 | 11 | 18:43 |

### ესპანეთი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლას პალმასი | 37 | 17 | 11 | 9 | 50:34 | 62 | 8 | 6 | 4 | 24:15 | 9 | 5 | 5 | 26:19 |
| ვილიარეალი | 37 | 17 | 10 | 10 | 54:38 | 61 | 10 | 5 | 4 | 26:17 | 7 | 5 | 6 | 28:21 |
| ესტრემადურა | 37 | 16 | 12 | 9 | 44:37 | 60 | 12 | 7 | 0 | 30:9 | 4 | 5 | 9 | 14:28 |
| ოსასუნა | 37 | 17 | 6 | 14 | 38:31 | 57 | 10 | 3 | 5 | 21:10 | 7 | 3 | 9 | 17:21 |
| სალამანკა | 37 | 15 | 11 | 11 | 45:37 | 56 | 9 | 4 | 5 | 25:15 | 6 | 7 | 6 | 20:22 |
| ლეიდა | 37 | 16 | 7 | 14 | 56:46 | 55 | 10 | 4 | 4 | 31:16 | 6 | 3 | 10 | 25:30 |
| სპორტინგი | 37 | 16 | 7 | 14 | 48:42 | 55 | 9 | 3 | 7 | 26:19 | 7 | 4 | 7 | 22:23 |
| ლევანტე | 37 | 14 | 13 | 10 | 48:43 | 55 | 11 | 6 | 2 | 31:13 | 3 | 7 | 8 | 17:30 |
| კორდობა | 37 | 14 | 11 | 12 | 40:38 | 53 | 10 | 2 | 6 | 24:22 | 4 | 9 | 6 | 16:16 |
| მერიდა | 37 | 13 | 13 | 11 | 35:33 | 52 | 7 | 7 | 4 | 20:14 | 6 | 6 | 7 | 15:19 |
| ტენერიფე | 37 | 13 | 11 | 13 | 44:42 | 50 | 9 | 6 | 4 | 31:18 | 4 | 5 | 9 | 13:24 |
| ლეგანესი | 37 | 13 | 13 | 11 | 37:39 | 49 | 8 | 7 | 3 | 18:8 | 5 | 6 | 8 | 19:31 |
| ალბასეტე | 37 | 12 | 13 | 12 | 43:48 | 49 | 7 | 7 | 4 | 22:19 | 5 | 6 | 8 | 21:29 |
| ბადახოსი | 37 | 9 | 21 | 7 | 33:31 | 48 | 4 | 10 | 5 | 18:22 | 5 | 11 | 2 | 15:9 |
| ეიბარი | 37 | 11 | 14 | 12 | 39:45 | 47 | 7 | 8 | 4 | 21:16 | 4 | 6 | 8 | 18:29 |
| ელჩე | 37 | 10 | 16 | 11 | 40:46 | 46 | 6 | 9 | 4 | 23:24 | 4 | 7 | 7 | 17:22 |
| ხეტაფე | 37 | 12 | 8 | 17 | 35:41 | 44 | 8 | 4 | 7 | 21:18 | 4 | 4 | 10 | 14:23 |
| კომპოსტელა | 37 | 9 | 15 | 13 | 43:49 | 42 | 6 | 6 | 6 | 24:21 | 3 | 9 | 7 | 19:28 |
| ატლეტიკო B | 37 | 11 | 9 | 17 | 38:52 | 42 | 6 | 4 | 8 | 24:26 | 5 | 5 | 9 | 14:26 |
| ლოგრონიესი | 37 | 9 | 12 | 16 | 46:51 | 39 | 6 | 8 | 4 | 27:23 | 3 | 4 | 12 | 19:28 |
| უელვა | 37 | 10 | 9 | 18 | 36:48 | 39 | 5 | 5 | 9 | 22:25 | 5 | 4 | 9 | 14:23 |
| ტოლედო | 37 | 8 | 8 | 21 | 28:49 | 32 | 6 | 4 | 9 | 19:22 | 2 | 4 | 12 | 9:27 |

### პორტუგალია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 32 | 22 | 8 | 2 | 53:21 | 74 | 13 | 3 | 0 | 31:9 | 9 | 5 | 2 | 22:12 |
| პორტუ | 32 | 21 | 7 | 4 | 63:23 | 70 | 15 | 1 | 0 | 40:8 | 6 | 6 | 4 | 23:15 |
| ბენფიკა | 32 | 19 | 6 | 7 | 55:32 | 63 | 13 | 2 | 1 | 34:11 | 6 | 4 | 6 | 21:21 |
| ბოავიშტა | 32 | 16 | 6 | 10 | 38:28 | 54 | 10 | 2 | 4 | 21:12 | 6 | 4 | 6 | 17:16 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 13 | 10 | 9 | 46:33 | 49 | 9 | 5 | 2 | 33:13 | 4 | 5 | 7 | 13:20 |
| გიმარაეში | 32 | 14 | 5 | 13 | 44:38 | 47 | 12 | 1 | 3 | 30:13 | 2 | 4 | 10 | 14:25 |
| მარიტიმუ | 32 | 12 | 11 | 9 | 36:32 | 47 | 7 | 7 | 2 | 16:8 | 5 | 4 | 7 | 20:24 |
| ამადორა | 32 | 9 | 15 | 8 | 36:33 | 42 | 5 | 7 | 4 | 20:16 | 4 | 8 | 4 | 16:17 |
| ბრაგა | 32 | 12 | 5 | 15 | 42:43 | 41 | 8 | 1 | 7 | 23:18 | 4 | 4 | 8 | 19:25 |
| ბელენენსეში | 32 | 9 | 13 | 10 | 35:35 | 40 | 6 | 8 | 2 | 21:16 | 3 | 5 | 8 | 14:19 |
| ლეირია | 32 | 9 | 11 | 12 | 28:33 | 38 | 6 | 6 | 4 | 17:12 | 3 | 5 | 8 | 11:21 |
| ალვერკა | 32 | 10 | 8 | 14 | 38:46 | 38 | 8 | 4 | 4 | 23:15 | 2 | 4 | 10 | 15:31 |
| სალგეირუში | 32 | 9 | 6 | 17 | 28:43 | 33 | 5 | 5 | 6 | 15:18 | 4 | 1 | 11 | 13:25 |
| კამპომაიორ. | 32 | 9 | 6 | 17 | 30:48 | 33 | 7 | 3 | 6 | 16:17 | 2 | 3 | 11 | 14:31 |
| ფარენსე | 32 | 7 | 11 | 14 | 33:58 | 32 | 5 | 6 | 5 | 22:24 | 2 | 5 | 9 | 11:34 |
| რიუ ავე | 32 | 7 | 9 | 16 | 30:49 | 30 | 6 | 6 | 4 | 22:19 | 1 | 3 | 12 | 8:30 |
| სეტუბალი | 32 | 8 | 5 | 19 | 24:49 | 29 | 6 | 2 | 8 | 18:22 | 2 | 3 | 11 | 6:27 |
| სანტა კლარა | 32 | 6 | 10 | 16 | 30:45 | 28 | 4 | 7 | 5 | 16:20 | 2 | 3 | 11 | 14:25 |

### ბელგია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 32 | 21 | 8 | 3 | 83:35 | 71 | 11 | 3 | 2 | 46:17 | 10 | 5 | 1 | 37:18 |
| ბრიუგე | 32 | 19 | 4 | 9 | 65:31 | 61 | 12 | 0 | 4 | 44:14 | 7 | 4 | 5 | 21:17 |
| გენტი | 32 | 19 | 3 | 10 | 74:51 | 60 | 9 | 2 | 5 | 41:28 | 10 | 1 | 5 | 33:23 |
| სტანდარდი | 32 | 18 | 2 | 12 | 65:47 | 56 | 11 | 1 | 4 | 34:15 | 7 | 1 | 8 | 31:32 |
| მუსკრონი | 32 | 15 | 8 | 9 | 65:44 | 53 | 9 | 4 | 3 | 35:19 | 6 | 4 | 6 | 30:25 |
| ლიერსი | 32 | 15 | 7 | 10 | 63:43 | 52 | 12 | 2 | 2 | 41:13 | 3 | 5 | 8 | 22:30 |
| ბეერსხოტი | 32 | 15 | 7 | 10 | 52:43 | 52 | 12 | 3 | 1 | 36:14 | 3 | 4 | 9 | 16:29 |
| ვესტერლო | 32 | 14 | 8 | 10 | 66:63 | 50 | 12 | 3 | 1 | 50:24 | 2 | 5 | 9 | 16:39 |
| გენკი | 32 | 14 | 6 | 12 | 58:57 | 48 | 7 | 4 | 5 | 29:22 | 7 | 2 | 7 | 29:35 |
| ლოკერენი | 32 | 10 | 11 | 11 | 49:55 | 41 | 7 | 4 | 5 | 32:26 | 3 | 7 | 6 | 17:29 |
| მეხელენი | 32 | 12 | 5 | 15 | 46:72 | 41 | 9 | 4 | 3 | 31:22 | 3 | 1 | 12 | 15:50 |
| აალსტი | 32 | 11 | 3 | 18 | 52:68 | 36 | 7 | 1 | 8 | 28:28 | 4 | 2 | 10 | 24:40 |
| ბევერენი | 32 | 9 | 8 | 15 | 48:60 | 35 | 4 | 6 | 6 | 21:24 | 5 | 2 | 9 | 27:36 |
| სტ. ტრუიდენი | 32 | 9 | 7 | 16 | 38:60 | 34 | 6 | 5 | 5 | 18:23 | 3 | 2 | 11 | 20:37 |
| ჰარელბეკე | 32 | 9 | 5 | 18 | 52:69 | 32 | 7 | 4 | 5 | 35:29 | 2 | 1 | 13 | 17:40 |
| გეელი | 32 | 5 | 13 | 14 | 31:54 | 28 | 4 | 6 | 6 | 19:23 | 1 | 7 | 8 | 12:31 |
| შარლერუა | 32 | 6 | 9 | 17 | 38:61 | 27 | 4 | 3 | 9 | 21:31 | 2 | 6 | 8 | 17:30 |
| ლომელი | 32 | 4 | 12 | 16 | 30:62 | 24 | 3 | 8 | 5 | 17:25 | 1 | 4 | 11 | 13:37 |

### ჰოლანდია

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ | 32 | 25 | 3 | 4 | 101:24 | 78 | 13 | 1 | 2 | 58:12 | 12 | 2 | 2 | 43:12 |
| ჰერენვენი | 32 | 21 | 3 | 8 | 63:34 | 66 | 11 | 2 | 3 | 36:16 | 10 | 1 | 5 | 27:18 |
| ფეიენოორდი | 32 | 17 | 9 | 6 | 63:41 | 60 | 10 | 3 | 3 | 29:13 | 7 | 6 | 3 | 34:28 |
| ვიტესი | 32 | 17 | 8 | 7 | 64:41 | 59 | 13 | 1 | 2 | 42:21 | 4 | 7 | 5 | 22:20 |
| აიაქსი | 32 | 17 | 7 | 8 | 70:48 | 58 | 11 | 1 | 4 | 43:23 | 6 | 6 | 4 | 27:25 |
| ტვენტე | 32 | 15 | 11 | 6 | 52:36 | 56 | 11 | 3 | 2 | 34:18 | 4 | 8 | 4 | 18:18 |
| ალკმარი | 32 | 17 | 4 | 11 | 67:55 | 55 | 8 | 3 | 5 | 27:13 | 9 | 1 | 6 | 40:42 |
| როდა | 32 | 14 | 7 | 11 | 57:50 | 49 | 10 | 0 | 6 | 38:25 | 4 | 7 | 5 | 19:25 |
| ტილბურგი | 32 | 13 | 8 | 11 | 53:60 | 47 | 8 | 5 | 3 | 32:29 | 5 | 3 | 8 | 21:31 |
| უტრეხტი | 32 | 13 | 4 | 15 | 52:58 | 43 | 9 | 4 | 3 | 31:20 | 4 | 0 | 12 | 21:38 |
| ვალვაიკი | 32 | 11 | 6 | 15 | 41:65 | 39 | 5 | 6 | 5 | 22:30 | 6 | 0 | 10 | 19:35 |
| სიტარდი | 32 | 10 | 7 | 15 | 44:50 | 37 | 6 | 5 | 5 | 29:25 | 4 | 2 | 10 | 15:25 |
| სპარტა | 32 | 11 | 4 | 17 | 48:66 | 37 | 7 | 2 | 7 | 28:27 | 4 | 2 | 10 | 20:39 |
| გრააფსხაპი | 32 | 8 | 8 | 16 | 40:55 | 32 | 5 | 5 | 6 | 22:22 | 3 | 3 | 10 | 18:33 |
| ნაიმეგენი | 32 | 7 | 6 | 19 | 35:58 | 27 | 7 | 1 | 8 | 17:20 | 0 | 5 | 11 | 18:38 |
| მაასტრიხტი | 32 | 6 | 6 | 20 | 37:66 | 24 | 4 | 4 | 8 | 21:29 | 2 | 2 | 12 | 16:37 |
| კამბური | 32 | 4 | 7 | 21 | 29:64 | 19 | 2 | 5 | 9 | 16:28 | 2 | 2 | 12 | 13:36 |
| დენ ბოსხი | 32 | 3 | 10 | 19 | 28:73 | 19 | 2 | 8 | 6 | 17:31 | 1 | 2 | 13 | 11:42 |

### საფრანგეთი. მეორე დივიზიონი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 35 | 23 | 7 | 5 | 55:24 | 76 | 15 | 1 | 1 | 32:7 | 8 | 6 | 4 | 23:17 |
| გენგამი | 35 | 18 | 10 | 7 | 60:39 | 64 | 10 | 4 | 4 | 35:21 | 8 | 6 | 3 | 25:18 |
| ტულუზი | 35 | 17 | 7 | 11 | 47:29 | 58 | 9 | 3 | 6 | 27:13 | 8 | 4 | 5 | 20:16 |
| სოშო | 35 | 16 | 7 | 12 | 48:39 | 55 | 9 | 2 | 6 | 26:19 | 7 | 5 | 6 | 22:20 |
| ლავალი | 35 | 13 | 14 | 9 | 39:36 | 50 | 10 | 4 | 4 | 24:17 | 3 | 10 | 5 | 15:19 |
| აიაჩო | 35 | 14 | 8 | 13 | 35:37 | 50 | 10 | 2 | 6 | 18:13 | 4 | 6 | 7 | 17:24 |
| გენიონი | 34 | 11 | 16 | 7 | 43:29 | 49 | 5 | 8 | 3 | 22:14 | 6 | 8 | 4 | 21:15 |
| ლე მანი | 35 | 11 | 15 | 9 | 42:40 | 48 | 7 | 10 | 0 | 23:12 | 4 | 5 | 9 | 19:28 |
| შატორუ | 35 | 12 | 11 | 12 | 38:40 | 47 | 7 | 5 | 5 | 21:19 | 5 | 5 | 7 | 14:18 |
| კაენი | 35 | 10 | 16 | 9 | 42:35 | 46 | 6 | 8 | 3 | 28:18 | 4 | 8 | 6 | 14:17 |
| ნიმი | 35 | 11 | 11 | 13 | 40:41 | 44 | 7 | 7 | 4 | 27:23 | 4 | 4 | 9 | 13:18 |
| ნიორი | 35 | 10 | 14 | 11 | 40:43 | 44 | 8 | 5 | 4 | 21:19 | 2 | 9 | 7 | 19:24 |
| ნიცა | 35 | 8 | 20 | 7 | 27:30 | 44 | 5 | 12 | 1 | 16:8 | 3 | 8 | 6 | 11:22 |
| ლორიანი | 35 | 11 | 11 | 13 | 30:35 | 44 | 5 | 8 | 4 | 19:13 | 6 | 3 | 9 | 11:22 |
| კანი | 35 | 10 | 12 | 13 | 29:34 | 42 | 7 | 5 | 5 | 14:14 | 3 | 7 | 8 | 15:20 |
| ვასკეალი | 35 | 8 | 15 | 12 | 30:38 | 39 | 6 | 8 | 4 | 19:17 | 2 | 7 | 8 | 11:21 |
| კრეტეი | 35 | 10 | 9 | 16 | 32:50 | 39 | 8 | 7 | 4 | 26:22 | 2 | 3 | 12 | 9:31 |
| ამიენი | 34 | 7 | 14 | 13 | 30:40 | 35 | 4 | 8 | 5 | 15:16 | 3 | 6 | 8 | 15:24 |
| ვალანსი | 35 | 5 | 14 | 16 | 32:51 | 29 | 5 | 7 | 5 | 16:15 | 0 | 7 | 11 | 16:36 |
| ლუანი | 35 | 5 | 9 | 21 | 30:59 | 24 | 4 | 6 | 8 | 18:22 | 1 | 3 | 13 | 12:37 |

### ჩეხეთი

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 27 | 22 | 3 | 2 | 70:21 | 69 | 12 | 1 | 0 | 40:7 | 10 | 2 | 2 | 30:14 |
| სლავია | 27 | 20 | 5 | 2 | 47:16 | 65 | 12 | 1 | 1 | 31:8 | 8 | 4 | 1 | 16:8 |
| დრნოვიცე | 27 | 14 | 5 | 8 | 35:25 | 47 | 10 | 2 | 2 | 20:5 | 4 | 3 | 6 | 15:20 |
| ტეპლიცე | 27 | 9 | 9 | 9 | 35:36 | 36 | 7 | 5 | 1 | 21:10 | 2 | 4 | 8 | 14:26 |
| ბრნო | 27 | 10 | 6 | 11 | 29:31 | 36 | 8 | 3 | 2 | 22:11 | 2 | 3 | 9 | 7:20 |
| ბოჰემიანსი | 27 | 9 | 9 | 9 | 22:25 | 36 | 6 | 3 | 4 | 12:7 | 3 | 6 | 5 | 10:18 |
| ლიბერეცი | 27 | 8 | 11 | 8 | 19:18 | 35 | 6 | 5 | 3 | 10:5 | 2 | 6 | 5 | 9:13 |
| ვიკტორია | 27 | 8 | 8 | 11 | 36:41 | 32 | 7 | 6 | 1 | 27:17 | 1 | 2 | 10 | 9:24 |
| ბლშანი | 27 | 9 | 5 | 13 | 24:42 | 32 | 8 | 0 | 6 | 15:18 | 1 | 5 | 7 | 9:24 |
| დუკლა | 27 | 8 | 7 | 12 | 29:36 | 31 | 7 | 3 | 3 | 21:13 | 1 | 4 | 9 | 8:23 |
| ბუდეიოვიცე | 27 | 9 | 4 | 14 | 30:41 | 31 | 8 | 1 | 4 | 21:12 | 1 | 3 | 10 | 9:29 |
| სიგმა | 27 | 6 | 12 | 9 | 27:34 | 30 | 4 | 7 | 3 | 17:14 | 2 | 5 | 6 | 10:20 |
| ბანიკი | 27 | 6 | 11 | 10 | 37:42 | 29 | 4 | 8 | 2 | 25:20 | 2 | 3 | 8 | 12:22 |
| ოპავა | 27 | 6 | 10 | 11 | 31:33 | 28 | 6 | 6 | 1 | 21:9 | 0 | 4 | 10 | 10:24 |
| იაბლონეცი | 27 | 5 | 10 | 12 | 19:36 | 25 | 4 | 6 | 3 | 15:12 | 1 | 4 | 9 | 4:24 |
| ჰ. კრალოვე | 27 | 4 | 11 | 12 | 20:33 | 23 | 3 | 6 | 5 | 10:14 | 1 | 5 | 7 | 10:19 |




დევიდ კულჰარდი და მისი საცოლე ჰაიდი ვიჩლინსკი ავიაკატასტროფის მერე ლიონის საავადმყოფოში წაიყვანეს

# დევიდ კულჰარდი ზეცამ არ მიიღო

დასაწყისი პირველ გვერდზე

ყველაფერს რიგის მიხედვით მივყვეთ. გასულ უქმეებზე დევიდი ნიუ იორკში იმყოფებოდა ლენოქს ლუისისა და მაიკლ გრანტის საკრივო ორთაბრძოლის სანახავად. ორშაბათს მან ატლანტიკა გადაკვეთა, სამშაბათისთვის ამერიკელ საცოლე ჰაიდი ვიჩლინსკისა და პირად მწვრთნელ ენდი მეტიუზთან ერთად შინ, მონტე კარლოს ნავსადგურთან მდებარე ვილაში ყოფნას აპირებდა.

ჰემფშირში მდებარე ფარნბოროს აეროპორტში კულჰარდმა 10 ათას გირვანქად „რეინჯერსის" საფეხბურთო კლუბის თავმჯდომარის, დევიდ მიურეის კუთვნილი თვითმფრინავი „LEARJET 35" იქირავა, რომელსაც ნიცაში უნდა ჩაეყვანა.

აფრენიდან რამდენიმე წუთში ყველაფერი აირია და 70-იანებში პოპულარული კინოსერიალის — „აეროპორტის" სიუჟეტს დაემსგავსა. თვითმფრინავს ერთი ძრავი გაუფუჭდა და პილოტმა დევიდ საუნდერსმა მახლობელ ლიონში ავარიული დაფრენის უფლება ითხოვა.

აეროპორტში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა — სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო მანქანებს უხმეს.

დაზიანებულმა თვითმფრინავმა ლიონამდე კი მიატანა, მაგრამ დაფრენისას კატასტროფა მოხდა: მცირე სიმაღლეზე პილოტმა საჭე ველარ დაიმორჩილა, „ლიარჯეთი" მარცხნივ გადაიხარა, ცალი ფრთა მიწას შეახო, ისევ ჰაერში ავარდა, გადატრიალდა და ცხვირით მიწაში ჩაერჭო. კაბინა თვითმფრინავის კორპუსს გამოეყო და აფეთქდა, ორივე პილოტი, წვრილშვილიანი ოჯახის მამები, 46 წლის საუნდერსი და 35 წლის დევიდ ურლი მაშინვე დაიღუპნენ.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ სამგზავრო განყოფილება თითქმის არ დაზიანებულა, კულჰარდიცა და მისი ორი თანამგზავრიც თავად გამოძვრნენ ცეცხლმოდებულ თვითმფრინავიდან და მხოლოდ მცირე ტრავმები მიიღეს.

„მე მკვდარი უნდა ვიყო. ვერც კი დამიჯერებია, რომ იქიდან ცოცხლები გამოვედით. მეგონა, ყველაფერი დამთავრდა, ველარ გადავრჩები-მეთქი. ნეკნები ვიტკინე, ჰაიდისა და ენდის ნაკაწრები და ჩალურჯებული ადგილები კი რა სახსენებელია" — გონს ვერ მოსულიყო სამშვიდობოზე გასული კულჰარდი.

სასწაულებრივად გადარჩენილებმა მაშინვე ლიონის მთავარ საავადმყოფოში გააქანეს, სადაც მცირე გამოკვლევა ჩაუტარეს და სწრაფად გამოწერეს. იმავე სალამოს სამივენი მონტე კარლოში გაემგზავრნენ, ოღონდ ამჯერად მანქანით.

გუშინ „მაკლარენმა" კულჰარდის ოფიციალური განცხადება გაავრცელა: „ბედნიერი ვარ, რომ ჰაიდი, ენდი და მე არ დავშავდით, მაგრამ ამავე დროს მინდა, თანავუგრძნო ორი პილოტის ოჯახებს. არაფრის კვლევას არ ვაპირებ. ძალიან გაგვიმართლა, რომ ცოცხლები დავრჩით".

შოტლანდიელი ფსიქოთერაპევტთან დივანზე წამოკოტრიალებას და გადატანილ ზაფრაზე ხანგრძლივ წუწუნსაც არ აპირებს — ამ უქმეებზე ბარსელონაში ფორმულა I-ის სეზონის მეხუთე ეტაპი უნდა გაიმართოს და ჩემპიონობისთვის მებრძოლ კულჰარდს დასვენებისთვის სად სცალია.

„ის მხოლოდ მაშინ არ იასპარეზებდა ესპანეთში, თუ სერიოზულად დაშავდებოდა ან ფსიქოლოგიურად გატყდებოდა. არა მგონია, რაიმე მსგავსი მომხდარიყოს, დარწმუნებული ვარ, დევიდს იქ ვიხილავთ" — განაცხადა კულჰარდის მენეჯერმა იან კანინგემმა.

„ლიარჯეთ 35" დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ჯიბესქელთა საყვარელი თვითმფრინავია, მეტად სწრაფი, მოსახერხებელი, მაგრამ ამასთან სამართავად ძალიან ძნელი. ამ რამდენიმე თვის წინ სწორედ მან იმსხვერპლა მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლფე პეინ სტიუარტი.

**ავთანდილ სვანიძე**



# კატა ხომ ლომის ბიძაშვილია

**ზე 12. მეათე ტური**

28 აპრილი

**კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია) 75:27 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)**
კრაისტჩერჩი: 11ლ — რალფი (3), ვუნიბაკა (3), მარშალი (2), ჯეკი, რობერტსონი, სეიმოური; 10გ — მერთენსი (4), მაუჯერი (6)
პრეტორია: 3ლ — ფან დერ ვესტჰოიზენი, პედრო, უელში; 3გ, 1ს. და 1ა — დე ბეერი

29 აპრილი

**სიდნეი (ავსტრალია) 20:27 ველინგტონი (ახალი ზელანდია)**
სიდნეი: 2ლ — ბარკი, სტენიფორტი; 2გ. და 2ს — ბარკი
ველინგტონი: 3ლ — სპაისი (2), ფლემინგი; 3გ. და 2ს — ჰოლუელი

**იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) 36:32 ბრისბენი (ავსტრალია)**
იოჰანესბურგი: 3ლ — მეიერი, მალდერი, დელპორტი; 3გ — კოენი, სმიტი (2); 5ს — კოენი
ბრისბენი: 2ლ — ლეტჰემი (2); 2გ. და 6ს — დრემი

**ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 17:45 კანბერა (ავსტრალია)**
ჰამილტონი: 1ლ — ლოპეპე; 4ს — ჯექსონი
კანბერა: 6ლ — უოლკერი (3), მორტლოკი, პოლი, ლერკჰემი; 6გ. და 1ს — მორტლოკი

**კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა) 27:13 დანიდინი (ახალი ზელანდია)**
კეიპტაუნი: 3ლ — პაულსი (2), ფლეკი; 3გ. და 2ს — ფან სტრაატენი
დანიდინი: 1ლ — მიდლტონი; 1გ. და 2ს — ბრაუნი

30 აპრილი

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 19:30 ოკლენდი (ახალი ზელანდია)**
დურბანი: 1ლ — ოლ[illegible]კი; 1გ. და 4ს — დიუ ტუა
ოკლენდი: 3ლ — კე[illegible]რი, ვიდირი, დოუდი; 3გ. და 3ს — კეშმორი

მეათე ტურის შემდეგ უკვე პირველი ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა. თუ სასწაული არ მოხდა, კანბერა საუკეთესო ოთხეულში ადგილს არ დაკარგავს. ახლა მან პირველობის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს, რათა ნახევარფინალში და (თუ გაუმართლა და იქ მოიგო) ფინალშიც შინ ითამაშოს. ფაქტობრივად, ნახევარფინალშია კრაისტჩერჩიც. აი, დანარჩენი ორი ადგილისთვის კი დიდი ბრძოლა მიმდინარეობს. მათი დაკავების თეორიული შანსი ოკლენდიდან კეიპტაუნამდე შვიდ გუნდს აქვს, ხოლო ცოტა უფრო რეალურად თუ განვსჯით, გამარჯვება ხუთს ძალუძს. თუ დარჩენილ მატჩებს გავითვალისწინებთ, მცირედი უპირატესობა იოჰანესბურგს აქვს, რომელიც, მართალია, მეშვიდეა, მაგრამ ორივე შეხვედრას შინ მართავს, თანაც, ამ ბოლო დროს ალმავლობით თამაშობს. ახალზელანდიური სამეულიდან უარეს დღეში ოკლენდია, რომელიც ჯერ იოჰანესბურგს სტუმრობს, მერე კი ბრისბენს. ველინგტონმა კი ჯონა ლომუს გარეშე კეიპტაუნის წინააღმდეგობა თუ დასძლია... თუმცა ცოტაც მოვითმინოთ, ამ უქმეებზე ბევრი რამ გაირკვევა.

ტურის პირველი მატჩის შედეგი ყველაზე იოლი გამოსაცნობი იყო. პრეტორიას აქამდე თამაშიც ვერ მოეგო და რაღა კრაისტჩერჩთან გაიგიჟებდა თავს? მასპინძლებმა სტუმრების რბევა პირველივე ტაიმში დაიწყეს, როცა ოთხი გარდასახული ლელო მიითვალეს. „ხარებმა" კი მხოლოდ ექვსი ქულა დააგროვეს. შესვენების შემდეგ მაყურებელმა კიდევ ათი ლელო იხილა, რომელთაგან 7 კრაისტჩერჩმა გაიტანა. საბოლოოდ ახალზელანდიელებმა ტურნირის რეკორდი დაამყარეს — ამდენი ქულა ზე 12-ის სამწლიანი ისტორიის მანძილზე არავის მოუხვეჭია. თუმცა კრაისტჩერჩელებს სიხარული მაინც ჩაუშხამდათ, რადგან მათი დამრტყმელი ენდრიუ მერთენსი დაშავდა და მინიმუმ ერთი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ორი შეხვედრა გაუცდება „ოლ ბლექსის" კიდევ ერთ წევრ ჯონა ლომუს, ოღონდ ველინგტონის ფრთა სხვა მიზეზით დააკლდება გუნდს. მან ორი ყვითელი ბარათი მიიღო უხეშობისთვის და მსაჯმაც მოედნიდან გააძევა. განაჩენი, ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია, მაშინვე გააპროტესტა ველინგტონმა, თუმცა მიაღწევს თუ არა სასჯელის შემსუბუქებას, ჯერჯერობით უცნობია. არბიტრმა ლომუს გარდა 10-10 წუთით სტუმართა კაპიტანი ნორმ ჰიუიტი, ფილო ტიატია და მასპინძელი ჯონ უილბორნიც დაითხოვა მინდვრიდან. ველინგტონმა 20 წუთი 13 კაცით ითამაშა, 50 კი 14-ით, ხოლო სიდნეიმ მხოლოდ 10 წუთი გაატარა უმცირესობაში. ამის მიუხედავად, მაინც სტუმრებმა იძალეს. თავიდან ისინი 13:3 დაწინაურდნენ. სწორედ ამ დროს დატოვა მოედანი უილბორნმა, რითაც მშვენივრად ისარგებლეს კუნძულელებმა და ორი ლელო გაიტანეს, რომლებიც ჰოლუელმა გარდასახა. სიდნეელებმა კი რიცხობრივ უმრავლესობაში მხოლოდ ანგარიშის იქამდე შემცირება შეძლეს, პრემიალური ქულა რომ მიეღოთ.

ბრისბენს ზედიზედ ხუთი მატჩი მოეგო და იოჰანესბურგთანაც ახლოს იყო გამარჯვებასთან. მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. მასპინძელთა მწვრთნელმა ლორი მეინსმა განაცხადა, ძალიან მძიმე ბრძოლა გადაგვხდა და ხვალ, ალბათ, მთელ გუნდს მკურნალობა დასჭირდებაო. თუმცა „კატებმა" ლომებივით გაუძლეს დატვირთვას და საავადმყოფოში დაწოლა არავის მოსურვებია. შეხვედრა იოჰანესბურგის უპირატესობით დაიწყო და მეშვიდე წუთისთვის ის უკვე 10:0 იგებდა. შემდეგ ავსტრალიელებმა მდგომარეობა გამოასწორეს და მეორე ტაიმის დასაწყისში ანგარიში გათანაბრდა — 22:22. მერე მალდერმა და ლეტჰემმა თითო ლელოც გაიტანეს და მატჩის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე 29:29 გახდა. მალე მასპინძლებმა თამაშგარე მდგომარეობის წესი დაარღვიეს და შონ დრემმა საჯარიმოთი ბრისბენი დააწინაურა. თუმცა იოჰანესბურგელები დანებებას არ აპირებდნენ და მსაჯის მიერ წამატებულ დროში ტინუს დელპორტმა მესამედ შეძლო მეტოქის დალელოება. „ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით და ამიტომაც დავისაჯეთ. ამ წაგებამ შეიძლება ნახევარფინალს მიღმა დაგვტოვოს" — თქვა „ქვიზლენდელი წითლების" კაპიტანმა ჯონ ილსმა.

ჰამილტონი მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ტურნირის ლიდერ კანბერას. შესვენების შემდეგ ორიოდ წუთი რომ გავიდა, ანგარიში 17:17 იყო. ამ დროს მასპინძლები ტოდ მილერმა დაალალატა. იგი უხეშობისთვის ყვითელი ბარათით დაისაჯა. ველინგტონისგან განსხვავებით, ჰამილტონმა უმცირესობაში ვერ ივარგა და მილერის მინდორზე დაბრუნებამდე ორი ლელო გაუშვა. მასპინძლებმა ამის მერეც ვერ შეაჩერეს ავსტრალიელები და მომდევნო რვა წუთში კიდევ 14 ქულა მიათვლევინეს. ამ წაგების შემდეგ ჰამილტონმა ნახევარფინალში გასვლის თეორიული შანსიც დაკარგა.

კეიპტაუნმა დანიდინს უმასპინძლა და იოლადაც გაუსწორდა. სამხრეთაფრიკელთაგან საუკეთესო რობ ფლეკი იყო, რომელიც თავისიანების შეტევების სული და გულიც იყო და დაცვაშიც ბრწყინვალედ ირჯებოდა. აღსანიშნავია ბრეიტონ პაულსის დუბლიც, რომელიც ამ შავკანიანი მორაგბისთვის მეოთხეა. მან თუ ასე გააგრძელა, „გაქურციკება" არ ასცდება და სამხრეთ აფრიკის ნაკრებიც ცოტა შეფერადდება. კეიპტაუნს კიდევ შეუძლია, ნახევარფინალზე იოცნებოს. ამისთვის კი ულომუო ველინგტონი უნდა დაამარცხოს.

ტურის ბოლო მატჩში დურბანი ოკლენდს დაუპირისპირდა. მოსალოდნელი იყო, რომ წინა დღეს თანამემამულეების მაგალითით შეგულიანებული „ზვიგენები" „ლურჯებს" არაფერს დაუთმობდნენ და ასეც მოხდა. მასპინძლები თამაშის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე 19:16 იგებდნენ კიდეც, მაგრამ უპირატესობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს. ჯერ ვიდირიმ გაიტანა ლელო, შემდეგ კი დოუდმა და ოკლენდმა მეტად საჭირო ოთხი ქულა მოიპოვა.

**გაიოზ თალაკვაძე**




კეიპტაუნი — დანიდინი. „მთიელი" ბაირონ კელეჰერი მატჩის საუკეთესო მოთამაშის მასპინძელი რობი ფლეკის შებოჭვას ლამობს

**ყველაზე შედეგიანები**

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 138 ქულა
სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 137
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 127
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 123
ლუის კოენი (იოჰანესბურგი) — 99
ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 89
ჯანი დე ბეერი (პრეტორია) — 82
დევიდ ჰოლუელი (ველინგტონი) — 80

**საუკეთესო მელელოეები**

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 11
ბრეიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 9
კალებ რალფი (კრაისტჩერჩი) — 8
მარიკა ვუნიბაკა (კრაისტჩერჩი) — 7
კრის ლეტჰემი (ბრისბენი) — 7

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანბერა | 9 | 7 | 0 | 2 | 6 | 2 | 338:152 | 36 |
| კრაისტჩერჩი | 9 | 7 | 0 | 2 | 4 | 1 | 335:263 | 33 |
| ოკლენდი | 9 | 6 | 0 | 3 | 3 | 1 | 244:195 | 28 |
| ველინგტონი | 9 | 6 | 0 | 3 | 4 | 0 | 252:239 | 28 |
| დანიდინი | 9 | 5 | 0 | 4 | 5 | 1 | 263:222 | 26 |
| ბრისბენი | 9 | 5 | 0 | 4 | 3 | 1 | 242:244 | 24 |
| იოჰანესბურგი | 9 | 5 | 0 | 4 | 1 | 2 | 233:304 | 23 |
| სიდნეი | 9 | 4 | 0 | 5 | 2 | 3 | 253:209 | 21 |
| კეიპტაუნი | 9 | 4 | 1 | 4 | 2 | 1 | 223:222 | 21 |
| ჰამილტონი | 9 | 2 | 0 | 7 | 3 | 4 | 210:258 | 15 |
| დურბანი | 9 | 1 | 1 | 7 | 0 | 2 | 184:257 | 8 |
| პრეტორია | 9 | 0 | 2 | 7 | 0 | 1 | 144:327 | 5 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

**მეთერთმეტე ტური**

5 მაისი

კრაისტჩერჩი — სიდნეი
იოჰანესბურგი — ოკლენდი

6 მაისი

დურბანი — ჰამილტონი
პრეტორია — დანიდინი
კანბერა — ბრისბენი

7 მაისი

კეიპტაუნი — ველინგტონი



# მზიური ჩოგბურთის ქალაქია

გუშინ „მზიურში" ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა და იუნიორთა საჩოგბურთო ტურნირი დაიწყო. გამორჩეული ქართველი მწერლის ნაოცნებარ ბავშვთა ქალაქის კორტებზე კვირის ბოლომდე 50-ზე მეტი რვიდან თვრამეტ წლამდე ასაკის მონაწილე იასპარეზებს. მათი უმრავლესობა თბილისელია, რამდენიმე კი — თელაველი. მოთამაშეები ორგანიზატორებმა შვიდ ასაკობრივ ჯგუფად დაყვეს. თითოეულ მათგანში შეჯიბრება წრიულად ჩატარდება: ჩოგბურთელი თავისი ჯგუფის თითოეულ წევრს შეხვდება და ჯამური მაჩვენებლებით გაარკვევს საკუთარ ადგილს. ტურნირის ხელშემწყობთა შორის არიან ტელეკომპანია „პირველი სტერეო" და „აიეტი თი-ვი".

მოგეხსენებათ, ბათუმში აღმოსავლეთ ევროპის იუნიორთა პირველობა მიმდინარეობს და ჩვენი რამდენიმე ძლიერი წარმომადგენელი ამჟამად იქ იმყოფება, თუმცა რიგიანად მოთამაშე ახალგაზრდები არც ნოდარ დუმბაძის სახელობის ტურნირს აკლია. ისინი გუშინ საკმაოდ კარგი საჩოგბურთო სანახაობის მოწყობას აპირებდნენ, მაგრამ ამინდმა არ გაუმართლათ, რამდენჯერმე წამოწვიმა და ბოლო მატჩები გადაიდო. მათი გამართვა დღეს გასამართ შეხვედრებამდე, დილითაა დაგეგმილი.

**დავით გულუა**

ფეხბურთი

## ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი

**ლიბერეცი 2:0 სიგმა**

## თურქეთი

თასის ფინალი

**გალათასარაი 5:3 დ.დ. (2:2) ანთალია**

1:0 უმითი (13), 1:1 მუსტაფა (40), 1:2 დემირეი (74), 2:2 მარსიო სანტოსი (73), 2:3 ჩაკირი (95), 3:3 უნსალი (99), 4:3 იოზგატლი (111), 5:3 ჰაქან შუქური (113)

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

**გენიონი 2:0 ამიენი**

## შოტლანდია

გადადებული მატჩი

**რეინჯერსი 5:2 ჰიბერნიანი**

## უნგრეთი

თასის ფინალი

**მტკ 3:1 ვაშაში**

REUTERS დიპრესფოტოდან



ჰაქან შუქურმა და მისმა „გალათასარაიმ" გუშინ თურქეთის თასი მოიპოვეს. ახლა ჯერი ქვეყნის ჩემპიონობასა და უეფას თასზეა

## ინგლისი

გადადებული მატჩები

**ლიდსი 3:1 უოტფორდი**

1:0 ბრიჯესი (20), 1:1 ფოლი (25), 2:1 დაბერი (45), 3:1 ჰაკერბი (52)

**ლივერპული 0:2 ლესტერი**

0:1 კოტი (2), 0:2 ჯილკრისტი (48)

I დივიზიონი

**ბოლტონი 2:1 ვულვერჰემპტონი**

II დივიზიონი

**სტოკი 3:0 ბერი**

## საბერძნეთი

XXX ტური

ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 2:0; აპოლონი — ტრიკალა 5:2; პანილიაკოსი — არისი 1:2; ირაკლისი — ოფი 0:3; ეთნიკოსი — ქსანთი 1:0; პანაჰაიკი — პანათინაიკოსი 1:0; პანიონიოსი — აეკ 0:2

## ნორვეგია

V ტური

ჰაუგესუნდი — ბრინი 3:1; ლილესტრიომი — სტარტი 4:0; მოლდე — ოდ გრენლანდი 3:2; მოსი — ვოლერენგა 2:1; სტაბეკი — ბოდიო გლიმტი 6:1; ვიკინგი — როსენბორგი 0:1

## რუსეთი

გადადებული მატჩი

**ანჟი 0:0 ტორპედო**

თასის ნახევარფინალი

**ურალანი 1:4 დ.დ. (1:1) ლოკომოტივი**

0:1 ციმბალარი (8), 1:1 ჯეფერსონი (56), 1:2, 1:3, 1:4 ლოსკოვი (94, 103, 112)

## ბულგარეთი

თასის ნახევარფინალი

**კიუსტენდილი 1:0 ლევსკი**

პირველი მატჩი 1:6

**ნეფტოხიმიკი 3:1 ჩერნომორეცი**

პირველი მატჩი 2:2

## დანია

**კოპენჰაგენი 2:1 ორჰუსი**

ჰოკეი

# PLAY OFF

მეოთხედფინალი



დალასელთა მეკარე ედ ბელფორი სანხოსელებმა ორჯერ დაამწუხრეს

# ბედნიერება — ინტერვიუ!

2 მაისი

ალმოსავლეთი

**პიტსბურგი — ფილადელფია 2:1**

**პიტსბურგი — ფილადელფია 3:4**

0:2 2:0 1:1 0:1

0:1 დელმორი 14'11 (1); 0:2 ჯონსი 16'27 (2); 1:2 იაგრი 20'40 (7); 2:2 სტრაკა 30'23 (3); 2:3 ლეკლერი 47'27 (4); 3:3 იაგრი 54'28 (8); 3:4 დელმორი 51'01 (2)

ენდი დელმორი ფილადელფიელ ქომაგთა კერპად იქცა. 23 წლის ახალბედა მცველმა, რომელიც წლევანდელ სეზონში სულ ორჯერ გამოირჩა და ჟურნალისტებთან ინტერვიუს ერთხელაც არ ღირსებია, გააკეთა ის, რაც მისმა გაცილებით უფრო ცნობილმა და სახელიანმა პარტნიორებმა ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთხელაც ვერ მოახერხეს. პლეი ოფში ზედიზედ რვა საოვერტაიმო მარცხის შემდეგ (ლიგის ანტირეკორდია), მცველი დამატებითი დროის მე-12 წუთზე შეტევაში ჩაერთო, კეიტ ჯონსის (1+2) პასი მიიღო, უძლიერესი დარტყმით რონ ტაგნატის კარი დალაშქრა და თავისი კლუბი მრავალწლიანი ბოლმისგან გაათავისუფლა. „ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი მომენტია" — გულახდილად აღიარა დელმორმა მატჩის შემდეგ. ისე, ფილადელფიას ეს თამაში რომ წაეგო, უდიდესი უსამართლობა იქნებოდა. ამჯერად, წინა თამაშებისგან განსხვავებით, „მფრინავებს" კიდევ უფრო დიდი სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ — დარტყმებით 44:18 აჯობეს მეტოქეს, თანაც ოვერტაიმში უპირატესობა 11:1 იყო და მაინც დიდი გაჭირვებით მოიგო.

დასავლეთი

**სან ხოსე — დალასი 1:2**

**სან ხოსე — დალასი 2:1**

0:1 2:0 0:0

0:1 მოდანო 3'35 (5); 1:1 რიჩი 25'42 (4); 2:1 ნოლანი 34'56 (7)

სან ხოსემ მაინც გაუტანა ედ ბელფორს და გაიმარჯვა. მთელი ორი თამაშის განმავლობაში გაუვალ კედლად იდგა „არწივი" (ბელფორის მეტსახელია) კალიფორნიელების წინაშე.

მიუხედავად ქომაგების მხურვალე მხარდაჭერისა, ლამის 26 წუთის განმავლობაში ამჯერადაც ყველაფერი ძველებურად რჩებოდა, მაგრამ მერე მაიკ რიჩიმ შეძლო გოლის გატანა და თავისიანებს ფრთები შეასხა. ცხრა წუთის შემდეგ კი დალასის კარში მეორე შაიბა გავიდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრავმის შემდეგ ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა, „ზვიგენთა" ლიდერი ოუენ ნოლანი მაინც გავიდა ყინულზე და ეს თავგანწირვა კიდეც დაუფასდა — ვენსან დამფუსის უზუსტესი პასის შემდეგ ნოლანმა ზუსტად კუთხეში დაარტყა და ბელფორი ორნავლა შეეხო შაიბას.

**სამველ ლარიბიანი**

## მსოფლიოს ჩემპიონატი. სანქტ პეტერბურგი. რუსეთი

3 მაისი

C ჯგუფი

**ნორვეგია — იაპონია 9:0**

4:0 3:0 2:0

1:0 სკროდერი 0'53; 2:0 ფილდი 3'22; 3:0 ვიკინგსტადი 7'25; 4:0 კნოლდი 15'54; 5:0 კნოლდი 21'33; 6:0 საეტერი 32'02; 7:0 სკროდერი 33'26; 8:0 მაგნუსენი 47'59; 9:0 ტრუგი 49'15

**ჩეხეთი — კანადა 2:1**

1:1 1:0 0:0

1:0 სიკორა 0'53; 1:1 ბრაუნი 11'59; 2:1 დოპიტა 26'57

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 0 | 0 | 12:4 | 9 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 13:7 | 6 |
| კანადა | 1 | 0 | 2 | 10:6 | 3 |
| იაპონია | 0 | 0 | 3 | 3:21 | 0 |

D ჯგუფი

**აშშ — საფრანგეთი 3:2**

2:0 0:1 1:1

1:0 ნილსენი 8'08; 2:0 ტანკილი 19'01; 2:1 ამონტე 34'44; 2:2 ბრიანი 40'49; 3:2 პელუსო 44'50

**შვეიცარია — რუსეთი 3:2**

1:1 2:1 0:0

0:1 იაშინი 12'19; 1:1 სუტერი 19'33; 1:2 კოზლოვი 35'11; 2:2 კონე 36'05; 3:2 ცაიგლერი 38'03

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 2 | 1 | 0 | 9:5 | 7 |
| შვეიცარია | 1 | 1 | 1 | 8:9 | 4 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 10:7 | 3 |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 2 | 7:13 | 3 |

მოტორბოლა

# რობერტსმა ისევ აურია

მოტომრბოლთა მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპი ესპანეთის უკიდურეს სამხრეთში, ხერესის წრეზე მოეწყო.

ბოლო ორი წლის მანძილზე სპორტის ამ სახეობაში ვითარება კარდინალურად შეიცვალა. თუ მანამდე ყველაზე პრესტიჟულ 500-იანებში ყველა ეტაპი ტყუპისცალივით წაგავდა ერთიმეორეს — ფინიშთან პირველი ერთთავად ავსტრალიელი მიკ დუენი მიდიოდა, უკან კი, როგორც წესი, ესპანელი ალექს კრივილე მიჰყვებოდა ხოლმე — ახლა აქ, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობს. სულ მცირე დროში ამ კლასში თავი მოიყარა ყველამ — დღეს ხუთასიანში ასპარეზობს 125-ებსა და 250-იანებში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონები. ყველაფერ ამას თან დაერთო ისიც, რომ მიკ დუენმა ასაკისა თუ შარშან მიღებული ტრავმის გამო მიატოვა დიდი სპორტი, და ნათელი გახდება კონკურენციის რა დონეზეა საუბარი — ხან ავსტრალიელი იგებს ეტაპს, ხან იაპონელი, ხან — ამერიკელი. თანდათან ეჩვევა თავის ახალ რაშს იტალიელი ვალენტინო როსი, ცხადია, არც შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი, ესპანელი ალექს კრივილე დათმობს იოლად ადგილს მზის ქვეშ და ამ ყველაფრის შედეგი ის იქნება, რომ მოტორბოლის მოყვარულთ ფანტასტიკური სეზონი ელით წინ.

თუმცა დავბრუნდეთ ხერესში.

250-იანებში ჩემპიონატის დასაწყისიდანვე დაწინაურდნენ და არც ახლა თმობენ პოზიციებს იაპონელები. საერთო ჩათვლის ლიდერი შინი ნაკანო მეორე წრეზე დავარდა, მერე მართალია დაეწია წინ წასულებს, საბოლოოდ მეთხუთმეტე ადგილს და ერთ ქულას გამოჰკრა ხელი, ლიდერის დროშა კი მეორე იაპონელს დაჯირო კატოს გადაულოცა. ეტაპი კი გერმანელმა ვალდმანმა მოიგო. მეორე იყო კატო, მესამე — ტორუ უკავა.

125-იანებში უკანასკნელ მეტრებამდე გაურკვეველი იყო ვინ დაეპატრონებოდა დიდ პრიზსა და 25 ქულას. შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონი ესპანელი ემილიო ალზამორა და იტალიელი მირკო ჯიანსანტი რბოლის განმავლობაში ბარე ხუთჯერ შეენაცვლნენ ერთმანეთს — ხან ერთი იყო წინ, ხან — მეორე. სხვათაშორის მოტორბოლებს ერთი უდავო უპირატესობა ნაღდად აქვთ ფორმულა 1-თან შედარებით. აქ, თუ კი ამის სურვილი და შესაძლებლობა არის, ნებისმიერ მეტოქეს ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს შეგიძლია გადაასწრო. ტრასის სივიწროვე ან ავტოდრომის სპეციფიურობა დაბრკოლებად ვერ გექცევა.

საბოლოოდ იტალიელისა და ესპანელის ეს სულისშემკვრელი დუელი მსოფლიოს ჩემპიონის გამარჯვებით დასრულდა. მესამე ადგილი კიდევ ერთმა იტალიელმა, რობერტო ლოკატელიმ დაიკავა. ჩემპიონატის სტარტი ამ კლასშიც იაპონელთა უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ ევროპაში გადმონაცვლებისთანავე ეს უპირატესობა დაილია და როგორც ჩანს, სულ მალე წაიშლება.

კლას 500-ში, როგორც უკვე ვთქვით, ერთი ამბავია. პირველ ამრევად ამერიკელი კენი რობერტსი მოგვევლინა, როცა შარშან ზედიზედ ორი ეტაპი მოიგო. რიხიანად დაიწყო რობერტსმა წლევანდელი სეზონიც — ესპანური ეტაპის შემდეგ იგი კვლავ სათავეშია, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ამ კლასში დაწყნარებული ცხოვრება არავის ექნება. ჩემპიონობის კანდიდატი სულ ცოტა ექვსი სპორტსმენია, აქედან ოთხს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ამშვენებს — კრივილეს, ბიაჯის, როსისა და კაპიროსის პრეტენზიები სავსებით გასაგებია — ერთი ტიტული კარგია, ორი და სამი — უკეთესი.

**ირაკლი ბერიაშვილი**

### მსოფლიოს თასი

ხერესი. ესპანეთი. მეოთხე ეტაპი

125 კუბ. სმ.

1. ემილიო ალზამორა (ესპანეთი) ჰონდა
2. მირკო ჯიანსანტი (იტალია) ჰონდა
3. რობერტო ლოკატელი (იტალია) აპრილია

250 კუბ. სმ

1. რალფ ვილდმანი (გერმანია) აპრილია
2. დაჯირო კატო (იაპონია) ჰონდა
3. ტორუ უკავა (იაპონია) ჰონდა

500 კუბ. სმ

1. კენი რობერტსი (აშშ) სუძუკი
2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი) იამაჰა
3. ვალენტინო როსი (იტალია) ჰონდა

### საერთო ჩათვლა

125

1. ემილიო ალზამორა (ესპანეთი) 65 ქულა
2. მირკო ჯიანსანტი (იტალია) 56
3. რობერტო ლოკატელი (იტალია) 54

500

1. კენი რობერტსი (აშშ) 80
2. კარლოს ჩეკა (ესპანეთი) 71
3. ჰარი მაკკოი (ავსტრალია) 48

250

1. დაჯირო კატო (იაპონია) 81
2. შინი ნაკანო (იაპონია) 67
3. ოლივიე ჟაკი (საფრანგეთი) 59

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli